ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი [illegible]
საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8-81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან 80 კ. მონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განუცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 14 იანვარი 1928 წ. · ყოველდღიური გაზეთი · ფასი 5 კაპ. № 11 (2054)

კომუნისტი

დღიური

- ჩეხო-სლოვაკიის ნახშირის მრეწველობაში გაფიცვას მოელიან.
- უნგრეთის ფარული შეიარაღება.
- ჩხრეკა გერმანიის კომპარტიის ცეკაში.
- პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.
- ინგლის-არაბეთის ურთიერთობის გართულება.
- ინგლისი საბერძნეთს სესხად აძლევს 75 მილიონ მანეთს.
- იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს პარლამენტის დათხოვა.

აუცილებელი ღონისძიებანი

ქალაქის შეუწყვეტელი მომარაგება პურეულით და პურეულის დარგში ჩვენი საექსპორტო გეგმის შესრულება, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მუშებისა და გლეხებისათვის საქარხნო-საფაბრიკო საგნების მიწოდება კვლავ დიდ ყურადღებას და ენერგიას მოითხოვს ჩვენგან. ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანად გამოსწორებული.

მრეწველობა საერთოდ ნორმალური ტემპით მუშაობს და უშვებს საქონლის ისეთ რაოდენობას, როგორიც წლიურ გეგმაშია გათვალისწინებული. მაგრამ სოფელი სეზონურ და შემთხვევითი ხასიათის პირობების გამო ერთბაშად გადაჭარბებულ მოთხოვნილებას უყენებს მრეწველობას, რომლის მთლიანად დაკმაყოფილება მას უძნელდება. ამასთან დაკავშირებით გლეხობას ბაზარზე არ გამოაქვს პურეულის სათანადო რაოდენობა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობას უკანასკნელი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი დამატებითი საშუალებები გაუჩნდა. ფართოდ გაშლილმა საამშენებლო მუშაობამ, რომელშიც მუშა ხელის სახით გლეხობა ბლომად იქნა ჩაბმული. უკანასკნელს ათეული მილიონები მისცა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. გაიზარდა სოფლად მესაქონლეობა და ტექნიკური კულტურებიც, რამაც გაადიდა სოფლის სყიდვითი უნარი. გლეხობა მეტწილად ამ წყაროებიდან აღებულ თანხებით იძენს სამრეწველო საგნებს. ამავე დროს ის არც ისე დიდი ხალისით ასაღებს პურეულ პროდუქტებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ რამოდენიმე თვის წინედ ომის საფრთხის გაძლიერების ნიადაგზე მან შემოინახა საჭიროზე მეტი დასაზღვევი პურის მარაგი, მეორე, ასე მოიქცა ის ახალი მოუსავლიანობის მოლოდინში. რომელიც, უნდა ითქვას, სერიოზულ საფუძველს მოკლებულია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ომის საშიშროებასთან დაკავშირებით ქალაქის მოსახლეობაც შეუდგა პურის მარაგის დამზადებას, რამაც აგრეთვე ხელი შეუშალა სახელმწიფოს მიერ პურის დამზადების კამპანიას.

მაგრამ ბაზრის ასეთი მდგომარეობა მარტო ამ მიზეზებით როდი აიხსნება. ბევრი რამ იწერება ჩვენი აპარატის სისუსტის და ეხლანდელი სამეურნეო კონიუნქტურის დასაძლევად საჭირო ღონისძიებათა არა საკმაო ენერგიით გატარებას.

რა ღონისძიებებია ეს? ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ, მრეწველობის პროდუქციის გადიდებაზე, რაც შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაჩქარდეს. უმთავრესი არის, რომ ვერ მოხერხდა იმ საქონლის რიგიანად განაწილება, რომელიც უკვე მოეპოვება მრეწველობას. საქონლის დიდი ნაწილი სოფლამდე ვერ აღწევს და ქალაქებში რჩება. ამავე დროს არის შემთხვევები, როცა სამრეწველო საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა კერძო ვაჭრებს უვარდება ხელში. უკანასკნელნი ამ მიზნით ათასნაირს ბნელ კომბინაციებს მიმართავენ. სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა შესძლონ ერთი მხრით არსებულ საქონლის მოკლე დროში გადასროლა სოფლად და გლეხობისათვის მისი მიწოდება, მეორე მხრივ კერძო ვაჭრობის სპეკულიაციის ალაგმვა. უნდა დაწესდეს უსასტიკესი კონტროლი, რომ კერძო ვაჭარმა ვერ იშოვოს დაწესებულ ნორმაზე მეტი საქონელი.

შემდეგ: სოფლად საგრძნობი თავისუფალი თანხებია გაბნეული ეს თანხები, მან მიიღო როგორც ზევით აღნიშნულ წყაროებიდან, ისე სამრ. საგნებზე ფასების დაკლების და გლეხობაზე გადასახადების შემცირების შედეგად აქედან—ჩვენს წინაშე წამოჭრილია საკითხი ამ თანხების გამოყენებისა სახელმწიფო კრედიტის სისტემის საშუალებით. ამას წინედ ჩატარებული ინდუსტრიალიზაციის სესხი უმთავრესად ქალაქებში გასაღდა,—მუშა-მოსამსახურეთა შორის. სოფელი ამ მხრივ ჩამორჩა. რაც პირველ ყოვლისა მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევსძელით და ვერ მოვასწარით გლეხობას შორის სათანადო იდეურ-ორგანიზაციულ მუშაობის ჩატარება. დღეს გამოცემული სპეციალური საგლეხო სესხი 100 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ სესხის რეალიზაცია, გარდა იმისა, რომ ის მიზნად ისახავს სასოფლო მეურნეობის აღდგენას და გლეხობისათვის სხვა მხრივაც მეტად სასარგებლოა (პროცენტები, მოგების შესაძლებლობა და სხ.)—ამავე დროს მეტად შეუწყობს ხელს ბაზრის დღევანდელ მდგომარეობის გაჯანსაღებას.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სასოფლო სამეურნეო გადასახადის სუსტად და დაგვიანებით შემოსვლა. ამავე დროს როგორც ვსთქვით, ეს გადასახადი საგრძნობლად შემცირებულია, ხოლო გლეხობის შემოსავალი გადიდებულია. ასე რომ მისი გადიდება სრულებით არ არის სამძიმო სოფლისათვის და თუ ამ დარგში მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ეს უმთავრესად უნდა აიხსნას იმით, რომ სახ. აპარატი სასოფლო მეურნეობის გადასახადის ასაკრეფად ვერ იწევა საჭირო მუშაობას. ეს კი დაუშვებელია განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, მიტომ რომ ამ გადასახადის დროზე და სრულად აღებით სახელმწიფოს გაუადვილდება მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის უფრო მეტი წონასწორობის დამყარება, რო არ ფერი ვსთქვათ სხვა სამეურნეო-კულტურულ ამოცანებზე.

ამრიგად, ბაზრის მოწესრიგების დარგში უნდა გავატაროთ შემდეგი ღონისძიებანი: მრეწველობის პროდუქციის უფრო გადიდება, არსებული სამრეწველო საქონლის დაუბრკოლებლივ მიწოდება სოფლისათვის. პურის დამზადების გაძლიერება და ამ მხრივ ყოველგვარ უთანხმოების და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, კერძო ვაჭრობის მაქსიმალურად შეზღუდვა. გლეხობის თავისუფალ თანხების მოქცევა სახელმწიფო კრედიტის არხებში და სასოფლო სამეურნეო გადასახადის თავის დროზე აკრეფა. ამ ღონისძიებათა გატარება სავსებით შეიძლება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციის შეთანხმებული და ენერგიული მუშაობით და ფართე მასების აქტიური დახმარებით.

„მუდმივი მშვიდობიანობა“ და დრედნოუტები

ჯერ კიდევ არ შემშრალა მელანი ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრის კელოგის ნოტებზე „მუდმივი მშვიდობიანობის“ დამყარების საჭიროების შესახებ, რომ კელოგის კოლეგამ საზღვაო საქმეთა მინისტრმა ვილბურმა კონგრესზე შეიტანა კანონპროექტი სამხედრო გემების აღმშენებლობისათვის სამი მეოთხედი მილიარდი დოლარის გადადების შესახებ. ამ თანხით ხუთი წლის განმავლობაში აგებულ უნდა იქნეს 25 კრეისერი თვითეული 10.000 ტონიან, 5 გრანდიოზული გემი—ავიოსადგური, 9 ნაღმოსანი და 32 წყალქვეშა ნავი.

ეს პროგრამა მისი საბოლოო რედაქციით აღემატება ყველა იმ ცნობებს, რომლებიც მოყვანილი იყო უცხოეთის პრესაში. პროგრამის სხვადასხვა ვარიანტების განხილვის დროს გამოთქმულ იქნა აზრი, რომ მთავრობა შეკვეცს „დიდი ფლოტის“ ჯგუფის უკიდურეს მილიტარისტების გეგმებს და მოითხოვს „საშუალო“ ასიგნობებს. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ კულიჯმა თითქმის სავსებით გადმოიღო უკიდურეს მილიტარისტების პროექტი და შეერთებულ შტატებს შესთავაზა ისეთი გემთასაამშენებლო პროგრამა, რომელიც შეაშფოთებს მთელს ქვეყანას.

საკმარისია რამოდენიმე განმარტება ამ პროგრამის შესახებ, რომ ჩვენთვის აშკარა გახდეს მისი ფარგლები. გემ-ავიოსადგურების, ე. ი. დრედნოუტების შესახებ, რომლებიც ერთ და იმავე დროს წარმოადგენენ მცურავ ბაზებს მრავალ სამხედრო აეროპლანებისათვის, ვაშინგტონიდან მიღებულ დეპეშაში ნათქვამია, რომ მათი აგება განზრახულია „სარატოგის“ ტიპის მიხედვით. ამ ლევიაფანმა სწორედ ამ დღეებში მოახდინა თავისი პირველი მგზავრობა და. ამასთან დაკავშირებით, უცხოეთის პრესა იუწყებოდა, რომ მისი აგება დაჯდა, არც მეტი არც ნაკლები —40 მილიონი დოლარი და რომ მისი კამანდა შესდგება ორი ათასი კაცისაგან. რაც შეეხება კრეისერებს, ესენიც აგრეთვე მსხვილი ყალიბრის არიან, არა 7.500, არამედ 10.000 ტონიანი, ე. ი. ეკუთვნიან ისეთ ტიპს. რომლის შესახებ გაცხოველებული კამათი სწარმოებდა „განიარაღების“ კონფერენციაზე ჟენევაში.

შეერთებულ შტატების სამხედრო ძლიერება მარტო საზღვაო ფლოტით როდი ამოიწურება. სამხედრო მინისტრი დევისი ცდილობს არ ჩამორჩეს საზღვაო მინისტრს ვილბურს. ამ ცოტა ხნის წინად დევისმა პრეზიდენტ კულიჯს მიმართა მემორანდუმით, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ არმიისათვის სამხედრო მასალის მომარაგების საქმე ვერ არის კარგად დაყენებული და რომ საქმის „სწორად“ დაყენებისათვის საჭიროა ნახევარი მილიარდი დოლარის გადადება. გარდა ამისა, საჭიროა რალაც „საგანგებო“ ბიუჯეტის შექმნა მომავალ ომისათვის მოსამზადებლად.

ასეთივე მზადება სწარმოებს საჰაერო და საგაზო შეიარაღების ხაზით. ამუშავებენ ქვეყნის ეკონომიურ რესურსების სამხედრო მიზნებისათვის მობილიზაციის გრანდიოზულ გეგმას. ერთის სიტყვით, მზადება სწარმოებს მთელი ხაზით, წყალზე და წყალს ქვეშ (წყალქვეშა ნავები), ხმელეთზე და ჰაერში.

არმიები, დრედნოუტები კრეისერები, გემი-ავიო-სადგურები —ეს მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. „ფლოტი—აცხადებს ინგლისური „ტაიმსი“ (წარსული წლის 13 დეკემბრის თარიღით), ეხება რა პირველ ცნობებს ვილბურის პროექტის შესახებ— ეს არის ყველაფერი, რაც გნებავთ, მაგრამ არა სათამაშო საგანი— ეს არის პოლიტიკის ინსტრუმენტი“.

რისთვის ესაჭიროება ამერიკას ასეთი ფლოტი? გაკვირვებით და გულუბრყვილოთ კითხულობს დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ძველი და ნაცადი ორგანო: „გარეშე მეთვალყურეებისათვის, რომლებიც არსებულ პირობებში არ შეუძლიათ დაინახონ რაიმე საფრთხე დიდ სახელმწიფოსთვის, რომელიც გადაჭიმულია ოკეანეებით გარშემორტყმულ კონტინენტზე, რაც მას უზრუნველყოფს ყოველგვარ აგრესიულ ძალებისაგან, —გარეშე მეთვალყურეებისათვის პირდაპირ გაუგებარი რჩება შეიარაღების სფეროში ამერიკის ამ ახალი ღონისძიებათა მიზანი“. სულ სხვაა ინგლისი. „ტაიმსი“ განმარტავს, რომ „ინგლისი კუნძულებია ქვეყანაა, იმპერიის ნაწილები დაფანტულია ოკეანეში“ და სხვა. ამიტომ ძლიერი ფლოტი მას ეკუთვნის, ასე ვსთქვათ, სამართლიანობით, ამერიკისათვის კი რა საჭიროა ასეთი „ინსტრუმენტი“?

„ტაიმსის“ მოწინავის გულუბრყვილო კითხვაზე ვილბური განსაკუთრებული გულახდილობით უპასუხებს: „ჩვენს ვაჭრებს და ფაბრიკანტებს უნდა ექნეთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ ჩვენ მიერ დაპყრობილი უცხოეთის ბაზრები. ხოლო ევროპაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის მიხედვით ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი ბაზრები ჩვენი მრეწველობისათვის.

ფლოტის დემონსტრაცია მნიშვნელოვანად აძლიერებს ჩვენი მწარმოებლების ბრძოლას გასაღების ახალი ბაზრებისათვის, ხოლო ამ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება დამოკიდებულია პრესტიჟზე, რომელსაც ეხლანდელი კრეისერები აძლევს სახელმწიფოს“.

ეს მართლაც რომ „კლასიკური“ სიბრძნეა იმპერიალისტურ „იდეოლოგიის“ სფეროში. აქ არ არის არავითარი „პოეზია“ თემაზე— მოვალეობა კაცობრიობის, ცივილიზაციის და სხ. წინაშე. შიშველი ცინიკური მშრალი პროზა —ვაჭრები ფაბრიკანტები და ბაზრის პროდუქცია. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ამ არაჩვეულებრივად გულახდილმა ბურჟუამ მისტერ ვილბურმა პირდაპირ განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებისათვის ძლიერი ფლოტი საჭიროა. მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. წინად მან „სენსაცია“ მოახდინა სანფრანცისკოში წარმოთქმული სიტყვით, რომელშიაც მიუთითებდა იაპონელების. მისი აზრით, არა სასიამოვნო რასიულ თვისებებზე. ამ სიტყვაში მან სხვათა შორის, განაცხადა, რომ „ცივი ფოლადი აცივებს მხურვალი ტემპერამენტს“. ამ სიტყვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია იაპონიაში და კულიჯი იძულებული შეიქნა წინადადება მიეცა ვილბურისთვის, რომ მას „ხმა ჩაეკმინდა“ და შეეწყვიტა საინსპექციო საგიტაციო მოგზაურობა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე.

ეხლა კი ამერიკის საზღვაო მინისტრის ორატორული ნიჭი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გემთა საამშენებლო პროექტები მიმართულია არა იმდენად იაპონიის, რამდენადაც ინგლისის წინააღმდეგ. ის პირდაპირ აღნიშნავს ინგლისის დიპლომატიის ჯიუტობას სამთა კონფერენციაზე ჟენევაში და უპასუხებს მის შეურიგებლობას სამ-მეოთხედ მილიარდ დოლარის გადადებით სამხედრო გემთა მშენებლობისათვის, ხოლო ასეთი თანხების გაღება მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ინგლისისათვის გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ოქროთი ყელამდე სავსე შეერთებულ შტატებისათვის.

განცხადება გასაღების ახალ ბაზრების შესახებ მიმართულია აგრეთვე უმთავრესად, ინგლისის წინააღმდეგ, რომელსაც არ სურს თავისი ნებით დასთმოს „მსოფლიო ფაბრიკის“ ძველი როლი. საერთოთ ვილბურის სიტყვაში მკაფიო ილუსტრაციაა იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის მსოფლიო ჰეგემონიისათვის.

ამ ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმი, რომელსაც, როგორც ის ფიქრობს, ჯერ არ გაუძარცვავს საკმაოდ ქვეყნები, ამჟამად წარმოადგენს არა თავდამცველ, არამედ თავდამსხმელ მხარეს. არასოდეს ამერიკის იმპერიალიზმს არ გამოუჩენია ისეთი მებრძოლი და მრავალმხრივი აგრესიობა, როგორსაც ის იჩენს ამჟამად. საკმაოა ჩამოვთვალოთ ამ აგრესიობის ობიექტები, რომ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საერთოდ შეერთებულ შტატების მისწრაფებასთან მსოფლიო ჰეგემონიისაკენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: სამხედრო ინტერვენცია ნიკარაგუაში, დიპლომატიური ზეგავლენა მექსიკაზე, პანამერიკული კონფერენციის მოწვევა მთელ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით ჩინეთის ინტერვენციაში მონაწილეობა. მოლაპარაკება იაპონიისათვის სესხის მიცემის შესახებ, ამერიკელ კონცესიონერების მოღვაწეობა სპარსეთში, ოსმალეთში და სირიაში, ნიადაგის მოსინჯვა აფრიკაში (კაუჩუკის გრანდიოზული პლანტაცია ლიბერიაში, მოლაპარაკება მსხვილ საირიგაციო სამუშაოთა შესახებ აბისინიაში). ამასთან ერთად მორგანის და გილბერტის ფართე გეგმა დაუესის გეგმის გადათვალიერების შესახებ, რაც დაკავშირებულია მოკავშირეთა ვალების საკითხთან, და. ბოლოს, ამერიკის იმპერიალიზმის საზეიმო გამოსვლა მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე „დამამშვიდებელის“ და „მუდმივი მშვიდობიანობისათვის“ მებრძოლის როლში.

ამერიკის იმპერიალიზმის შემოტევის ამ ახალი ფაზის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ინგლისთან უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა წარსულ ზაფხულში საზღვაო განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას. რომ ამ კონფერენციის ჩაშლა არის ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი უაღრესად სიმპტომატიური მოვლენა. ის ნიშნავს ურთიერთობის შეცვლას ორ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის, ფარულ ქიშპობიდან, რომელსაც თან სდევდა კერძო კომპრომისები, აშკარა მტრობაზე გადასვლას, რაც ნიადაგს უმზადებს შეიარაღებულ შეტაკებას.

კულიჯის მიმართვა კონგრესისადმი წარსული წლის 6 დეკემბრის თარიღით) აშკარად გამოხატავს ამ გარდატეხას. ძლიერი ფლოტი ინგლისის წინააღმდეგ. ლათინურ ამერიკის დამორჩილება ამა თუ იმ ფორმით, სახელმწიფოს ყველა უდიდესი რესურსებით დახმარების გაწევა ამერიკის კაპიტალისტებისათვის, სადაც არ უნდა მიიყვანოს უკანასკნელი მოგების გაუმაძღარმა სურვილმა—ასეთია კულიჯის ამ გრძელი მიმართვის აზრი, იმ კულიჯია, რომელიც ამერიკის კონცენტრაციაქმნილ კაპიტალის ერთგული მონა-მოსამსახურეა. ვილბურის სიტყვა ამ ხაზის ლოღიკური გაგრძელებაა. ამერიკა იარაღს ისხამს, ის არ ერიდება არავითარ ხარჯებს. მან გადასწყვიტა დაამარცხოს თავისი მეტოქე ინგლისი დოლარით. მაგრამ რა რიგ ძნელიც არ უნდა იყვეს ამერიკის იმპერიალიზმთან მეტოქეობა ინგლისის იმპერიალიზმისათვის, რომელიც ქრონიკულ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ის მაინც მოიკრებს მთელ თავის ძალღონეს, რომ შეინარჩუნოს ტერიტორიული პოზიციები. ის მტკიცედ და სისტემატიურად ემზადება შეერთებულ შტატებთან საომრად. დიახ, საომრად. ინგლის - ამერიკის ომის საშიშროების შესახებ სწერდა ინგლისელი მწერალი უელსი. ამ საშიშროებაზე მიუთითებდა ყოველკვირეული ლიბერალური ორგანო „ნეიშენ“, ამაზე იწყებენ ლაპარაკს ამერიკაშიაც, სადაც პოლიტიკოსები უკვე ქმნიან კარიერას ინგლისის მოძულეობაზე (მაგალითად, ჩიკაგოში ტომპსონი, რომელმაც არჩევნებზე გაიმარჯვა ლოზუნგით „მეფე გიორგის გაძევება ჩიკაგოდან“.

ჯერ-ჯერობით სწარმოებს სისტემატიური და გაცხოველებული მზადება. შეერთებულ შტატების ახალი გემთა-საამშენებლო პროგრამა გამოიწვევს სათანადო ღონისძიებებს ინგლისში. ამერიკის და ინგლისის მაგალითს მიჰყვებიან იაპონია, საფრანგეთი, იტალია და სხვა წვრილი ბურჟუაზიული სახელმწიფოები. მილიტარისტულ ვაკხანალიის ტემპი თანდათან უფრო აჩქარებული ხდება. „განიარაღების“ „მუდმივი მშვიდობიანობის“ და არბიტრაჟის ვერავითარი გეგმები, ერთა ლიგის ვერავითარი კონფერენციები ვერ დაფარავენ ამას. ვერ დაფარავს ამას ვერც პოლ-ბონკურის ტიპის მემარჯვენე „სოციალისტების“ დეკლამაცია, ვერც ბაუერის სკოლის მემარცხენე“ სოციალისტების ლაყბობა.

მაგრამ რა ინსტრუმენტების და რომელი ძალების საშუალებით შეიძლება განმტკიცდეს მშვიდობიანობის საქმე? ბურჟუაზიულ საფრანგეთის საყოველთაო მილიტარიზაციის ავტორის პოლ-ბონკურის დახმარებით? ობერ იმპერიალისტის მაკდონალდის დახმარებით? ან, შეიძლება, შეიდემანების, ველსების, ნოსკეს ტიპის „პირსისხლიანი ძაღლების“ დახმარებით, იმ ხალხის დახმარებით, რომელიც ოცნებობენ იმაზე, რომ ჰინდენბურგის „სამშობლომ“ მიიღოს კოლონიები და რომ ის შეიარაღდეს ისე, როგორც შეეფერება „რიგიან“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს? თავის-თავად ცხადია, არა. სასაცილო იქნებოდა ამის ფიქრი.

მხოლოდ კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუძლია დარაზმოს საერთაშორისო პროლეტარიატი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ საბჭოთა კავშირი აწარმოებს სიტყვით და საქმით მშვიდობიანობის მტკიცე პოლიტიკას.

„პრავდა“, 13 იანვარი.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაამტკიცა შეთანხმება ავღანსტანთან

საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტი-დეპუტატები ამხ. კაშენი და ვაიან-კუტიურიე

ინგლისის გენსაბჭო აწარმოებს მოლაპარაკებას კაპიტალისტებთან „სამრეწველო ზავის“ შესახებ

ლიტვაში პოლონეთთან მოლაპარაკების პერსპექტივებს პესიმისტურად აფასებენ

შეთანხმება ავღანისტანთან დამტკიცებულია

მოსკოვი, 12 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მოიწონა ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა ქაბულში საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის 1927 წ. 28 ნოემბერს და, რომელიც ეხება საჰაერო მიმოსვლის გახსნას ტაშკენტსა და ქაბულს შუა. აღნიშნულ ხაზზე იწარმოებს როგორც ფოსტის გადატანა, ისე მგზავრების გადაყვანაც. (ტას).

ამხ. ვაიან კუტიურიეს და კაშენის დაპატიმრება

პარიზი, 12 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, კომუნისტი - დეპუტატები ვაიან-კუტიურიე და კაშენი დააპატიმრეს დეპუტატთა პალატიდან გამოსვლის დროს. (ადს).

დეპუტატის „ხელშეუხებლობა“ საფრანგეთში

პარიზი, 12 იანვარი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 310 ხმით 227-ის წინააღმდეგ უარყო სოციალისტური ფრაქციის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა დეპუტატის ხელშეუხებლობის შენარჩუნებას იმ კომუნისტ დეპუტატებისათვის, რომლებსაც მისჯილი აქვთ დაპატიმრება.

მთავრობის კრიზისი?

პარიზი, 12 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „როცა კენჭს უყრიდნენ სოციალისტების მიერ შეტანილ რეზოლიუციას კომუნისტი - დეპუტატების შესახებ, **რადიკალებმა ხმა მისცეს მთავრობის წინააღმდეგ**. ამის გამო, კენჭისყრის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ მინისტრები ერიო და კეილი, რომლებიც რადიკალურ პარტიას ეკუთვნიან, გადადგებიანო. მაგრამ მას შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ბევრმა რადიკალმა რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, აღმოჩნდა, რომ რეზოლიუციას ხმა მისცა სულ 176 კაცმა, და ამგვარად, მთავრობის კრიზისი არ არის შესაძლებელი“. (ადს).

ჩხრეკა გერმანიის კომპარტიის ცეკაში

ბერლინი, 12 იანვარი. უკანასკნელ თვეებში გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცეკაში თითქმის ყოველ კვირაში ხდებოდა ჩხრეკა. პოლიცია გულდასმით ჩხრეკდა ყველა ოთახებს ათვალიერებდა ყველა მაგიდების უჯრებს და დოკუმენტებს, ვინიდან უნდოდა რაიმე მასალების პოვნა ბრალდების ასაშენებლად. მაგრამ პოლიციის ყველა ცდები უშედეგოდ რჩებოდა წარსულ კვირაში ცეკას ბინაზე ისევ გამოცხადდა სისხლის სამართლის 16 მოხელე, რომლებიც ეძებდენ საგიტაციო ფურცლებს ჰინდენბურგის დაბადების დღის გამო.

„როტე ფანე“ სწერს, რომ ჩხრეკის დროს პოლიციამ გადაიღო ცეკას ბინის გეგმა და სცდილობდა გამოერკვია, თუ ვინ მუშაობს თვითეულ ოთახში და რა ხასიათის მუშაობა სწარმოებს იქ. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ხშირი ჩხრეკა დაკავშირებულია ხელისუფლების განზრახვასთან—დააპატიმროს რეიხსტაგისა და პრუსიის ლანდტაგის კომუნისტი დეპუტატები იმ მომენტში. როდესაც ამას მოხერხებულ აღსცნობს“.

ბურჟუაზიის მორიგი ჭორი

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. **მელნიჩანსკიმ** სთქვა:

„ბურჟუაზიული პრესა შეუდგა მორიგი სიცრუის გავრცელებას საბჭოთა კავშირის შესახებ. როგორც ჩანს ყვითელი პრესის ბირჟაზე დიდი ფასი აქვს ახალ ამბებს,—თუნდაც ეს ამბები ყალბი იყოს.

ამჟამად გავრცელებულია შემდეგი სიცრუე: „რუსეთის პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომ ის ფული, რომელიც სესხად გაეგზავნა ინგლისელ მაღაროს მუშებს 1926 წელში, დაბრუნებული უნდა იქნეს, მაგრამ უპროცენტოდ“.

ყოველივე ეს არის სიცრუე და გამოცდილ ფალსიფიკატორების მიერ მოჭორილი ამბავი. ეს სიცრუე. როგორც ჩანს, გავრცელებულია იმ მიზნით, რათა მოაჩვენონ მუშებს, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები აპირებენ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენონ ინგლისელი მემაღაროენი, რომლებიც ინგლისის ბურჟუაზიამ გენსაბჭოს დახმარებით ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამ მორიგი სიცრუით სურთ უჩვენონ ინგლისელ მემაღაროეთ, რომ ჩვენი კავშირები დახმარებას უპირებენ მათ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს არავითარი სესხი არ მიუციათ ინგლისელ მაღაროს მუშებისათვის. ჩვენი კავშირები უკან დასაბრუნებელ სესხს კი არ აგროვებდენ საბჭოთა კავშირის მუშებს და მოსამსახურეებს შორის, არამედ დახმარებას კლასობრივ ძმებისათვის, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდენ ჩვენს საერთო კლასობრივ მტრებთან. ჩვენში არსად არ დასმულა და არც შეიძლებოდა დასმულიყო საკითხი, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი დახმარება მაღაროს მუშებს განეხილათ, როგორც ფულადი სესხი; მით უფრო ნაკლებად შეიძლება ამაზე ლაპარაკი ჩვენში მაშინ. როდესაც ბურჟუაზიის მიერ დამარცხებული მემაღაროენი განიცდიან უდიდეს [illegible] და გაჭირვებას. ჩვენ მიერ მათთვის გაგზავნილი დახმარება ჩვენ მოგვაჩნდა და მიგვაჩნია კლასობრივ სოლიდარობის გამოხატულებათ და დახმარებათ ჩვენი კლასის წევრებისათვის; ჩვენ დარწმუნებული ვართ. რომ ჩვენი ბრძოლის დროს მტრების წინააღმდეგ ჩვენ მივიღებთ მემაღაროეთაგან დახმარებას და კლასობრივ სოლიდარობის გამოხატულებას“.

მოლაპარაკება პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 12 იანვარი. გერმანიის გაზეთების ცნობით, 12 იანვარს ვარშავაში განახლდება პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. გერმანიის მხრივ მოლაპარაკების პერსპექტივები ხელსაყრელად მიაჩნიათ. მოლაპარაკების მიზანია—მცირე სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეიცავს, (ადს).

„ფარსი თავიდან ბოლომდე“

ლონდონი, 12 იანვარი. შესდგა პირველი შეერთებული სხდომა ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოსა და იმ მრეწველთა ჯგუფის, რომელთაც **ალფრედ მონდი** მეთაურობს. სხდომა იხილავდა საკითხს „მრეწველობაში მუშებისა და მწარმოებლების თანამშრომლობის“ შესახებ. სხდომაზე თავმჯდომარეობდა მონდი. რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენციის ამოცანას შეადგენს მრეწველობის წინაშე მდგარ პრობლემების შესწავლა და არა მოლაპარაკება მუშებსა და მწარმოებლების წარმომადგენლებს შორის.

მონდის გენსაბჭოს სახელით უპასუხა **ბენ-ტერნერმა**, რომელიც მოითხოვდა. რომ გენსაბჭოსა და მწარმოებლების შეერთებული სხდომები არ გადაქცეულიყო დისკუსიად. ეს სხდომები, მისი აზრით, „უნდა წარმოადგენდენ „სერიოზულ მოძრაობას იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს ნაციონალური მრეწველობა და გამოინახოს საშუალებები ეხლანდელი სამრეწველო ქაოსის დასაძლევად“.

კამათში პირველად გამოვიდა **კუკი** რომელმაც პროტესტი განაცხადა სხდომის საერთო ხასიათის წინააღმდეგ.

სხდომის დამთავრების შემდეგ, კუკმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ **სხდომა „თავიდან ბოლომდე ფარსი“ იყო**. (ადს).

ბენ-ტერნერი სხვაინაირად ფიქრობს, ვიდრე კუკი

ლონდონი, 12 იანვარი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ იმ კონფერენციის სამი საათის თათბირის შემდეგ, რომელზედაც ირჩეოდა მრეწველობაში ზავის ჩამოგდების საკითხი, კუკმა განაცხადა, რომ კონფერენცია წარმოადგენდა ნამდვილ კომედიას. **კონფერენციაზე კუკის წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრეს პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს სხვა წარმომადგენლებმა**. გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, ბენ-ტერნერმა კი განაცხადა. რომ კონფერენცია იყო „განსაკუთრებით ნაყოფიერი“.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების პერსპექტივები

პესიმისტური განწყობილება

კოვნო, 12 იანვარი. ლიტვის **პოლიტიკური წრეები პესიმისტურად აფასებენ პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების პერსპექტივებს**. ლიტვის ოფიციალური ცნობები აღნიშნავენ, რომ 1) **ამ უკანასკნელ დროს კვლავ ჰქონდა ადგილი პოლონეთის რაზმების თავდასხმას სადემარკაციო ხაზზე მდებარე ლიტვის სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებზე**, 2) პოლონეთის მთავრობა კვლავ მხარს უჭერს ლიტველ ემიგრანტების ინტრიგებს ვილნოში, 3) ვილნოს ოლქში დახურულ 43 სკოლიდან არც ერთი არ იქნება გახსნილი და დაპატიმრებულ 10 ლიტველ ქსენძიდან მხოლოდ ორია განთავისუფლებული.

პლეჩკაიტისი — კონტრდაზვერვის აგენტი

კოვნო, 12 იანვარი. მმართველ პარტიის ორგანო „ლეტუვის“-ი აქვეყნებს ცნობას, რომ **სოციალ-დემოკრატი პლეჩკაიტისი**, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი ორგანიზატორია „ლიტვაზე გალაშქრებისა“, 1922—23 წელში, **ხეიმის დეპუტატად ყოფნის დროს მსახურობდა კონტრდაზვერვაში. „ლეტუვის“-ის სიტყვებით, პლეჩკაიტისს დავალებული ჰქონდა ცნობების მიწოდება ლიტველ სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების მუშაობის შესახებ (ადს).**

მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია

ბერლინი, 12 იანვარი. გამოქვეყნდა სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესიის ანგარიში.

სესია, რომელიც შესდგა 13 და 14 დეკემბერს ჟენევაში, დაიწყო შვეცია-საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კომიტეტის დაარსების საკითხის გარჩევით. ამ საკითხის გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ავალებს ფედერაციის გენერალურ მდივანს გამოარკვიოს პირობები, რომლებშიაც შეიქმნა კომიტეტი ხოლო აღმასკომის შემდგომ სესიაზე უნდა გადაწყდეს—შესაძლოა თუ არა არსებულ მდგომარეობაში შვეციის სამთამადნო მუშათა კავშირის შემდგომი მონაწილეობა საერთაშორისო ფედერაციაში.

მუშების ბრძოლა

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროების მოთხოვნილება

პრაღა, 12 იანვარი. მემაღაროეთა რეფორმისტული პროფკავშირების ორგანო აცხადებს, რომ **ჩეხო-სლოვაკიის ჩრდილოეთ - დასავლეთ რაიონის მემაღაროები გამოაცხადებენ გაფიცვას, თუ 5 თებერვლამდე, როცა თავდება ძველი კოლექტიური ხელშეკრულების ვადა, მაღაროების პატრონები არ მიიღებენ ახალ ხელშეკრულებას.** ოსტროვსკის სამთო რაიონის საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს. რომ ის მზათ არის მხარი დაუჭიროს ჩრდილოეთ - დასავლეთ რაიონის მემაღაროეთა მოთხოვნილებებს. (ადს).

ლოკაუტის საფრთხე

სტოკჰოლმი, 12 იანვარი. შვეციის ხეტყის სახერხ ქარხნების მეპატრონეებმა გადასწყვიტეს 23 იანვარს ყველა თავის წარმოებებში გამოაცხადონ ლოკაუტი, თუ ამ ვადისათვის მოწესრიგებული არ იქნება კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა ქაღალდის მრეწველობისათვის საჭირო ხის მასის დამამზადებელ წარმოებებში. (ადს).

ეგვიპტე და ავღანისტანი

„დეილი ტელეგრაფი“ უკმაყოფილოა

ლონდონი, 12 იანვარი. ალექსანდრიიდან იტალიაში გამგზავრების წინ ავღანისტანის პადიშაჰმა მიიღო ეგვიპტის ჟურნალისტები, რომელთაც, „დეილი ტელეგრაფ“-ის კაიროელი კორესპონდენტის სიტყვით, მისცა „მრავალმნიშვნელოვანი ინტერვიუ“. ხაზი გაუსვა რა იმ გარემოებას, რომ ავღანისტანის ხალხი ხუთ ომში იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. ფადიშაჰმა განაცხადა:

„80 წლიწადი იბრძოდა ავღანისტანის ხალხი თავისი მტრის წინააღმდეგ თავისუფლების მოსაპოებლად. ეხლა ეს მიზანი მიღწეულია“.

თავის მოწინავე შეხედულებების ილუსტრაციად, ფადიშაჰმა განაცხადა, რომ მას შეცდომად მიაჩნია მუსლიმანური სამღვდელოების აზრი ავღანელების მიერ ნაციონალური ტანთსაცმელების და ფესკების ტარების აუცილებლობის შესახებ და, რომ მან ავღანისტანის ხალხს მისცა სრული თავისუფლება ტანთსაცმელების ამორჩევაში, რასაც „არაფერი საერთო არა აქვს სარწმუნოებასთან“.

2 იანვარს ფადიშაჰმა ინახულა ეგვიპტის პარლამენტი, სადაც წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მადლობა განუცხადა ეგვიპტის ხალხს კარგი მიღებისათვის და მწუხარება გამოსთქვა ზაგლულ-ფაშის და ჯემალ-ედინ-ავღანის (პანისლამიზმის ერთ-ერთი მოღვაწე, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ზაგლულზე მისი ახალგაზრდობის წლებში) სიკვდილის გამო. ფადიშაჰს უპასუხა ვაფდის პარტიის ბელადმა და პარლამენტის თავმჯდომარემ მუსტაფა-ნახას-ფაშამ, რომელმაც ეგვიპტის ხალხის სახით სიხარული გამოსთქვა, ფადიშაჰის ეგვიპტეში ჩასვლის გამო. შემდეგ დამსწრე [illegible] მოწამე გახდა იმ „აუწერელი ენტუზიაზმის“ და მხურვალე ოვაციების, რომლითაც ფადიშაჰს მიესალმენ დეპუტატები.

ყოველივე ამან ძლიერ განაცვიფრა და გააჯავრა „დეილი ტელეგრაფ“-ის კაიროელი კორესპონდენტი, რომელიც სწერს:

„ძნელია რაიმეს თქმა ამ უეცარ გამოსვლაზე, რომელიც უნდა მივაწეროთ იმას, რომ მეფე ამანულა არ იცნობს საკმაოდ სხვა ქვეყნების ზნე-ჩვეულებებს (ადს).

ფინეთის პრესა „პრავდა“-ს წერილის შესახებ

ჰელსინგფორსი, 12 იანვარი. პროგრესისტების ორგანო „ტურუნ-სანომატი“ ეხება „პრავდაში“ გამოქვეყნებულ თეთრგვარდიელ გროვენიცის წერილს და ამ წერილების შესახებ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრის მიერ გამოქვეყნებულ ცნობას და აღნიშნავს, რომ სამინისტროს ცნობა არ უარყოფს არც იმ ფაქტს, რომ გროვენიცმა ინახულა ფინეთის პრეზიდენტი და არც იმას, რომ მის საუბარს პრეზიდენტთან ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. შემდეგ გაზეთი სწერს: „სახიფათოა, როდესაც პარლამენტარული ქვეყნის სათავეში მდგომი პირი პოლიტიკური ხასიათის საუბრებს მართავს პოლიტიკურ ინტრიგანტთან. რუსეთის მონარქისტების ის წარმომადგენლები, რომლებიც მართავენ პოლიტიკურ საუბრებს, უბრალო ინტრიგანებათ უნდა ჩაითვალონ. თუ კი ეს პოლიტიკური საუბრები ასეთ პირებთან იმართება პასუხისმგებელ მინისტრის თანხმობით, მაგრამ [illegible], მაშინ ეს საუბრები ღებულობენ ისეთ ხასიათს რომელიც არ შეეფერება პარლამენტარიზმის მოთხოვნილებებს. ასეთი საუბარი ადვილათ გადაიქცევა პრეზიდენტის პირად პოლიტიკათ, რაც ზიანს მოუტანს, როგორც თვითონ მას, ისე სახელმწიფოსაც“. (ადს)

მოითხოვენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევას

ლონდონი, 13 იანვარი. პროფკავშირთა ლონდონის საბჭოს მდივანმა უოლმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭომ მთელ რიგ ორგანიზაციებისაგან მიიღო წინადადება იმის შესახებ, რომ გამოიტანოს რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს საბჭოს გამოიჩინოს ინიციატივა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის მოწვევის საქმეში. ორგანიზაციები მოითხოვენ, რათა მათი წინადადებები გადაეგზავნოს საბჭოს. უოლის სიტყვით აღნიშნული საკითხი გაირჩა ლონდონის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე და საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა გამოიმუშაოს რეზოლიუციის პროექტი და წარუდგინოს ის განსახილველად საბჭოს მომავალ პლენუმს, რომელიც შესდგება თებერვალში. უოლმა აღნიშნა, რომ რეზოლიუციაში, რომელსაც ალბათ შეიმუშავებს საბჭოს პლენუმი ნათქვამი იქნება, რომ სასურველია ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის მოწვევა, მაგრამ არ შეიცავს იმის მოთხოვნას, რომ საბჭომ გამოიჩინოს ამ საკითხში ინიციატივა. (ადს)

უნგრეთი იარაღდება

„ბოსტნეული“ იტალიიდან

პრაღა, 12 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება „ბრატისლავის უნგრული გაზეთი „რუგ გელ“ აქვეყნებს ვინმე **ლასლოს** განცხადებას ამავე გაზეთის რედაქტორის სახელზე.

ლასლო იმყოფება ბრატისლავის ციხეში უნგრეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის.

ლასლომ, რომელმაც აღიარა, რომ ის პროფესიონალური ჯაშუშია, განაცხადა, რომ სამი წლის უკან იტალიიდან რუმინეთში გაგზავნილი იქნა იარაღის ტრანსპორტი, რომელიც სარკინიგზო დოკუმენტში აღნიშნული იყო, როგორც ბოსტნეული. ეს ტრანსპორტი „ჩარჩა“ უნგრეთში. მიზეს ახლოს. გზატკეცილის ახლო მდებარე გორაკებში გათხრილია ხელოვნური გამოქვაბულები, რომლებშიაც გადამალულია 4 ჯავშნიანი ავტომობილი. ბუდაპეშტის გემების საამშენებლო ნავთსადგურში დამალულია კრეისერი, რომელიც იქ ინახება, როგორც დაზიანებული საბუქსირო გემი. საარტილერიო მოედანზე ხაიმასკერში დამალულია დიდძალი სამხედრო მოწყობილება და თოფები. კესკემეტის და სოჩლედის მიდამოებში გლეხების სახლებში დამალულია ტყვიისმფრქვეველები. მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიამ დაათვალიერა ეს ადგილები, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. რადგან გლეხებმა, მიღებული განკარგულების თანახმად ის ტყვიისმფრქვეველები სხვა ადგილას გადაიტანეს.

ტერორი პოლონეთში

„კურიერ პორანნის“ მოთხოვნილება

ვარშავა, 12 იანვარი. „კურიერ პორანნი“ მოწინავე წერილში ეხება მუშურ-გლეხურ მთლიანობის საკანდიდატო სიის გაუქმების საკითხს. გაზეთი ამ სიას უწოდებს კომუნისტურს და აღნიშნავს, რომ სასურველია მისი გაუქმება (ადს).

ბელორუსიის გრომადის საქმე

ვარშავა, 12 იანვარი. დეპუტატები რაკ. მიხაილოვსკი, ტარაშკევიჩი, ვოლოშინი და მეტლა, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული ბელორუსიის გრომადის საქმეზე, გადაიყვანეს ვილნოს საპყრობილეში (ადს).

„კავშირისათვის“

ვარშავა, 12 იანვარი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ოფიციალურად იუწყება, რომ სამინისტროსთან „კავშირისათვის“ მივლინებული იქნება ოფიცერი, რომელიც არის სამხედრო უწყების წარმომადგენელი (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 12 იანვარი გაიფიცა სურსათ-სანოვაგის მაღაზიების 6.000 მოსამსახურე, გაფიცულები მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას (ადს).

საიმედო დასაყრდენი

შანხაი, 12 იანვარი. შანხაის საერთაშორისო უბნის მუნიციპალური საბჭომ გადასწყვიტა გაადიდოს რუს თეთრგვარდიელთა მოხალისე რაზმის რიცხვი 700 კაცამდე (ადს).

მასიური დაპატიმრებანი ხანკოუში

შანხაი, 12 იანვარი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, იქ გრძელდება კომუნისტების მასიური დაპატიმრება. (ადს)

ფარული ვაჭრობა იარაღით

შეკითხვა საფრანგეთის დეპ. პალატაში

პარიზი, 12 იანვარი. სოციალისტმა დეპუტატმა **ლაფონმა** დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა იარაღით საიდუმლო ვაჭრობის წინააღმდეგ. შეკითხვა დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ცოტა ხნის წინად აღმოჩენილ იქნა იარაღის ფარული გადაზიდვა უნგრეთის გზით.

ჰავასის სააგენტოს ბელგრადელი კორესპონდენტი ადასტურებს ცნობას, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოების მთავრობებმა გადასწყვიტეს იშუამდგომლონ ერთა ლიგის წინაშე, რომ დანიშნულ იქნეს განსაკუთრებული კომისია იმ ინციდენტის გამოსარკვევად, რომელიც წარმოიშვა უნგრეთის გზით იარაღის საიდუმლოდ გადაზიდვის გარშემო (ადს).

იაპონია არჩევნების წინ

პარლამენტის დათხოვნა აუცილებელია

ტოკიო, 12 იანვარი. იაპონიის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის დათხოვნა აუცილებელია. არაა მხოლოდ გამორკვეული თუ როდის დაითხოვენ—სესიის მოწვევის დღეს, თუ რამდენიმე დღით უფრო გვიან.

ამხ. მაქს ჰელცის საქმე

ბერლინი, 12 იანვარი. წარსულ კვირაში მაქს ჰელცის დამცველმა გერმანიის კომპარტიის და რეიხსტაგის გერმანელ სექციის წარმომადგენლებთან ერთად ინახულა მაქს ჰელცი ზონენბურგის საკატორღო ციხეში. დამცველმა წინადადება მისცა ჰელცს, შეიტანოს შუამდგომლობა საქმის ხელახლა გარჩევის შესახებ. საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ შუამდგომლობა უზენაეს სასამართლოში შეტანილი იქნას იანვარში.

„როტე ფანეს“ ცნობით, ჰელცის საქმეზე მოხერხდა ახალ ძლიერ მნიშვნელოვან ცნობების აღმოჩენა.

არაბეთი

დამსჯელი ექსპედიცია ვაჰაბიტების წინააღმდეგ

ლონდონი, 12 იანვარი. ირაქიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გეჯასის და ნეჯდის მეფემ იბნ-საუდმა გადასწყვიტა წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისის და ირაქის ჯარების მიერ არაბეთის საზღვრების გადალახვას ვაჰაბიტების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის გასაგზავნად. ვაჰაბიტებს სათავეში სდგას ფეიზალ-ედ-დოვიშ.

ირაქიდან მიღებულ ზოგიერთ ცნობებში ნათქვამია, რომ იბნ-საუდმა გაგზავნა მცირე რაზმი ფეიზალის წინააღმდეგ. რაზმი დაიწყებს მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეიზალი არ დაემორჩილება იბნ-საუდის მოთხოვნილებას ირაქის წინააღმდეგ გამოსვლის შეწყვეტის შესახებ. **მაგრამ თუ ინგლისის და ირაქის ჯარები შეეცდებიან არაბეთის საზღვრის გადალახვას, მათ წინააღმდეგ გამოვლენ იბნ-საუდის და ფეიზალის შეერთებული ძალები** (ადს).

სხვადასხვა

აფეთქება პიროტეხნიკურ სახელოსნოში

ტოკიო, 12 იანვარი. კურუმში (იაპონია) პიროტექნიკურ სახელოსნოში გაჩენილ ხანძრის გამო მოხდა აფეთქება. მოკლულია 17 მუშა. ჯერ-ჯერობით ნაპოვნია მხოლოდ 12 დამწვარი გვამი. (ადს).

დანიის სამხედრო ჰაეროპლანის დაღუპვა

კოპენჰაგენი, 12 იანვარი. დანიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კოპენჰაგენის მახლობლად ჩამოვარდა სამხედრო ჰაეროპლანი, რომელიც დაეცა ყინულზე, არხში. ჰაეროპლანის სიმძიმემ ჩაამტვრია ყინული და ჰაეროპლანი ჩაიძირა. მოკლულია ორი მფრინავი.

აფეთქება ბარკასზე

ბერლინი, 12 იანვარი. მდ. ელბაზე მოხდა აფეთქება მოტორიან ბარკასზე. რომელზედაც იმყოფებოდა 90 მუშა და მეზღვაურები მუშები გადაცვივდენ წყალში. დასახმარებლად მოსულმა ნავებმა გადაარჩინეს ყინულებს შორის მოცურავე მუშები. 35 მუშამ სერიოზული ჭრილობა მიიღო. ჯერ-ჯერობით ორი მუშა დაკარგულია. (ადს).

23 იანვარს აჭარისტანის ს. ს. რ. ქ. ბათომში
გაიხსნება
სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ.
3. პროექტი ს.ს.რ. მიწის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
4. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი.
5. პროექტი ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
6. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე

ცაკის წევრებისა და კანდიდატების გამგზავრების დღე და წესი იქნება გამოცხადებული დამატებით.

ს ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ბელგიის ფაშისტების ბანდიტური თავდასხმა საბჭოთა გამოფენაზე

პარიზი, 13 იანვარი. დღის ორ საათზე უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების საბჭოთა გამოფენის გახსნის დროს ბრიუსელში, გამოფენის შენობაში შეიჭრა ბელგიის ახალგაზრდათა ფაშისტური კავშირის წევრებისაგან შემდგარი ჯგუფი. გამოფენის შენობაში შეჭრისთანავე აღნიშნულმა ჯგუფმა შენობის პირველ ორ სართულში ყვირილით „ძირს საბჭოები" დაამტვრია ყველაფერი, რაც შეძლო, სხვათა შორის ლენინის ბიუსტიც, დახია ხალიჩები, პლაკატები და სურათები. ყველაფერი ეს მოხდა ორიოდე წუთში. შემდეგ მოცემული იქნა ნიშანი, თავდამსხმელები ჩამწკრივდნენ, გავიდენ გარედ და გაიფანტენ ქუჩებში. გზა-გზა არიგებდენ ანტი საბჭოთა პროკლამაციებს.

შენიშვნა: ცნობაში აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს საბჭოთა კულტურულ და სამეურნეო მშენებლობის მაჩვენებელ მოძრავ გამოფენას, და მოწყობილია ბრიუსელში უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის მეგობართა ბელგიის საზოგადოების მიერ. (ადს).

პოლიცია ხელს უწყობს ბანდიტებს

პარიზი, 13 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება ბრიუსელიდან: „ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაათვალიერეს საბჭოთა გამოფენის შენობა, ვერ აღმოაჩინეს ისეთი ნიშნები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ აღმოეჩინათ თავდამსხმელთა ვინაობა". (ადს)

საბჭოთა ნავთი ინდოეთში

ლონდონი, 13 იანვარი. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ნავთის კომპანია „ბირმა ოილ კომპანიმ" თხოვნით მიმართა ინგლის-ინდოეთის მთავრობის საბაჟო სამმართველოს, მიიღოს ზომები მისი ნავთის დასაცავად საბჭოთა ნავთის კონკურენციისაგან. (ადს).

გემ „პამიატ ლენინა"-ს მგზავრები მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირში.

პეკინი, 13 იანვარი. დღეს გემ „პამიატ ლენინა"-ს ხენანის ციხიდან განთავისუფლებული მგზავრები, იაპონიის გემით ცინდაოდან გამოემგზავრენ დაირენში. დაირენიდან საბჭოთა გემ „სიმფეროპოლით" გამოემგზავრებიან საბჭოთა კავშირში. (ადს)..

მუშების პროტესტი ამხ. კაშენის და კუტიურიეს დაპატიმრების წინააღმდეგ

პარიზი, 13 იანვარი. კომპარტიის მიერ მოწვეულ იქნა დიდი საპროტესტო მიტინგი ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში. კაშენის და ვაიან კუტიურეს დაპატიმრების გამო კი მიტინგმა ამნიფესტაციის ხასიათი მიიღო. მიტინგის მონაწილენი მოითხოვდენ ამნისტიას პოლიტიკურებისათვის. (ადს)

ჩან-კაი-შის მზადება

ტოკიო, 13 იანვარი. ჩან-კაი-შიმ გასცა ბრძანება ნანკინის ჯარების ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში თავმოყრის შესახებ, იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს მუკდენის ჯარების წინსვლას. ჩან-კაი-შიმ ამასთანავე გადასცა ფინ-იუი-სიანს ერთი მილიონი დოლარი თავდაცვის მოსაწყობათ მუკდენელებისაგან. (ადს).

კომუნისტების აჯანყება ჩუენციანში

შანხაი, 13 იანვარი. ჩუენციანის რაიონში მოხდა სოციალისტური აჯანყება. აჯანყებულ რაიონში გაიგზავნა ჯარი. (ადს).

შანხაიში აკრძალულია გაფიცვები

შანხაი, 13 იანვარი. შანხაის თავდაცვის კომისარმა აკრძალა გაფიცვების გამოცხადება. (ადს).

გლეხთა აჯანყება მუკდენის ახლოს

პეკინი, 13 იანვარი. მუკდენიდან მიღებულ ცნობების თანახმად 600 კაცისაგან შემდგარმა გლეხთა ორგანიზაციამ, სახელწოდებით: „დიდი დანები", რომელიც მოქმედებდა დუნხუას რაიონში, განიარაღა ადგილობრივი პოლიცია და სავაჭრო პალატის დამცველი რაზმი. ქალაქ დუნხუას ახლოს სწარმოებს ბრძოლა გლეხთა რაზმებსა და მუკდენის არმიის სამ ბატალიონს შორის. (ადს).

საბჭოთა მოქალაქენი ჯერ კიდევ დაპატიმრებულია

პეკინი, 13 იანვარი. ნანკინის ხელისუფლებას დღესაც დაპატიმრებული ჰყავს სუჩჟოუში 5 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ინგლისის კონსულის რჩევით დაპატიმრებული იქნენ სვატოუში 30 სექტემბერს. (ადს).

ნისლი შავ ზღვაზე

ოდესა, 13 იანვარი. შავი ზღვის სანაპიროებზე სდგას სქელი ნისლი. გემების ნორმალური მოძრაობა შეფერხებულია. ოსმალეთის სანაპიროებთან გაირიყა ინგლისის გემი „ველბენ", რომელსაც ოდესაში მოჰქონდა ქიმიური საიმპორტო ტვირთები (ადს).

საკავშირო აღწერის შედეგები

ა.-კ. მოსახლეობა

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ დამუშავებული 1926 წლის აღწერის მასალებიდან მიღებულ წინასწარი ცნობების მიხედვით, ამიერ-კავკასიის მოსახლეობას ძირითად მასას შეადგენს სამი ეთნიური ჯგუფი —თურქები (აზერბეიჯანი), ქართველები და სომხები. ეს სამი ერი ერთად შეადგენს ამიერ-კავკასიის მთელი მოსახლეობის 76,92 პროც. თურქები შეადგენენ ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ. მთელი მოსახლეობის 28,2 პროც. (1.652.768 კაცი), ქართველები 25.09 პროც. (1.470.435 კაცი), სომხები—22,73 პროცენტს (1.332.593 კაცი). ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ. მოსახლეობის შემდეგ ჯგუფს შეადგენენ რუსები —336.178 კაცი, შემდეგ ოსები, მთიულები, ტალიშები და სხვ. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. მოსახლეობის შედარებით მნიშვნელოვან ნაწილს, 68.000 კაცზე მეტს შეადგენენ უცხოეთის ქვეშევრდომნი, რომელთა ჯგუფიც უმთავრესად შესდგება სპარსეთის, საბერძნეთის და ოსმალეთის მოქალაქეებისაგან. (ადს).

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურმა სამმართველომ წინასწარ დაამუშავა 1926 წლის საკავშირო აღწერის ცნობები მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის საკითხის შესახებ საბჭოთა კავშირის უდიდეს რესპუბლიკებში (საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კლასიფიკაციით, რომელიც შეიმუშავა საკავშირო სამეცნიერო აკადემიამ); ამ ცნობების მიხედვით სლავურ ერთა ჯგუფი ყველაზე მრავლად არის წარმოდგენილი უკრაინის მოსახლეობაში, ამიერ-კავკასიაში სლავთა ჯგუფი მეტად სუსტადაა წარმოდგენილი. სულ 6 ნახ. პროცენტია. საბჭოთა რუსეთის ევროპიულ ნაწილში მეორე ადგილი უჭირავთ თიურქული ჯგუფის ერებს— მთელი მოსახლეობის 6.3 პროცენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციაში პირველი ადგილი უჭირავთ იაფეტური ჯგუფის ერებს—55.9 პროცენტი. მეორე თურქული ჯგუფის ერებს—28 ნახ. პროცენტი. მესამე—სლავებს. თვალსაჩინოა აგრეთვე ერანელთა რიცხვი, რომელნიც შეადგენენ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის 5,4 პროცენტს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლენინი და წითელი არმია

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ წინადადება მისცა თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა ლენინის გარდაცვალების წლის თავის ჩატარებაში. ამ დღეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ უნდა გააშუქოს ის მომენტები, რომლებიც ახასიათებენ ლენინს, როგორც სამხედრო ორგანიზატორს. რომელიც ენერგიულ მუშაობას აწარმობდა მებრძოლი ორგანიზაციების მოსაწყობად და საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების უზრუნველსაყოფად. (ადს)

პროფკავშირთა პლენუმების შემადგენლობის შემცირება

მოსკოვი, 13 იანვარი. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პროფკავშირთა ორგანოების წინაშე დასმული ამოცანების ცხოვრებაში გატარება, პროფკავშირთა ცენტრ კომიტეტების თათბირმა ერთხმად გამოსთქვა აზრი, რომ მომავალ გადარჩევის დროს უნდა შემცირდეს პროფკავშირთა ორგანიზაციების პლენუმების შემადგენლობა. ის ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ 1000-მდე წევრს, ირჩევენ გამგეობაში 5—9 კაცს, 1000—5.000-მდე წევრს 9—13 კაცს, 5.000—15.000-მდე წევრს—13—17 კაცს და სხვ. (ადს)

საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის გადიდება

მოსკოვი, 13 იანვარი. როგორც განაცხადეს „გლავტექსტილში" საქონლის გაძლიერებული წარმოება შემოღებულია იმ 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ საფეიქრო ფაბრიკებზე, სადაც მზადდებოდა განსაკუთრებით სადეფიციტო საქონელი, როგორიცაა ტანისამოსი, თეთრეული და სხვ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის წარმოების გაძლიერება არ მოასწავებს მისი ღირსების გაუარესებას. ვინაიდან მეტრაჟის გადიდება იწარმოებს დამატებითი ნედლეული ხარჯზე. ფაბრიკების არჩევის დროს ამ ფაბრიკების ასორტიმენტი წინასწარ შეთანხმებული იქნა საკავშირო საფეიქრო სინდიკატთან. (ადს)

ხე-ტყის ექსპორტი

ლენინგრადი, 13 იანვარი. საექსპორტო ტყის სამმართველოს თავმჯდომარემ ამხ. იაკოვლევმა განაცხადა, რომ წარსულ წელში საბჭოთა კავშირიდან საზღვარ-გარედ გატანილია 80 მილიონი მანეთის ღირებულების საექსპორტო ტყის მასალა. მიმდინარე წელში ტყის ექსპორტი საგრძნობლად გაიზრდება. სხვადასხვა ქვეყნებში გაიგზავნება ხე-ტყით დატვირთული 300 გემი. უცხოეთის ფირმები სიამოვნებით იძლევიან სესხს მათ მიერ შეკვეთილი ტყის დასამზადებლად. (ადს).

კრედიტი კოლმეურნეობებს

მოსკოვი, 13 იანვარი. იანვრისა და თებერვალ-მარტისათვის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის გახსნილია კრედიტები. ამიერ-კავკასიის ტრესტებში გაერთიანებული საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 315.000 მან., უზბეკისტანის საბჭოთა მეურნეობები — 85.000 მან., თურქმენისტანის — 40.000 მან. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ამხ. ლევანდოვსკი ბაქოში

ბაქო, 13 იანვარი. ბაქოში ჩამოვიდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი. 14 იანვარს ამხ. ლევანდოვსკი მოხსენებას გააკეთებს მეთაურთა შემადგენლობისა და ავიოქიმის საზოგადოების წევრთა კრებაზე. წითელარმიისა და ფლოტის სახლში (ადს).

გამოუქვეყნებელი დოკუმენტები

ბაქო, 13 იანვარი. აზერბეიჯანის სახელმწიფო არქივის სამმართველომ აღმოაჩინა ახალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტები; დოკუმენტები შეეხება ნარიმანოვის რევოლიუციონურ მოღვაწეობას და მის დაპატიმრებას ჟანდარმთა სამმართველოს მიერ იმის გამო, რომ ნარიმანოვი ხელს უწყობდა სპარსეთის რევოლიუციონურ პარტიას „მუჯახიდებს", დოკუმენტები შეეხება აგრეთვე მის დაპატიმრებას მეტეხის ციხეში 1909 წელს.

გარდა ამისა დოკუმენტებში აღმოჩენილია ნარიმანოვის გამოუქვეყნებელი სიტყვა ოდესის სისხლის ღვრის შესახებ 1905 წ. (ადს)

მოსკოვ-ბაქო-თეირანის საჰაერო ხაზი

ბაქო, 13 იანვარი. უკრაინის საჰაერო გზათა დირექტორმა ამხ. კრილოვმა მოსკოვ-ბაქო-თეირანის საჰაერო ხაზის შესახებ განაცხადა: „მანქანები და საფრენი შემადგენლობა მზადაა. მოქმედების დაწყებას აყოვნებს ხელის მოწერის საჭიროება შეთანხმებაზე უკრაინის საჰაერო გზათა სამმართველოსა და იუნკერსის კომპანიის შორის, რომლის მანქანებმა უნდა იმუშაონ ფეხლევ-თეირანის ხაზზე შეთანხმება მოხდება ფეხლევში და მოძრაობა დაიწყება არა უგვიანეს 1 თებერვლისა. ამხ კრილოვმა განაცხადა აგრეთვე, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისია იხილავს მოსკოვ-თბილისის ახალი ხაზის პროექტს. უკრაინის საჰაერო გზათა სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალეთის მთავრობასთან მოსკოვ-ხარკოვ-სევასტოპოლ-კონსტანტინოპოლის ხაზის შექმნის შესახებ (ადს)

თათბირი აღმოსავლეთის ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ

მოსკოვი, 12 იანვარი. აღმოსავლეთის ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კომისიის საკავშირო თათბირის 12 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. არტიუხინას მოხსენების გარშემო კომისიის მორიგ ამოცანების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის, შუა აზიის, ყირიმის, ყირგიზეთის ჩუვაშიის, ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკების და მარიის, ინგუშეთის და სხვა ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს თავისი მუშაობის ის თავისებურობანი, რომლებიც გამოწვეულია თავისებურ ადგილობრივ პირობებით. ყველა კომისიების დელეგატ-ქალებმა გამოსთქვეს მრავალი სურვილი. მათი პრაქტიკული წინადადებები დასამუშავებლათ გადაეცა კომისიებს. (ადს)

მოსკოვი, 13 იანვარი. აღმოსავლეთის ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიების 12 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიების სამი საინფორმაციო მოხსენება. აზერბეიჯანის კომისიის სახელით მომხსენებლად გამოვიდა ამხ. კადირბეკოვა, თათრესპუბლიკის კომისიიდან ამხ. კარიმოვა, ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომისიიდან ამხ. ბუტტე. ყველა მომხსენებლები კომისიების პასუხისმგებელი მდივნებია.

საინფორმაციო მოხსენებების დამთავრების შემდეგ, თათბირმა მოისმინა ამხ. არტიუხინას მოხსენება აღმოსავლეთის ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელ კომისიების ამოცანების შესახებ. „დიდი მუშაობა, რომელიც უნდა ჩაატარონ კომისიებმა, — სთქვა ამხ. არტიუხინამ,—მდგომარეობს ნაციონალურ რესპუბლიკებში მშრომელ ქალების კოოპერატიულად შეკავშირებასა და შინა-მრეწველობის განვითარებაში. საჭიროა, რომ კომისიების ინიციატივით მოწყობილ არტელებს ხელმძღვანელობას უწევდენ კოოპერატიული ორგანოები. კომისიების ძირითად მუშაობას უნდა შეადგენდეს ბავშვობისა და დედობის დაცვა". ამხ. არტიუხინა აღნიშნავს, რომ კომისიებმა იურიდიული დაწესებულებების საშუალებით გავლენა უნდა მოახდინონ სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, შეამოწმონ მათი მუშაობა და დახმარება გაუწიონ იურიდიული ბიუროების მოწყობას. კომისიებს უნდა მოახდინონ საბჭოთა კანონების პოპულიარიზაცია ქალთა კრებებზე, კანონები ისინი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და გამოააშკარაონ, თუ რა ცვლილებების შეტანაა საჭირო საბჭოთა კანონებში (ადს).

მოსკოვი, 13 იანვარი. აღმოსავლეთის ქალთა შრომის პირობების და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის 13 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. პახომოვის მოხსენება საბჭოს წევრ აღმოსავლეთის ქალთა პრაქტიკულ მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა აქტივობა საბჭოების გადარჩევას გადარჩევის დროს ზოგიერთ რაიონებში, უფრო მაღალი იყო ვიდრე იმავე რაიონების რუსის გლეხ-ქალთა აქტივობა. საბჭოს წევრ ქალების მუშაობა განსაკუთრებით უნდა იწარმოოს ყოფა-ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებულ სექციებში. საბჭოების მომავალ გადარჩევასთან დაკავშირებით დეპუტატ-ქალებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ თავის ამომრჩევლებს. საჭიროა შემოწმებული იქნეს მათი მუშაობა და დაისვას საკითხი საბჭოდან მათი გამოწვევის შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაშკარავდება მათი უმოქმედობა. დასასრულ ამხ. პახომოვმა აღნიშნა, რომ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიების შემადგენლობას. ამხ. პახომოვის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა (ადს)

შვიდი საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 13 იანვარი. შვიდი საათის სამუშაო დღის ჩამტარებელმა მთავრობის კომისიამ დაადგინა ბამბის 17 ფაბრიკის გარდა გადაიყვანოს შვიდი საათის სამუშაო დღეზე კიდევ ორი ბამბის ფაბრიკა; აგრეთვე 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილია 4 მაუდის ფაბრიკა და ორი კაბელის ფაბრიკა.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 13 იანვარი. საფეიქრო მრეწველობის ტრესტების წარმომადგენელთა თათბირმა გადასწყვიტა 16 იანვრიდან შემოიღოს შვიდი საათის სამუშაო დღე და სამცვლები მუშაობა ამხ. ძერჟინსკის სახელობის სართავ ფაბრიკაშიაც. შვიდი საათის სამუშაო დღე და სამცვლები მუშაობა შემოღებულია აგრეთვე სამ დიდ ფაბრიკაში. (ადს).

სარატოვი, 13 იანვარი. სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელათ სარატოვის ლითონის მრეწველობაში პირველ რიგში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა მოხდება ლენინის სახელობის ქარხანაში, სადაც იანვრის პირველ რიცხვებიდან სწარმოებდა რაციონალიზატორული მუშაობა. (ადს).

მოსკოვი, 13 იანვარი. 15 იანვრიდან პირველ მაისამდე მოსკოვის გუბერნიაში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადავა სულ 12 ფაბრიკა. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის საჭირო იქნება 5.500 ახალი მუშის მიღება. (ადს).

მუშა-ხელი სამრეწველო აღმშენებლობისათვის

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ს.შ.უ.ს სამშენებლო კომიტეტის ცნობით, მშენებლობისათვის მრეწველობის დარგში 1928 წლის სეზონში სულ საჭიროა 920.000 მუშა. ეს რიცხვი ნაკლებია შარშანდელთან შედარებით, (შარშან ფაქტიურად მუშაობდა 1.200.000 მუშა), მიუხედავათ იმისა, რომ მშენებლობა საერთოდ გაიზარდა 30 პროცენტით. ს.შ.უ.ს. საბჭოს სამრეწველო მშენებლობა მუშა-ხელით უზრუნველყოფილია. მაგრამ აუცილებელია სათანადოთ იქნას მოგვაროებული მუშახელის შეგროვება. (ადს).

სპეკულიანტების დაპატიმრება

ხარკოვი, 13 იანვარი. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ეკონომსამმართველომ შეაგროვა ცნობები, რომლებიც აშკარავებენ, რომ კერძო ვაჭარი—სპეკულიანტი სოფლის კულაკებთან ერთად ცდილობენ ყოველგვარი საშუალებით ჩაშალონ პურის გეგმიანი დამზადება სახელმწიფო და კოოპერატიული პურის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ. უკანასკნელ დღეებში უკრაინაში დაპატიმრებულ იქნა 200 კერძო ვაჭარ-სპეკულიანტი. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდა გადამალული პურის დიდი მარაგი. ფართო მოქმედება ქალაქის კერძო ვაჭარმა-სპეკულიანტმა განავითარეს მხოლოდ იმის შემწეობით, რომ მას ხელს უწყობდა სოფლის კულაკი, რომელიც ქალაქის სპეკულიანტის ფაქტიური აგენტი იყო. (ადს).

სვერდლოვსკი, 13 იანვარი. სახელმწიფო პოლიტ-სამმართველომ აღმოაჩინა მანუფაქტურით მოვაჭრე სპეკულიანტების ორგანიზაცია. დაპატიმრებულია 38 კაცი. ზოგიერთი სპეკულიანტები დღეში ახერხებდენ 1.000 მეტრ მანუფაქტურის შესყიდვას. ნაყიდ მანუფაქტურას ისინი ჰყიდიდენ 200 პროცენტის დამატებით (ადს).

ხარკოვი, 13 იანვარი. სახპოლიტსამმართველოს ორგანოების მიერ ხარკოვის ოლქის სოფ. ლოზოვაიაზე სპეკულაციისათვის და ფასების აწევისათვის დაპატიმრებულია 45 პურით მოვაჭრე. დაპატიმრებულების უმრავლესობა უპატენტო მოვაჭრე—კომისიონერია დაპატიმრებულებში ისეთებიც არიან, რომლებიც ფორმალურად არ ღებულობდენ საქმეში მონაწილეობას, არამედ უწევდენ მას ფარულად ფინანსიურ დახმარებას და მონაწილეობას ღებულობდენ მოგებაში. ადგილობრივმა მშრომელმა მოსახლეობამ მოიწონა სპეკულიანტების და პურის დამზადების ხელის შემშლელთა დაპატიმრება. (ადს)

მეორე-ხარისხოვანი საქონლის ექსპორტი

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა საფრანგეთში ხსნის საბჭოთა-სახალხო ვაჭრობის მაღაზიას. მაღაზია ივაჭრებს ქვეყნის სხვადასხვაგვარი საგნებით. მაღაზიის გახსნის მიზანია გააცნოს საფრანგეთის ბაზარს საბჭოთა მეორეხარისხოვანი ექსპორტის საგნები. (ადს).

მოსკოვი, 13 იანვარი. შესდგა დასავლეთის სავაჭრო პალატის საორგანიზაციო კომიტეტის თათბირი, რომელსაც დაესწრენ საქვეყნო ორგანოების და უწყებების წარმომადგენელნი. თათბირმა განიხილა 1928 წლის საერთაშორ. ბაზრობებზე და გამოფენებში მონაწილეობის საკითხი. პალატის წარმომადგენლებმა მოხსენებაში აღნიშნეს, რომ ამ ბაზრობებზე ჩვენი გამოსვლის მიზანია მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტის განვითარება და აგრეთვე ახალი გასაღების ბაზრების გამონახვა. ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს ბრიუსელის ბაზრობა. სადაც საბჭოთა კავშირი პირველად გამოდის. ბაზრობებში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს რ.ს.ფ.ს.რ. „გოსტორგმა", „სელკოპრომსოიუზმა", „პროდასილიკატმა", „პრომექსპორტმა" და სხ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

მუშათა დაწინაურების ერთ-ერთი ნაკლი

არსენალის რაიონის კომუჯრედთა მდივნების თათბირზე, სხვათა შორის, ერთ-ერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ პარტიის ქვედა საფეხურის ორგანიზაციები არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას დაწინაურებულ მუშებს. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამნაირი მოვლენა შემჩნეულია არა მარტო არსენალის რაიონში. პარტუჯრედებში ბევრ შემთხვევაში დაწინაურების საკითხს თავიანთ მუშაობაში ამოწურულათ სთვლიან, რაკი მათ წამოაყენეს ამა თუ იმ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე თავიანთი წარმოების მუშა.

სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ დაწინაურებულის მუშაობა მაშინ იძლევა სათანადო ეფექტს, თუ ის არ სწყვეტს კავშირს პარტუჯრედთან და ადგილკომთან. ჩვენ ვიცით მაგალითები როცა დაწინაურებულმა ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები. და ეს ზოგჯერ მოხდა არა იმიტომ, რომ დაწინაურებულ ამხანაგს არ შეეძლო ამ საქმის გაძღოლა, რომელიც მას დააკისრეს, არამედ იმიტომ, რომ მას კავშირი არ ქონდა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ის დამოუკიდებლად და თვითთავად მუშაობდა.

ერთ-ერთ დაბრკოლებათ მუშათა დაწინაურების საქმეში შემჩნეული არის ჩუმი და ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობა, რომელსაც უწევს ამ საქმეს ზოგიერთი ადმინისტრატორები და სპეციალისტები. ასეთ პირობებში ახლად დაწინაურებულ მუშას განსაკუთრებით საჭიროება პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციის სისტემატიური დახმარება და რჩევა-დარიგება. მაგრამ პრაქტიკაში ხშირათ სხვა ხდება. დაწინაურებული ამხანაგი, იმის გამო, რომ ის სწყვეტს საწარმოო კავშირს თავის ფაბრიკა-ქარხანასთან და ხშირათ, თუნდაც ერთ და იმავე ქალაქში, ტერიტორიალურად დაშორებულიცაა თავის წარმოებას, მექანიკურათ შორდება იმ პარტიულ და პროფესიონალურ უჯრედს, რომელმაც ის წამოაყენა. იშვიათად შეხვდებით პარტუჯრედის ოქმებში დაწინაურებულთა მოხსენებას. ასეთ მდგომარეობას მოაქვს თავისი უარყოფითი შედეგი.

დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს: პარტუჯრედებმა უნდა შეიტანონ თავიანთ სამუშაო გეგმებში დაწინაურებულთა მოხსენებები, რომელნიც უთუოდ უნდა იქნას შესრულებული წინასწარ გათვალისწინებულ სამუშაო კალენდარული გეგმით. ამ მოხსენებათა განხილვის შემდეგ ორგანიზაციებმა უნდა მისცენ სათანადო მითითებები დაწინაურებულს. უამისოთ მუშათა დაწინაურება, რასაც ასე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს პარტია, ვერ გამოიღებს ისეთ ნაყოფს, როგორც ეს საჭიროა.

ქ. ბ—ი.

ყრილობის დადგენილებანი ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარია

გუშინ, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა მე-4 რაიონში შემავალ შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება: სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართ. მუშფაკის, ცენტ. პარტსკოლის, შინაგ-მოქმედების, განათლების, იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების, სახალხო კვების, ფოსტა-ტელეგრაფის, ცენტრალური სტატ. სამმართველოს მილიციის, ქ. აღმასკომის, სოფლის კავშირის, მასწავლებელთა და პოლიგრაფ ტრესტის 1 და მე-5 სტამბის.

კრებაზე, რომელსაც დაესწრო 750 ამხანაგი მე-15 პარტყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ, რომლის გამოსვლას ერთსულოვანი ტაშით შეხვდა მთელი აუდიტორია.

მოხსენების გარშემო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. ფ. მახარაძის, მე-15 პარტყრილობის შედეგებზე — მეოთხე რაიონის კომუჯრედთა ჯგუფური კრება მთლიანად და სავსებით იწონებს და უერთდება ყრილობის დადგენილებებს, რომლებიც სწორათ გამოხატავენ პარტიის ლენინურ ხაზს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

კრება დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს იმ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვა მუშათა კლასმა კომპარტიის ხელმძღვანელობით — სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს პროლეტარიატის ხელმძღვანელობითი როლის ზრდას გლეხებზე, რომლის შედეგია მუშების და გლეხების შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცება.

კრება განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს მენშევიკურ-ტროცკისტულ ოპოზიციის სრულ გაკოტრებას, მის პოლიტიკურად განადგურებას, უპრინციპო ოპოზიციონური ბლოკის გათიშვას, რომლის შედეგია ზინოვიევ კამენევის სრული კაპიტულიაცია პარტიის წინაშე.

კრება ალტაცებით ეგებება ყრილობის დადგენილებას ოპოზიციის პარტიიდან გარიცხვის შესახებ და იმ პირობებს, რომლებიც ყრილობამ მიიღო ზინოვიევ-კამენევის და სხვების ხელახლად პარტიაში დაბრუნების შესახებ.

რაც შეეხება გაუსწორებელ ტროცკისტებს, რომლებიც არ ემორჩილებიან ყრილობის დადგენილებებს და ლამობენ კვლავაც განაგრძონ ბრძოლა პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ — პარტიამ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა იხმაროს ყველა საშუალებანი, რაც კი მოეპოვება პროლეტარიატის დიქტატურას.

კრება საჭიროდ სცნობს, რათა ყველა ის ადგილობრივი უკლონისტ-ტროცკისტები საქართველოში, რომლებიც მტკიცეთ შერჩნენ მენშევიკურ პოზიციას —დღეიდან უნდა ჩაითვალონ პარტიის და ხელისუფლების აშკარა მტრებათ და ბრძოლა მათ წინააღმდეგ უნდა სწარმოებდენ იმავე საშუალებებით, რა საშუალებითაც პარტია ებრძოდა და ებრძვის პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ჯურის დაუძინებელ მტრებს.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს პროლეტარიატის ხელმძღვანელობითი როლის ზრდას გლეხებზე, რომლის შედეგია მუშების და გლეხების შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცება.

მტკიცეთ ვიდგომებით ლენინიზმის სადარაჯოზე

მეოთხე რაიონი

გუშინ ახალ მუშათა კლუბის შენობაში შესდგა გაერთიანებული კრება შემდეგი კომუჯრედებისა: რკინიგზის მუშფაკის, სახპოლიტეკნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, რეზინოტრესტის, მაშინოტრესტის და სხვა. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვასილიევი.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია მოხსენების გარშემო, რომელშიაც ის სავსებით უერთდება მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს. სწორად სცნობს მის მიერ აღებულ ხაზს და იწონებს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ მისი საბოლოო ლიკვიდაციის მიზნით.

შ. —ძე.

გავატაროთ ცხოვრებაში ყრილობის დადგენილებანი

მეორე რაიონი

გუშინ, ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა გაერთიანებული კრება შემდეგი კომუჯრედებისა: ტრამვაის, ტრამვაის ელექტრო-სადგურის, საბაჟოსი, წყალსადენის, მუშკოოპის, საქართველოს საწარ. კოოპ. კავშირის, საქ. სახ. ვაჭრობის და სხვა. კრებაზე სულ 600-მდე ამხანაგი გამოცხადდა.

საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რუბენი. ორი საათის განმავლობაში მთელი დარბაზი დიდის ყურადღებით ისმენდა ამხ. რუბენის მოხსენებას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კამათი არ ყოფილა. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „კრება დარწმუნებული სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებაში იძლევა დაპირებას, რომ იდეურ ორგანიზაციულად გაერთიანებული რიგებით იბრძოლებს წვრილ ბურჟუაზიულ-ტროცკისტულ მერყეობის და გზადაბნეულობის წინააღმდეგ. შეთანხმებული მუშაობით ჰატარებს ცხოვრებაში ყრილობის ყველა დადგენილებებს.

გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობითი მუშაობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას!"

შ—ძე.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკონტ. კომისიაში ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ შეტანილია შემდეგი განცხადებანი:

„ამხ. თეოფილე სიამაშვილმა, რომელიც პარტიის წევრია 1917 წლიდან და ოზურგეთის ორგანიზაციას ეკუთვნის, განაცხადა, რომ მას მიუღებლად მიაჩნია ოპოზიციის შეხედულებანი კატეგორიულად იმიჯნება ამ შეხედულებებისაგან და სწორად სთვლის ც. კ-ის ხაზს იმავე ორგანიზაციის წევრებმა ამხანაგებმა ნადირაძემ (პარტიის წევრია 1917 წლიდან) ილარიონ გობრონიძემ (1913 წლიდან), სარდიონ ნიკოლაიშვილმა (1917 წლიდან), სამუელ ნაკაიძემ (1926 წლიდან) კი განაცხადეს შემდეგი:

„ჩვენ ხელი მოვაწერეთ ოპოზიციის პლატფორმას და ვიზიარებდით მის შეხედულებებს. ახლა ჩვენ დავრწმუნდით, რომ ოპოზიცია სდგას მეორე პარტიის ორგანიზაციის გზაზე, რაზედაც წინათ ფიქრიც კი არ შეგვეძლო. მთლიანად ვიმიჯნებით ოპოზიციისაგან, ვხსნით ჩვენს ხელმოწერას, სრულიად სწორად მიგვაჩნია მე-15 პარტიული ყრილობის ყველა დადგენილება, ძეტადრე ტროცკისტული ოპოზიციის საკითხის შესახებ".

ქუთაისის ორგანიზაციის წევრები ამხანაგები იაგორ სტურუა (პარტიის წევრია 1917 წლიდან) მელიტონ გეგეჭკორი (1918 წლიდან), რაჟდენ აბესაძე (1921 წლიდან), ისიდორე ჯავახიძე (1924 წლიდან) და ირაკლი კაპანაძე (1924 წლიდან) იმიჯნებიან ოპოზიციისაგან და ხსნიან თავის ხელმოწერას 83-ის განცხადებიდან.

იაგორ სტურუა სწერს: „მე-15 პარტიული ყრილობის შემდეგ და მოხსენებათა და განმარტებათა მოსმენის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის გზა შემცდარი გზაა. ოპოზიციის იდეა და მისი მოქმედება ხაზგასმული მენშევიკური გადახრაა; ოპოზიციონერებს დეზორგანიზაცია შეაქვთ ჩვენს რიგებში მე დავრწმუნდი ოპოზიციის მოღალატურ მუშაობაში და დღევანდელი დღიდან ვშორდები ოპოზიციას, ვხსნი ჩემს ხელმოწერას 83-ის განცხადებიდან და ვუერთდები მე-15 პარტიული ყრილობის დადგენილებებს. მოვუწოდებ ყველა ამხანაგებს, რომლებიც ისევ იზიარებენ ოპოზიციის გაკოტრებულ აზრებს, დასტოვონ ოპოზიციონური ბანაკი და ჩადგნენ ლენინური პარტიის რიგებში".

თბილისის მესამე რაიონის ორგანიზაციის წევრები, ამხანაგები: შუშანიკ მნაცაკანოვა, ლ. ქურჩიევი, არშაკ გამარიანი, ამბარცუმ ტერ-ავაქოვი, ლევან ავეტისოვი, სარქის აზიზიანი და თეოდორ ჭერენგოფერი კატეგორიულად იმიჯნებიან ოპოზიციის შეხედულებებისაგან, მის მოქმედებას გამთიშველად სთვლიან, რომელიც მიმართულია ლენინური პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ და ხსნიან თავის ხელმოწერას ოპოზიციის განცხადებიდან. ეს ამხანაგები აღწერენ თავის ფრაქციონურ მოქმედებას და ამჟღავნებენ ფრაქციონერის გლუხოვსკის გამხრწნელ მუშაობას. არალეგალური ფრაქციონური რაიკომის ყოფილი წევრი ამხ. ქურჩიევი აღწერს იმას, თუ როგორ მოჰყვა ამ რაიკომის შემადგენლობაში.

კომკავშირში

კომკავშირის მონაწილეობა პურის დამზადებაში

მოსკოვი, 13 იანვარი. საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკამ საკავშირო ა. ლ. კ. კ. ყველა ორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარით პურის დამზადების კამპანიაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.

საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკა აღნიშნავს რა, რომ პურის დამზადების კამპანიაში კომკავშირი მეტად სუსტ მონაწილეობას ღებულობს, საჭიროთ სთვლის, რათა კომკავშირის კომიტეტებმა მიიღონ ყველა ზომები კომკავშირის მონაწილეობის გასაძლიერებლად პურის დამზადების კამპანიაში. კომკავშირის მუშაობა ამ მიმართულებით მაჩვენებელი იქნება იმის. თუ რამდენათ შეუძლია კომკავშირის ორგანიზაციებს დახმარების გაწევა მიმდინარე მომენტის ამ კონკრეტიულ და საპასუხისმგებლო ამოცანის გახორციელების საქმეში.

ამის გამო საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ მათ გლეხობაში გასწიონ ფართე საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა იმისათვის, რომ დაარწმუნონ გლეხობა პურის ზედმეტი მარაგის სახელმწიფოსათვის მიყიდვის აუცილებლობაში. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების განკარგულებაში საჭიროა გაიგზავნოს სათანადო მუშაობის გასატარებელი მუშაკები. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პურის დამზადების კამპანიის გაშუქებას კომკავშირის პრესაში. სოფლის კომკავშირელებმა და კომკავშირელ-მეურნეებმა პირველ რიგში უნდა მიყიდონ პურის ზედმეტი მარაგი სახელმწიფოს და მთლიანად გადაიხადონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და დასაზღვევი ანარიცხები. კომკავშირის უჯრედებმა უნდა ადევნონ თვალყური იმას, თუ როგორ ასრულებენ კომკავშირლები თავის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე. კომკავშირი უნდა დაეხმაროს კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანოებს სამრეწველო საქონლის მიწოდებაში მომხმარებლისათვის. კომკავშირის უჯრედებმა საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოებში უნდა გააძლიერონ ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ვოლოკიტის და კოოპერატიულ და საბჭოთა აპარატის სხვა დეფექტების წინააღმდეგ, რომელნიც აფერხებენ სამრეწველო საქონლის წარმატებით მიწოდებას მომხმარებლისათვის.

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს გლეხთა მეურნეობის გასამტკიცებელ სესხის ფართოთ გავრცელების აუცილებლობაზე.

ამ სესხის გავრცელების საქმეში სოფლის კომკავშირის უჯრედებმა და სოფლის კომკავშირელებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული ინიციატივა.

ს. ა. ლ. კ. კ. მესამე რაიონის მე-15 კონფერენცია

მეხუთე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. რახმანოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგებზე. დასასრულ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი მთლიანად უერთდება მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ მომავალში საჭიროა ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა პარტიიდან გამორიცხულ ოპოზიციონერ-დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, რომელნიც აშკარად ანტისაბჭოთა მუშაობის გზას დაადგენ. დღეს საღამოს სხდომაზე მოხდება რაიონულ კომიტეტებისა და დელეგატების არჩევნები.

ს. ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიონის მე-10 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მისურაძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილე დელეგატები აღნიშნავდენ, რომ ცოცხალი ხელმძღვანელობა უჯრედებზე რაიკომის მიერ არ არის.

საჭიროა სასპორტო მუშაობა დაკავშირებულ იქნეს გასამხედროების საქმესთან. საკლუბო მუშაობა სანგარიშო პერიოდში მოისუსტებდა, საჭიროა გაცხოველებულ იქნას მუშათა კლუბთან არსებულ ახალგაზრდათა სექციის მუშაობა. ამ სექციებში კომკავშირელთა მუშაობას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

უსაფუძვლოა ზოგიერთ დელეგატების მტკიცება იმის შესახებ. თითქოს პარტიული ბირთვი კომკავშირის სუსტია. პირიქით, პროცენტული შეფარდებით ჩვენს კავშირში პარტიულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

სომხურ ენაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. არაქელოვი, რომელმაც სთქვა, რომ საბჭოს წევრი კომკავშირლები ვერ მუშაობენ შესაფერად. საჭიროა სარევიზიო კომისიამ მომავალში უფრო ნაყოფიერი მუშაობა აწარმოოს. კამათის დამთავრებამდე სიტყვით გამოვიდა ამხ. ჩანკვეტაძე, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლის შემდეგ არის დიდი მიღწევები. თავმჯდომარის საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ს. თ.

მისაბაძი უჯრედი

(ქალაქის აღმასკომი)

დიდი ხანი არ არის, რაც აღმასკომის კომკავშირის უჯრედი კოლექტივებად დაიყო. ამ დაყოფამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ყველა კოლექტივი ისმენს თავის კრებებზე სამეურნეო მოხსენებებს თავის ქვე-განყოფილებიდან.

მოწყობილია პოლიტმეცადინეობის წრეები. ყველა კომკავშირელი ჩაბმულია კულტკუთხეში, რომელიც არსებობს აღმასკომთან. კოლექტივების ხელმძღვანელობით ხშირად იმართება უფასო წარმოდგენები. აქტივი გამოყოფილი და მიმაგრებულია სხვადასხვა საზოგადო და პარტიულ უჯრედებში. ოქტომბრის ათი წლის თავზე კომკავშ. კოლექტივებმა გადასცეს კომპარტიის რიგებს 6 ამხანაგი, მათ შორის ერთი ქალი. დროგამოშვებით იმართება შაბათობა უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ.

ბ. ოგანოვი.

საწარმოო თათბირები სოფლის მეურნეობაში

თავის ერთ-ერთ წერილში ლენინი ამბობს: „ყრილობები უნდა ხდებოდეს ყველა გუბერნიებში, ამ ყრილობებმა გადამჭრელი გავლენა უნდა მოახდინოს გლეხთა მასებზე". რამდენად სრულდება ლენინის ეს დირექტივა? — უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ სუსტად (კერძოდ საქართველოში, სამწუხაროდ მის ასრულებას ჯერ არც შევდგომივართ).

ამავე საკითხის შესახებ მე-15 ყრილობაზე ამხ. მოლოტოვმა განაცხადა „ყოველივე ამას (მესაქონლეობის განვითარების საკითხებს და სხვ. ვ. ი.) ჩვენ მეტის მეტად მცირე ყურადღებას ვაქცევთ და ამით ვამტკიცებთ, რომ საკმაოდ არ ვიცნობთ სოფელს, აშკარად მოწყვეტილი ვართ ჩვენი სოფლისა და გლეხობის საარსებო საჭიროებებს".

ამხ. მოლოტოვი ასეთ სასტიკ გამოთქმებს ხმარობს მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონებს (ბელორუსია, სმოლენსკის და მოსკოვის გუბერნიები და სხვ.) დიდი მიღწევები აქვთ აგრონომიულ პროპაგანდა-აგიტაციის დაყენების საქმეში. თითონ ეს ამხ. მოლოტოვმა მოიყვანა იმის მაგალითი, რომ ერთ-ერთ საგუბერნიო ორგანიზაციის თეზისებში სოფლად მუშაობის შესახებ ადგილი ჰქონდა აშკარა სამიწადმოქმედო გადახრას. აქ სპეციალურად წამოყენებულია საკითხი „კურსის ასაღებათ ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე". პარტორგანიზაციის ასეთ ინტერესს სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი ამხ. მოლოტოვის აზრით, ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ. სმოლენსკის ერთ-ერთ საგუბერნიო პარტკონფერენციაზე პრეზიდიუმის მაგიდაზე საპატიო ადგილი დაიკავა ძირნაყოფიან მცენარეთა წარმომადგენელმა—დიდმა ბოლოკმა. ვიაზმაში საბჭოების სამაზრო ყრილობაზე მოხსენება ძირნაყოფიან მცენარეთა შესახებ გააკეთა პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივნის მოადგილემ, რომელმაც სთქვა: „თვითეულ გლეხურ მეურნეობაში ჩვენ ეხლავე უნდა გვქონდეს 100 კვ. საჟენი ძირნაყოფიანი მცენარეები, თბილი ბოსელი და შემოსავალი ძროხისაგან."

შეგვიძლია თუ არა ჩვენ საქართველოში აღვნიშნოთ, რომ პარტორგანიზაცია — უჯრედიდან სამაზრო და საოლქო კომიტეტამდე—ამდენადვე იყოს დაინტერესებული მაზრის სოფლის მეურნეობის პრაქტიკისა და ბედიობის საკითხებით სულ მცირე ხნის წინად აგრონომები აღნიშნავდნენ, რომ მათ არ უღებენ მდივნების კაბინეტების კარებს — თქვენ სამიწადმოქმედო განყოფილებაში წადით, იქაა თქვენი მუშაობის ხელმძღვანელი, აქ კი არაფერი გესაქმებათ.

როგორი ინტერესით ეკიდებიან სოფლის მეურნეობის საკითხებს პარტიის და კომკავშირის ორგანოები და ცალკე პარტიულები და კომკავშირელები? ისინი ამ საკითხებით ძლიერ მცირედ არიან დაინტერესებულნი მაგალითად. აღნიშნულია, რომ კომკავშირი სოფლად აწარმოებს ფართოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ მუშაობას (გაზეთი, წიგნები, სკოლები, კოოპერატივები და სხვ.) მაგრამ მიღწევები სოფლის მეურნეობის ტეხნიკის, მისი შემოსავლიანობის, მოსავლიანობის უშუალო გაუმჯობესების მხრივ და [illegible] ახალ ფორმების შემოღების მხრივ —ძლიერ მცირეა, ასეთი მიღწევები თითქმის სრულებით არ არის, მათ არავინ იცნობს.

პარტიულების მეურნეობა? ის არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივ გლეხურ მეურნეობიდან, ხშირად უფრო ჩამორჩენილ, უფრო უკულტურო ტიპს ეკუთვნის და, რა თქმა უნდა, ვერ ატარებს საჩვენებელ ხასიათს. ეს მიტომ ხდება რომ ბევრი სოფლელი პარტიული ფიქრობს, რომ ზრუნვა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მისი შემოსავლიანობისა. და კულტურის გაუმჯობესებისათვის — არის კომუნიზმის ღალატი, გაკულაკება — ივიწყებენ ამხ. რიკოვის სიტყვებს „სოფლის მეურნეობის რევოლიუციონერების შესახებ", სოფლელი პარტიულები დატვირთული არიან საზოგადოებრივი მუშაობით და ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ მუშაობის შეთანხმებას სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებასთან, და დასასრულ, ვერავითარ დახმარებას, დირექტივებს და მითითებებს ამ დარგში ვერ ღებულობენ პარტუჯრედებისა და თემკომებისაგან; აგრონომებთან მათ ძლიერ სუსტი კავშირი აქვთ.

მაშინ როდესაც საქართველოს პირობებში, სადაც მრეწველობა სუსტია სოფლის მეურნეობა დაბალ ტეხნიკურ დონეზე დგას, გლეხის შემოსავალი მცირეა, სოფლად ადგილი აქვს მუშა ხელის დიდ სიჭარბეს და ამავე დროს არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები (ძვირფას, შრომატევად, სუბტროპიკულ კულტურების განვითარების შესაძლებლობა და სხვ.) — ბევრი რამეს გაკეთება შეიძლება, თუ განავითარებთ გამოვააშკარავებთ გლეხის თვითმოქმედებას და ინიციატივას. ამ საქმეში პირველ როლს უნდა იამაშობდენ პარტორგანიზაციები და პირველ რიგში სოფლის უჯრედები.

მოვიყვანოთ ფაქტები, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში და უკრაინაში წარმოებულ მუშაობიდან.

1926 წელში სერგიევის, სერპუხოვის, დიმიტრიევის მაზრებში ჩატარდა პარტიულ და კომკავშირელ მეურნეთა ჯერ სამაზრო და შემდეგ სათემო თათბირები. ამ თათბირებზე უმთავრესად წამოყენებულ იქნა საკითხი ძირნაყოფიან მცენარეების შესახებ, მოსმენილ იქნა აგრონომის მოხსენება და გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: „თვითეულმა დელეგატმა — თათბირის მონაწილემ უნდა დათესოს ძირნაყოფიანი მცენარეები. გაათოხნოს [illegible]. გამოკვებოს პირუტყვი შემოდგომაში გაიმართოს მეორე თათბირი, რომელზედაც დელეგატებმა უნდა გააკეთონ მოხსენებები ჩატარებულ მუშაობის შესახებ და მიიღონ დირექტივები შემდგომი მუშაობისათვის". იქვე დარიგდა საკვებ ჭარხლის და „ტურნეპსის" თესლი და აგრეთვე ლიტერატურა ძირნაყოფიან მცენარეთა შესახებ. ოქტომბერში ჩატარდა მეორე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი, — რომელზედაც მხედველობაში იქნა მიღებული წარსულის გამოცდილება და დაისახა გეგმა მომავალ მუშაობისათვის.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ტიხვინის ორგანიზაციამ (სტალინგრადის გუბერნია) მიწის-მუშა პარტიულები შეკრიბა გაზაფხულის თესვის კამპანიის წინ. აგრონომის საერთო ხელმძღვანელი მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ კომუნისტები, რომლებმაც აღნიშნეს მიღწევები თავის მეურნეობაში ერთი ამბობდა: მე შემოვიღე ანეულის ადრე დახვნა, მწკრივებათ თესვა, თესლის გაწმენდა ეხლა ვაშენებ თბილ ბოსელს საქონლისათვის. **ჩემი მაგალითის მიხედვით კი გლეხობის აქტიური ნაწილიც ამასვე იწყებს.** თათბირმა დაადგინა: თვითეულმა პარტიულმა რჩევა ჰკითხოს თემის აგრონომს სოფლის მეურნეობის წარმოების წესების შესახებ, თვითეულმა ეხლავე შემოიღოს ნაწილობრივი გაუმჯობესებანი. **შემდეგში პრაქტიკაში იქნას შემოღებული მიწის მუშა კომუნისტების თათბირები გამოცდილების ერთმანეთისათვის გასაზიარებლად** და სხვ.

ეკატერინოსლავის ოლქში კომკავშირის საოლქო კომიტეტმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის მოწყობის წინ — მოიწვია სპეციალისტები და დაამუშავა კითხვა: „რა უნდა აკეთოს კომკავშირელმა თავის მეურნეობაში მის გასაუმჯობესებლად".

თათბირზე მოსმენილ იქნა 6 მოხსენება ადგილებიდან: „როგორ ვაწარმოებ ჩემს მეურნეობას", და გამოირკვა რომ **კომკავშირლების მეურნეობა სრულებით არ არის სანიმუშო და არავინ არ ურჩევს მათ მეურნეობის გაუმჯობესებას.**

თათბირმა დაადგინა: კომკავშირლები უნდა დაუკავშირდენ აგრონომებს მიეჩვიონ თავის მეურნეობის კულტურულად წარმოებას და ამასვე მიაჩვიონ უპარტიო ახალგაზრდობა, ასეთი თათბირები მოწვეულ იქნას **წელიწადში ორჯერ: შემოდგომაზე და გაზაფხულზე;** თათბირის მონაწილეებს იქვე დაურიგდა თესლი იმ პირობით, რომ წესიერად დათესავდენ და წესიერად დაამუშავებდენ მიწას, წესიერად გამოკვებავდენ საქონელს წონის და ნორმის მიხედვით*).

აშკარაა, რომ კომუნისტებისა და კომკავშირელების ასეთი ინიციატივა სწრაფად აამაღლებს უჯრედებისა და კომუნისტების ავტორიტეტს სოფლად. მაგალითად ერთი კომკავშირელი ამბობს: „გლეხობის სიმპატიები გადაიხარა ძირნაყოფიან მცენარეებისაკენ. [illegible] უწინდელი უნდობლობა. **გლეხები ჩვენ უკვე აღარ გვიწოდებენ ბედოვლათებს**".

კომუნისტებისა და კომკავშირლების სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები (სამაზრო-საოლქო, სათემო და სასოფლო) —მხოლოდ პირველი ეტაპია, პირველი თაოსნობა, მაგალითი საზოგადოებრივი მუშაობისა. კომუნისტურ საწარმოო თათბირებს უნდა მოჰყვეს გლეხების მასიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები რომლებშიაც ჩაბმული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრები. არტელების, ამხანაგობების, კომუნების, გლეხკომების, და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წევრთა მთელი ადგილობრივი აქტივი და აგრეთვე ცალკე გლეხები და გლეხი ქალები უმთავრესად ღარიბ და საშუალო გლეხობიდან (რა თქმა უნდა, აქ არავითარ ფორმალურ არჩევნებს არ შეიძლება ექნეს ადგილი).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები ჩვენში ახალი საქმეა, მაგრამ ამ საქმის დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ. მალე დადგება საგაზაფხულო თესვის კამპანია და თუ ეს ღონისძიება დროზე არ იქნა გადასროლილი სოფლის პარტიულთა და კომკავშირელთა მასებში, თუ დროზე არ იქნა გამოწვეული მათი აქტივობა, თუ საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა მათ თავის დროზე არ გაუწიეს ხელმძღვანელობა — ჩვენ ეს წელი (1928) ამ მხრივ უქმად ჩაგვივლის და ეს კი მე-15 ყრილობის დადგენილების შემდეგ სოფლად მუშაობის შესახებ — იქნება დიდი შეცდომა.

ვ. იმედაძე.

---

*) ცუდი არ იქნებოდა რომ გაზეთი „ახალი სოფელი" შემოიღებდეს გაზეთ „ბედნოტა"-ს მშვენიერ ტრადიციას: თავის კორესპონდენტებს ჰონორარის მაგიერ პაკეტებით გაუგზავნიდეს სხვადასხვა თესლეულს, რომელიც ადგილობრივ ძნელი საშოვარია.

საქ. ცაკის მესამე სესიისათვის

მეურვეობა და მზრუნველობა

(საქორწ..ნო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტით)

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტს განიხილავს ცაკის მომავალი სესია. ამის გამო საჭიროა იმის გაშუქება, თუ რა არის ახალი ამ პროექტში. ჩვენ შევჩერდებით პროექტის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება მეურვეობას და მზრუნველობას.

დღეს მეურვეობის საქმეს განაგებს — არასრულ წლოვანისას — განათლების სახალხო კომისარიატი ხოლო სრულ-წლოვანისას (შეშლილისას, ჭკუანაკლებისას და სხვ.) იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

პროექტით ყოველგვარი სახის მეურვეობის და მზრუნველობის საქმე (არასრულწლოვანთა თუ სრულწლოვანთა შესახებ) გადაცემული აქვს სოფლად და იმ ქალაქებში, სადაც ქალაქის საბჭოები ცალკე არ არსებობს, თემის საბჭოებს, ხოლო დანარჩენ ქალაქებში— ქალაქის საბჭოებს, ესენი აწესებენ და აუქმებენ მეურვეობას და მზრუნველობას, ნიშნავენ მეურვეებს და მზრუნველებს და უწევენ ამ უკანასკნელთ ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ამ დარგში საბჭოების მოქმედებას მაზრის ფარგალში ხელმძღვანელობას უწევს მაზრის აღმასკომი, ხოლო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ყველა სამეურვეო ორგანოებს ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას უწევს ცენტრალური სამეურვეო ორგანო — სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭო უნდა მოეწყოს სრულიად საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებასთან. საბჭოს შეადგენენ სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების, განათლების ჯანმრთელობის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა და ცაკის ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის წარმომადგენლები. საჩივარი საბჭოების მოქმედებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის დარგში შეტანილი უნდა იქნეს სამაზრო აღმასკომში ხოლო სამაზრო აღმასკომის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სამეურვეო საბჭოში. უკანასკნელის დადგენილება საბოლოოა. ამრიგად სამეურვეო საქმე, რომელიც დღეს განაწილებულია ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ უწყებებს შორის, პროექტით მთლად გადადის ერთი დაწესებულების ხელში, რომელიც უფრო დაახლოვებულია მოსახლეობასთან და რომელსაც გაეწევა სათანადო ხელმძღვანელობა ცენტრიდან.

პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ს. ს. ს. რესპუბლიკის იმ მოქალაქეებისათვის, რომელნიც საზღვარგარეთ იმყოფებიან. ასეთი ორგანო არის ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლობა საზღვარგარეთ.

მომქმედი კანონის მიხედვით არსებობს მხოლოდ მეურვეობის ინსტიტუტი, ე. ი. ყველა იმ პირისათვის, ვისაც ქმედობა-უნარიანობა შეზღუდული აქვს კანონით უნდა დაწესდეს მეურვეობა. პროექტით მეურვეობასთან ერთად გათვალისწინებულია მზრუნველობა, მეურვეობა წესდება არასრულწლოვანთათვის 14 წლამდე და სრულწლოვან სულით ავადმყოფებისათვის, ე. ი. ისეთი პირებისათვის, ვინც კანონით სრულიად მოკლებულია ქმედობა-უნარიანობას. მზრუნველობა კი წესდება არა სრულწლოვანთათვის 14 წლიდან 18 წლამდე და იმ სრულწლოვანთათვის, რომელთაც თავის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ თვითონ სხვის დაუხმარებლად დაიცვან თავისი უფლებები (წერა-კითხვის უცოდინარი, ყრუ-მუნჯი, დამბლადაცემული და სხვა). მეურვე და მზრუნველი სხვადასხვა უფლებითაა აღჭურვილი. მეურვე არის მეურვეობაში მყოფი პირის სრული წარმომადგენელი. მზრუნველი მხოლოდ დახმარებას უწევს მზრუნველობაში მიცემულს. ყოველგვარ გარიგებას მზრუნველობაში მიცემული სდებს თვითონ. მზრუნველი აძლევს მხოლოთ თანხმობას. მზრუნველობის ინსტიტუტის შემოღებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ერთი მხრით აღარ ესიმნება მეურვე ისეთ პირს, რომელიც არ არის კანონით მოკლებული სრულიად ქმედობა-უნარიანობას (არასრულწლოვანს 14 წლ. —18 წლამდე), მეორე მხრით კი ისეთ სრულწლოვან პირებს ეძლევა მფარველი და დამხმარე, რომელთათვის მეურვის დანიშვნა შეუძლებელი იყო მომქმედ კანონით.

მეურვეობა და მზრუნველობა პროექტით საზოგადოებრივი ბეგარაა. მოქალაქეს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს მეურვეობაზე და მზრუნველობაზე, თუ მას კანონიერი მიზეზი არ მოეპოვება მისათვის. პროექტით მხოლოდ შემდეგ პირებს შეუძლიათ უარი განაცხადონ მეურვეობაზე და მზრუნველობაზე: ა) 55 წლის მამაკაცს და 50 წლის დედაკაცს, ბ) ავადმყოფს, გ) ვინც ორს ან მეტ შვილს ზრდის, დ) ორსულ დედაკაცებს და აგრეთვე დედას, რომელსაც თავისთან რვა წლამდე ნაკლები ხნის ბავშვი ჰყავს და ე) იმ პირს, რომელიც არის უკვე მეურვედ ან მზრუნველად.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეურვედ ან მზრუნველად ყოველი მოქალაქის დანიშვნა შეიძლებოდეს. პროექტი ამ საკითხს ძლიერ ფრთხილად უდგება. პროექტით აღკრძალულია მთელი რიგი პირების მეურვედ დანიშვნა. მეურვედ და მზრუნველად ვერ დაინიშნება: ა) ვინც საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუციის თანახმად მოკლებულია აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას, ბ) ვისაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს მშობლიური უფლება, გ) ვისი ინტერესებიც ეწინააღმდეგება მეურვეობაში მისაცემ პირის ინტერესებს, დ) ვინც სრულწლოვანი არ არის და ე) ვინც გამორიცხულია მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციიდან. აქ ჩამოთვლილ პირობათა შორის პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს იმ პირობას, რომელიც აღნიშნულია „ა" პუნქტში, ამ პუნქტის თანახმად მეურვედ და მზრუნველად ვერ იქნება ის, ვინც საბჭოთა ელემენტი არ არის პროექტი ვერ სცნობს შესაძლებლად ასეთ პირს ჩააბაროს მცირეწლოვანი აღსაზრდელად, რადგან ის ისე ვერ აღზრდის მოქალაქეს, როგორ საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს შეეფერება.

ამას გარდა მეურვის ან მზრუნველის ამორჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეურვეობაში მისაცემი პირის სურვილი, როცა ეს შესაძლებელია მეურვედ ან მზრუნველად დასანიშნავი პირის პირადი თვისებები და მათი დამოკიდებულება მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემ პირთან. მეურვე და მზრუნველი შეძლების დაგვარათ უნდა აირჩეს მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემის მახლობელ პირთაგან. თუ ეს შესაძლებელი არ იქნება, იმ პირთაგან, რომელთაც საამისოდ გამოჰყოფს პროფესიონალური ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუ ასეთი პირებიც არ იქნა, მხოლოდ მაშინ შეიძლება მეურვედ ან მზრუნველად დაინიშნოს სხვა პირიც.

მეურვე და მზრუნველი პროექტით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სასტიკ კონტროლ ქვეშ იმყოფება. არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი ვალდებულია იზრუნოს მეურვეობაში მიცემულის ჯანმრთელობაზე და ფიზიკურ განვითარებაზე, აღზარდოს იგი იმ მიმართულებით, რაც შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს.

მეურვეობაში მყოფ პირის შესანახავად საჭირო ხარჯი გაიღება მის ქონების შემოსავლიდან, ხოლო უკეთუ ქონება სრულებით არ იძლევა შემოსავალს, თვით ამ ქონებიდან, იმ შემთხვევაში, როცა მეურვეობაში მიცემულ პირს არავითარი ქონება არ გააჩნია, აღძრული უნდა იქნეს შუამდგომლობა სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოს წინაშე, მეურვეობაში მიცემულის შესანახავად საჭირო სახსრის გაღების შესახებ.

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ნებადაურთველად მეურვეს და მზრუნველს არ შეუძლიათ: ა) ქონების განსხვისება გარდა ისეთი ქონებისა, რომელიც შეიძლება მალე გაფუჭდეს ან ისეთის, რომელიც უნდა გაიყიდოს, მაგ. საქონელი სავაჭროში, ბ) მისი დაგირავება, გ) თამასუქის და სხვა სავალო ვალდებულების გაცემა, დ) სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმა, ე) ქონების გაცემა გრძელ ვადიანი იჯარით, ვ) მეურნეობაში მიცემულის საწარმოს მოქმედების შეწყვეტა, ზ) ამხანაგების ხელშეკრულების დადება და თ) სამოქალაქო საქმის მორიგებით გათავება. მეურვეობაში მიცემულის ქონების გაჩუქება და მისი სახელით თავდებობის ხელშეკრულების დადება არ შეიძლება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობითაც. ამასთანავე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ქონების გაყიდვისა და დაგირავებისათვის ნებართვის მიღების დროს განუმარტოს მეურვეს და მზრუნველს, თუ რას უნდა მოხმარდეს მიღებული თანხა.

ქონების გაყიდვა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დადგენილებით შეიძლება წარმოებდეს საჯარო ვაჭრობით, რომელიც შემდეგ დამტკიცებული უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. მეურვეობაში მიცემულის ფულადი თანხები, ფასიანი ქაღალდები და ფასეულობა, გარდა იმ თანხისა, რაც საჭიროა მიმდინარე ხარჯებისათვის, მოთავსებული უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებაში (შრომითი შემნახველ სალაროში და სხვ) და არ შეიძლება ინახებოდეს მეურვის ხელში. მეურვემ და მზრუნველმა უნდა წარუდგინონ ყოველწლიური ანგარიში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია არსებითად შეამოწმოს ეს ანგარიშები.

მეურვე და მზრუნველი დაუდევრობისათვის ან თავისი უფლების ბოროტად გამოყენებისათვის გადაყენებულ უნდა იქნენ და თუ მათ მოქმედებაში აღმოჩნდება დანაშაულის ნიშნები, პასუხისგებაშიაც მიეცემიან სისხლის სამართლის წესით. პროექტით მშობლები დაუნიშნავათაც ითვლებიან მეურვეებად. ასეთ შემთხვევაში, როცა არა სრულწლოვან შვილებს აქვთ პირადი ქონება, მშობლებიც ვალდებული არიან წარადგინონ ანგარიში ამ ქონების შესახებ მეურნეობისა და მზრუნველობის ორგანოში

პროექტით მეურვეობა მოისპობა: როდესაც არა სრულწლოვანი 18 წლის გახდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადგენილ წესისამებრ შემოწმების შემდეგ საჭირო იქნება მეურვეობის განგრძობა; როდესაც სულით ავადმყოფი განიკურნება, მეურვეობაში ან მზრუნველობაში მიცემული მოკვდება, ან და როდესაც არა სრულწლოვანი დაქორწინდება. პროექტით გათვალისწინებულია 16 წლის ქალის გათხოვება და ზოგიერთ შემთხვევაში არა სრულ წლოვანი ვაჟის დაქორწინება. პროექტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ დატოვება ისეთ პირებისა, რომელნიც კანონით გათვალისწინებული წესით ჰქმნიან ახალ ოჯახს და იწყებენ დამოუკიდებელ მეურნეობას.

ბოლოს პროექტით გათვალისწინებულია სულით ავადმყოფის და ჭკუანაკლების შემოწმების წესი, რაც აქამდის ხდებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით, ამ ახალი წესით შემოწმება ხდება სპეციალური კომისიის მეშვეობით, რომელშიაც შედის, როგორც თავმჯდომარე, მაზრაღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, ხოლო წევრებად—ექიმები. შემოწმება ხდება პროკურორის თანდასწრებით. კომისიის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ კომისიაში ამ კომისიაში შედის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე სამი ფსიხიატრი და იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი. ამ კომისიის დადგენილება საბოლოოა.

ასეთია მოკლედ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტი მეურვეობის და მზრუნველობის დარგში. ნათქვამიდან ჩანს, რომ პროექტით საკმაო მტკიცე პირობებია შექმნილი მეურვეობაში და მზრუნველობაში მიცემულ პირთა ქონებრივი და პირადი უფლებების უზრუნველსაყოფად.

მ. ქორქაშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მუშათა ახალი სახლი

ბათომი, 12 იანვარი. ქალაქის ალმასკომმა გადასდო 46.000 მანეთი ახალი სახლის ასაგებად მუშებისათვის ქალაქის ბაღის რაიონში. სახლში იქნება 12 ბინა (ადს).

ჭაობიან ადგილების ამოშრობა

ბათომი, 12 იანვარი. ჭაობიან ადგილების ამოშრობის მიზნით სტალინის რაიონში, ბათომის მახლობლად, ქალაქის ალმასკომი შეუდგა ევკალიპტის ხეების დარგვას. სულ განზრახულია 10.000-მდე ხის დარგვა (ადს).

მეწყერი

ბათომი, 12 იანვარი. მეწყერი ზემო აჭარაში (ქედის მაზრა) გრძელდება. მიღებულია ცნობები ახალი ზარალის შესახებ: სოფელ აჭუცაში მეწყერმა დაანგრია 9 სახლი.

მეწყერი მოვიდა აგრეთვე სოფელ კუჩულაში და ხონნაში. დაიღუპა ერთი ოჯახი და დაინგრა მთელი რიგი სამეურნეო შენობები. ამ სოფლების მცხოვრებლები გადასახლებული არიან უშიშარ რაიონებში.

მდინარე აჭარისწყალის კალაპოტის გასაწმენდათ ჩამონგრეულ კლდიდან გაგზავნილია რაზმი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

წერილები

კულტურული მუშაობა სოფლად

კულტურული საქმიანობის კერას სოფლად წარმოადგენენ კლუბები და ქოხსამკითხველოები. ჯერ-ჯერობით ყველა თემს არ გააჩნია კლუბისათვის საჭირო საკმაოდ მოწყობილი შენობები და ასეთ ადგილებში კულტმუშაობის ფართოდ გაშლა დიდად საძნელო საქმეს წარმოადგენს, მაგრამ სამაგიეროდ ქოხსამკითხველოები თითქმის ყველა თემში არსებობენ და ისინი საკმაოდ მომარაგებული არიან საჭირო ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით.

ქოხ-სამკითხველოების როლი საკმაოდ განსხვავდება უბრალო სამკითხველოებისაგან, რომლებიც ძველ დროს არსებობდნენ. ასეთი სამკითხველოები მხოლოდ გაზეთების წასაკითხ ადგილს წარმოადგენდენ და მათთან არავითარი სხვა კულტმუშაობა არ სწარმოებდა.

სულ სხვა მიზანს ისახავს ამჟამად თემებში არსებული ქოხ-სამკითხველოები, რომელთა საქმიანობა თუ სათანადო დონეზე იქნება დაყენებული, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად.

ქოხ-სამკითხველოებთან უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა წრეები, როგორიცაა მაგალითად, ლიტერატურული, გაზეთების ხმამაღლა მკითხველთა, გლეხკორების, მუსიკალური, დრამატიული, მოსიმღერეთა და სხვა. ყველა ამ წრეებს ექნება თავიანთი დანიშნულება. ლიტერატურული წრე მოაწყობს ლიტერატურულ გასამართლებებს; გაზეთების ხმამაღლა მკითხველები გლეხობას გააცნობენ გაზეთებში მოთავსებულ მათთვის საინტერესო ცნობებს. დრამატიულ-მუსიკალური და მოსიმღერეთა წრეები დროგამოშვებით გამართავენ საღამო-წარმოდგენებს; გლეხკორთა წრემ უნდა უხელმძღვანელოს ქოხ-სამკითხველოსთან კედლის გაზეთის გამოცემას.

ყველა ამ წრეების იდეური ხელმძღვანელობა და მათთვის მიმართულების მიმცემი უნდა იქნენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები.

როგორც ვხედავთ, ქოხ-სამკითხველოების ირგვლივ შეიძლება ფართოდ გაიშალოს კულტურულ-განმანათლებელი საქმიანობა.

იბადება საკითხი: სწარმოებს თუ არა ამგვარი მუშაობა ყველა ქოხ-სამკითხველოებთან? სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არა. მთელ რიგ სამკითხველოებთან არავითარი წრეები არ არსებობს. არც კედლის გაზეთები გამოდიან სისტემატიურად: ამაში ერთგვარი დანაშაული საბჭოების კულტურულ სექციებთან ერთად ადგილობრივ ინტელიგენციასაც მიუძღვის.

დღეს სოფლად საკმაო რიცხვი მოიპოვება ინტელიგენტური ძალების, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი პირდაპირ მოვალეობასთან ერთად, ფართე კულტურული მუშაობა აწარმოონ.

ამიტომ თვითეული ინტელიგენტის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს კულტმუშაობის გაჩაღებას და გლეხობის გათვითცნობიერებას.

სოფლელი.

გლეხკორები სოფლის მეურნეობაში

სოფლად მუშაობის სფეროში. პარტიის მიერ მოცემულ დირექტივათა შორის განსაკუთრებული ადგილი სასოფლო-მეურნეობის განვითარებას უკავია.

„ჩვენ გვჭირია ისეთი კულტურული ძალა, ისეთი მეურნე მოქალაქე, რომელიც ღირსეულად ჩაატარებს კულტურულ სამეურნეო რევოლიუციას სოფლად. ამას ლაპარაკობს პარტია, ამას ამბობს ჩვენი ხელისუფლება.

სოფლად ჩვენი გლეხკორები ერთ-ერთ კულტურულ მუშაკებათ ითვლებიან. გლეხკორი სოფლათ ახალი საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების მშენებელია. იგი ყოველდღიურათ ჩვენს გაზეთებში სოფლის მტკივნეულ საკითხებს, გლეხობის ჭირ-ვარამს აშუქებს. რითაც დიდ დახმარებას უწევს პარტიას და ხელისუფლებას.

ჩვენს წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანების გადაჭრაშიც გლეხკორებს დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიანთ. ცხადია, ამ ამოცანის გადაჭრა ათეულ-წლების საქმეა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამჟამათ არ შეიძლებოდეს მთელ რიგ მნიშვნელოვან პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით. ამ შემთხვევაში გლეხკორების წინაშე ორი ამოცანა სდგას. პირველი ის, რომ გლეხკორი სამაგალითო და საუკეთესო პროპაგანდისტი უნდა გახდეს ამ საქმეში.

მან გლეხობის ფართე ფენებს უნდა განუმარტოს საბჭოთა ხელისუფლების ხაზი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის და კერძოთ—სასოფლო-მეურნეობის განვითარების დარგში. სოფლის ცალკე უბნებში ჯგუფებათ შეყრილ გლეხობას უნდა ესაუბრონ: საგლეხო მეურნეობის გარდაქმნის, მისი ახალ ლიანდაგზე გადაყვანის და რაც მთავარია კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების საკითხებზე.

მეორე და მთავარი ამოცანა—მეურნეობის კულტურულათ მოწყობის სფეროში—გლეხკორების პრაქტიკულ მონაწილეობაში მდგომარეობს. სიტყვიერი პროპაგანდა იმდენ მნიშვნელობას და ღირსებას არ წარმოადგენს, რამდენიც პრაქტიკული მოქმედება. გლეხკორმა უნდა აწარმოოს მიწის [illegible] დამუშავება, მან პირველმა უნდა შემოიღოს მეურნეობაში გაუმჯობესებული წესები—მანქანა, იარაღები და ამით ხელი შეუწყოს ჩვენი საგლეხო მეურნეობის კულტურულ მშენებლობა—განვითარების საქმეს.

გიგა.

სოფლის ქრონიკა.

— **ჯიშიანი საქონელი.** სოფ. ნაჩხეტაურში (ქუთ. მაზრა) გაიხსნა ჯიშიან საქონლის მოსაშენებელი პუნქტი.

— **ქარხანა.** ახალ ქალაქის ალმასკომმა მოაწყო ზეთის სახდელი ქარხანა.

ხიდი. ხიბუში, ჯანის წყალზე გლეხები აგებენ ხიდს.

— **ტყეების გადაცემა.** გორის მაზრაში გლეხებს გადაეცა 32 ათასი დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები.

— **წითელი ჯვრის საზოგადოებამ** სავუბეში (ზუგდიდის მაზრა) გახსნა საექიმო პუნქტი.

— **ფერმა.** ყაზბეგში ახალგაზრდობის სკოლასთან გაიხსნა მესაქონლეობა-მერძეობის ფერმა.

— **გამოფენა.** სოფ. ხრამში (თბ. მაზრა) გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

— **გზა-ტკეცილი.** სოფ. ტამრისის გლეხებმა გადასწყვიტეს ბორჯომამდე გაიყვანონ გზატკეცილი.

— **მისაბაძი მაგალითი.** ხაშმის გლეხებმა ინვალიდ გლეხს ვ. ქარუმიძეს, რომელსაც დაეწვა სახლი, აუგეს ახალი სახლი.

— **ქოხ-სამკითხველო.** სოფ. ბობოთში (ქუთ. მაზრა), გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

მუშათა ცხოვრება

[illegible] იარაღი გვაკლია

(არსენალის მექანიკურ ქარხანა)

არსენალის მექანიკურ ქარხნის ზოგიერთი საამქრო განიცდის ხელსაწყო-იარაღების ნაკლებობას. რაც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას და ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით საზეინკლო საამქრო ამ მხრივ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. აქ გარდა ხელსაწყო იარაღების ნაკლულოვანებისა, ამჟამად არსებული იარაღებიც იმდენად არის მოძველებული, რომ შეუძლებელია მათზე მუშაობა.

ქარხნის გამგეობა არამც თუ ახალ იარაღების შესაძენად, არამედ ძველების შესაკეთებლადაც კი არ იწუხებს თავს. ეს გარემოება აფერხებს მუშაობის წესიერ და ნაყოფიერ მსვლელობას.

სამუშაო იარაღების უმრავლესობის შეკეთება შესაძლებელია ადგილობრივადაც. მაგალითად სახვრეტი მანქანები, რომლებიც ისე არიან გაცვეთილი, რომ შეუძლებელია ზედ მუშაობა, შეიძლება შეკეთდეს ადგილობრივ შეიძლება აგრეთვე სარანდავ მანქანების შეკეთება და სხვა.

მანქანების შეუკეთებლობით გარდა იმისა რომ ფერხდება წარმოება, რაც დიდ ზარალს აყენებს საერთოდ ჩვენს მეურნეობას, აცდენს მუშა-ხელსაც და აფერხებს მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

ლითონტრესტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მიიღოს ზომები მექანიკურ ქარხნის საწარმოო იარაღებით უზრუნველსაყოფად.

ტყვიისმფრქვეველი.

რათ მოგვატყუეს

(წყალსადენის სახელოსნო)

მუშკოოპის გამგეობამ, ისე, როგორც სხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს, წყალსადენის სახელოსნოს მუშებსაც შეპირდა სესხის გაცემას, მაგრამ დღემდე ეს შეპირება მხოლოდ ცარიელ სიტყვად არის დარჩენილი. მუშკოოპის მაღაზიები თითქმის დაიცალა. როგორც გამგეობის წევრები ამბობენ მაღაზიებში ძალიან ცოტაა დარჩენილი მუშებისათვის პირველ საჭიროების საქონელი.

წყალსადენის სახელოსნოს მუშებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს მუშკოოპის გამგეობას, რათა შეესრულებინა თავისი დაპირება, და გაეცა მუშებზე სესხი, მაგრამ გამგეობა ცივ უარზე სდგას. მაშ რათ მოატყუეთ მუშები და დაიმედეთ სესხის მიცემაზე?

იმედია მუშკოოპის გამგეობა გამოასწორებს თავის შეცდომას და წყალსადენის მუშებს მისცემს სესხს.

მუშკოოპის წევრი.

დროა ბოლო მოეღოს

ბევრი დაიწერა გაზეთებში მუშკორთა დევნის შესახებ. მაგრამ დღემდე ბოლო მაინც არ მოეღო მუშკორთა დევნას. თბ. ად-მრეწველობის აგურის ქარხანა № 1-ის მუშკორთა წრე უშვებს კედლის გაზეთს, სადაც იწერება წერილები წარმოებისა და მუშების ყოფა-ცხოვრებაზე.

მაგრამ სამწუხარო ის არის აქ რომ ქარხნის ინსტრუქტორი ჩვიანცი, თავისი სიმკაცრით და თვალების ბრიალით აშინებს მუშკორებს.

აგურის ქარხანაში, როგორც სეზონური სამუშაოები, ხშირად ხდება შტატების შემცირება; ამ შემთხვევაში ჩვიანცს გადამწყვეტი ხმა აქვს ის რასაც იტყვის, ადმინისტრაციისათვის კანონია საკმარისია ჩვიანცმა მოითხოვოს რომელიმე მუშის სამუშაოდან მოხსნა, რომ ადმინისტრაციამ საქმის გამოუძიებლივ სისრულეში მოიყვანოს მოთხოვნილება.

ერთ ახალგაზრდა მუშას. რომელმაც მოითხოვა გადაეყვანათ იგი ნარდ სამუშაოზე. ჩვიანცმა ასე უპასუხა: „დიახ, სწორედ ვერ გადაგიყვან შენ. იმიტომ, რომ კედლის გაზეთში მხატავთ“-ო. გარდა ამისა ჩვიანცს ჰყავს მეგობრები. რომლებიც ემუქრებიან კედლის გაზეთის ჩამოხევით და უშვერი სიტყვებით აგინებენ წერილების ავტორებს

საჭიროა პროფკავშირმა მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას და მოქ. ჩვიანცს შეაგნებინოს კედლის გაზეთის და მუშკორთა წრის მნიშვნელობა.

უსამშობლო.

ჩვენს მუშკორებში

11 იანვარს, გაზ. „კომუნისტი“-ს ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა: 1. მოხსენება კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის კამპანიების ჩატარების შესახებ; 2. კედლის გაზეთის სარეცენზიო ბიუროს არჩევა და 3 აქტიური მუშკორების გამოყოფა მუშკორთა წრეების სახელმძღვანელოდ ადგილებზე და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ნიკო იტრიევმა. რომელიც. სხვებთან ერთად, მუშათა ფართო კოლექტივის მიერ მიმაგრებული იყო მეოთხე რაიონთან სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის კამპანიების ჩასატარებლად.

ამხ. იტრიევმა აღნიშნა, რომ კედლის გაზეთები ზოგიერთ დაწესებულებებში, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობითაც არ ამართლებდენ თავიანთ დანიშნულებას: უშინაარსო და გრძელი წერილები ამახინჯებენ კედლის გაზეთს. რაც შეეხება სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობას, აქაც არანორმალური მოვლენას აქვს ადგილი. ისეთი პირები შედიან თურმე სარედაქციო კოლეგიაში, რომლებიც პრინციპიალურად არ არიან დასაშვები კოლეგიის შემადგენლობაში, მაგ. როგორც ადმინისტრატორები და ადგილკომის პ.-მ. პირები და სხვა.

შეკითხვების და კამათის შემდეგ, კრებამ მოხსენება მიიღო ცნობად და მუშაობა ჩასთვალა ფრიად დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ კრებამ აირჩია კედლის გაზეთების სარეცენზიო ბიურო, შემდეგი შემადგენლობით: ნ. იტრიევი. ხერუაშვილი, ს. დოლიძე, ნ. ასლამაზაშვილი, უშანგი ჯაში და მამუკაშვილი. სარეცენზიო ბიურო თავის მუშაობას დაიწყებს მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთის განხილვით.

კრებამ საჭიროდ სცნო აქტიურ მუშკორების გამოყოფა წარმოებებში, მუშკორთა წრეების სახელმძღვანელოდ.

ვანო.

მომჭირნეობა თუ ხელგაშლილობა?

ქართულ მუშათა ფაკულტეტის მდგომარეობა ამ უკანასკნელ ხანებში უარესდება. ვისი, ან რის ბრალია ეს არ არის საინტერესო, ამას ალბათ სათანადო ორგანო თითონ გამოარკვევს, მაგრამ ამჟამად, რომ მუშფაკში ერთის მხრივ აუარებელი, ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებია, ხოლო მეორეს მხრივ ზოგი ერთი საქმე სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ეს ცხადია.

ხუთი წელიწადია არსებობს მუშათა ფაკულტეტი. ამ ხნის განმავლობაში მუშფაკის მსმენელთა საერთო საცხოვრებელს არც ერთხელ არ ჰყოლია კარებში შესავალთან დარაჯი (შვეიცარი), მაგრამ წელს მუშფაკის დეკანმა ორი კაცი დაიქირავა ამ საქმეზე. ამავე დროს საერთო საცხოვრებელი კვირაში ერთხელ მეტად არ თბება, რის გამო საცხოვრებელ ბინებში ისე ცივა, რომ შეუძლებელია იქ მეცადინეობა.

რა უწოდოთ ასეთ საქმიანობას, მომჭირნეობა თუ ხელგაშლილობა? იმედია მუშფაკის პრეზიდიუმი გვიპასუხებს ამაზე.

ძველი მუშკორი.

თვეში ერთი ქვა

სადგურ ფოილოსა და აქსტაფის შუა 431 კილომეტრზე, ერთი პატარა ხიდია, წელიწადი სრულდება რაც ის შეკეთებაშია, მაგრამ მის დასრულებას არაფერი ეშველა. ამიტომ მატარებლების მოძრაობა ძალიან ფერხდება. ყველა მატარებელი უნდა გაჩერდეს ამ ხიდთან. აიყვანოს გამცილებელი და მხოლოდ ისე გაიაროს ეს დაზიანებული ხიდი. ამ გარემოებას მატარებლის დაგვიანების გარდა ხშირად მოსდევს შემაერთებლობის გაწყვეტა. რაც დიდ ზარალს აძლევს რკინის გზას.

საინტერესოა ასე რათ აგვიანებენ მუშაობას ამ ხიდზე. მემანქანეების სიტყვით დღეში ერთი ქვა, რომ დასდონ, აქამდი ხიდი ორჯელ გათავდებოდა.

რას გვავს ეს, სადაური მუშაობაა, ვინ აგვიანებს ამ სამუშაოს, ვინ აყენებს რკინის გზას ამდენ ზარალს? რკ. გზის გამგეობავ, გამოარკვიე ეს საქმე და დამნაშავე მიეცი პასუხისგებაში.

დუ—ახი.

საერთო კრება

(რკ. გზ. საავადმყოფო)

ხუთშაბათს 12 იანვარს, შესდგა რკ. გზ. საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო ადგილკომის 6 თვის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ადგილკომის 6 თვის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. კვანტალიანი, რომელმაც კრებას ვრცლად გააცნო ადგილკომის მუშაობა და აღნიშნა, როგორც ნაკლი, ისე მიღწევებიც. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ტერაკოპოვმა.

კრებამ მოიწონა ადგილკომისა და სარევიზიო კომისიის მუშაობა, რაზედაც გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

ხფ—ვა.

ახალი სარედაქციო კოლეგია

პირველ დეკემბერს, მოხდა ალმასკომის კედლის გაზეთის, „ალმასკომის მეთვალყურე“ სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა.

არჩევნებს წინ უძღოდა ამხ. იტრიევის მოხსენება კედლის გაზეთის მუშაობის შესახებ.

მოხსენებამ გამოიწვია საქმიანი მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასახელებული იქნა ზოგიერთი პრაქტიკული მითითებანი გამოცემის, როგორც ტეხნიკურად, ისე შინაარსის მხრივ გასაუმჯობესებლად.

კრებამ მოისმინა აგრეთვე დახასიათება მუშკორის და კედლკორის მნიშვნელობის მოვალეობის და დანიშნულების შესახებ, რის ცოდნა საჭირო და სავალდებულოა ჩვენი ახალგაზრდა თანამოკალმეთათვის.

დასასრულ მოხდა ახალი რედკოლეგიის არჩევა. არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: იტრიევი, ოგანოვი, დალაქიშვილი; ვარდოსანიძე და ჯაფარიძე.

ჯ—ფ.

მუშკორთა წერილებიდან

პროფკომის გადარჩევა. რკ. გზის პროფკომის მსმენელებმა, ამას წინად მოისმინეს მოხსენება ძველი პროფკომისა და აირჩიეს პროფკომის ახალი შემადგენლობა.

მუშფაკელი.

მოგვიწყეთ სასადილო. თბილისის საყუდში დღემდი არ არის მოწყობილი სასადილო, რის გამო მუშები სამუშაო დაზგებზე უხდებათ პურის ჭამა. საუბნო კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

დ. ჯავარიანი.

უდიერი მოანგარიშე. მთ. სახელოსნოს საბუღალტრო მოანგარიშე მოქ. იაკულოვი უდიერად ეპყრობა მუშებს. ის ხშირად მასთან საქმისათვის მისულებს ყვირილითა და თვალების ბრიალით გამოაგდებს ხოლმე. ადგილკომ, ასწავლე წესიერი მოპყრობა მოქ. იაკულოვს.

იქაური.

შეაკეთეთ ხიდი. მუხრანის ხიდი, ტრამვაის ლიანდაგის პირზე, სამ ადგილას ისეა დაზიანებული, რომ ღამით გავლა სახიფათოა. ალმასკომ, შეაკეთე მუხრანის ხიდი.

დაჩაგრული.

რათ მოხდა ასე? (ფოთი). ამას წინად ფოთის შავი ქვის მტვირთელ მუშებში ჩატარდა შტატის შემცირება. შემცირებაში მოყვნენ ისეთი მუშები, რომლებსაც არავითარი სარჩო, არც სოფლად და არც ქალაქად არ გააჩნიათ. ისეთები კი რომლებსაც სოფლადაც და ქალაქადაც საკმაო სარჩო მოეპოვებათ, შტატში დარჩნენ რათ მოხდა ასე? სატრანსპორტო კავშირო გვიპასუხე.

მუშა ქოიავა.

ავირჩიეთ პროფკომი. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა ამას წინად მოისმინეს მოხსენება ძველი პროფკომისა და აირჩიეს ახალი პროფკომი.

სტუდენტი.

დაიცავით წესრიგი. პლეხანოვის სახელობის კლუბში წარმოდგენების დროს დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი. 8 იანვარს, ვინმე თოდაძემ, რომელიც ძალზე გალეშილი იყო ღვინით, ერთი აურ-ზაური ასტეხა. ის უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდა ზოგიერთ დამსწრეს. კლუბის გამგეობავ, ნუ უშვებთ ასეთებს წარმოდგენებზე.

მსმენელი.

ტყეების დასაცავად

ცირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქების ალმასკომებს

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემის მთავარი მიზანი იყო მშრომელ მოსახლეობისათვის ხე-ტყის უფასოდ სარგებლობის საშუალების მიცემა.

გადაცემული ტყეების მმართვა-გამგებლობა, თანახმად მიწსახკომისარიატის მიერ გამოცემულ ინსტრუქციისა, მინიჭებული აქვთ თვით მოსარგებლეთ.

მიწსახკომისარიატში შემოსული ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მეურნეობა და, რაც უმთავრესია, მათი დაცვა არ არის დაყენებული სათანადო დონეზე, რის გამო მთელ რიგ მაზრებში ტყეები დაუზოგველად იჩეხება. შემჩნეულია, რომ ზოგიერთ მაზრებში ტყის დარაჯებს ხელფასის ანგარიშში ეძლევათ ხე-ტყე, რაც ყოვლად დაუშვებელია და იწვევს ტყეების განადგურებას.

ზოგი მოსარგებლენი ირჩევენ დროებით ყარაულებს მორიგებით, რომელნიც ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას; არის შემთხვევები, როდესაც ტყით მოსარგებლეთ ბარათები ეძლევათ ფასით, ტყის მცველების ხელფასის ფონდის შესაქმნელად, რაც ეწინააღმდეგება ადგილ. მნიშვნ. ტყეების გადაცემის მთავარ პრინციპს—უფასო სარგებლობას; ზოგიერთ მაზრებში კი სრულებით არ არის მიღებული ზომები ადგილ. მნიშვნ. ტყეების დაცვისათვის.

ვინაიდან ასეთი მდგომარეობა დიდ ზიანს მიაყენებს თვით მოსარგებლეთ—მშრომელ გლეხობას—და ყოვლად დაუშვებელია სატყეო მეურნეობის თვალსაზრისით, წინადადება გეძლევათ მოაწყოთ თქვენდამი რწმუნებულ მაზრის ფარგლებში გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სათანადო დაცვა, მუდმივი დარაჯების დაქირავებით ან სხვა წესით. მიწსახკომისარიატის გამოცემულ ინსტრუქციის საფუძველზე წინადადება მიეცით ადგილობრივ მნიშვნელობის ტყით მოსარგებლეთ ერთი თვის განმავლობაში, ე. ი. 1928 წლის მარტის დამლევამდე მოაწყონ ტყის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ საკითხის მოუწესრიგებლობა გამოიწვევს გადაცემულ ტყეების განადგურებას, მათ სარგებლობაში გადაცემული ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე ჩამოერთმევათ და გადაირიცხება ისევ სახელმწიფო ფონდში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავისათვის

ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ. ყველა პროფორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ა.-წ. 23 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმია დღესასწაულობს თავისი არსებობის ათი წლის თავს.

ამიერ-კავკასიის მშრომელმა მასებმა და პირველ რიგში პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საიუბილეო დღესასწაულში.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს იმპერიალისტური ომის მზადება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, გვაიძულებს უფრო ფხიზლად მოვეკიდოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის საკითხებს და წითელი არმიისა და ფლოტის ბრძოლის უნარის გაძლიერებას.

მუშათა მასები უნდა დაუახლოვდენ წითელი არმიის ცხოვრებასა და ყოფა-ცხოვრებას. აუცილებელია ჯამი გაუკეთოთ პროფკავშირთა საშეფო მუშაობას, გამოვააშკარაოთ მისი ნაკლულოვანებანი და მიღწევები; აუცილებელია აგრეთვე იუბილეს დღისათვის მიღებული იქნას შეფობა წითელი არმიისა და ფლოტის იმ ნაწილებზე, რომელნიც შეფობის ქვეშ არ იმყოფებიან.

მზადება დღესასწაულისათვის იქ, სადაც ეს შესაძლებელია, პროფორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ სამხედრო ნაწილებთან ერთად (შეფებმა თავის საშეფო ნაწილებთან).

თვით დღესასწაული არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ ერთი საიუბილეო დატით—23 თებერვლით, უნდა მივაღწიოთ იმას. რომ 23 თებერვალი იყოს დღესასწაულის საბოლოო დღე.

აუცილებელია გაუმჯობესდეს მსროლელთა წრეების მუშაობა, მოეწყოს მსროლელთა შეჯიბრებანი, გაძლიერდეს ტირების მუშაობა. ახალი ტირების გახსნა მოხდეს დღესასწაულის მომენტისათვის და სხ.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო ცოდნის წრეების და სამხედრო კუთხეების (კლუბებში) მუშაობას.

მუშათა ბიბლიოთეკები აუცილებელია შეივსოს სათანადო სამხედრო ლიტერატურით ნაციონალურ და რუსულ ენაზე.

მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში დღესასწაულის პერიოდში აუცილებელია ეწყოს დადგმები და ინსცენიროვკები სამოქალაქო ომის ისტორიიდან და აგრეთვე წითელი არმიის ცხოვრებიდან და ყოფა-ცხოვრებიდან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მოგონებათა საღამოებს, რისთვისაც აუცილებელია გამოყენებულ იქნას სამოქალაქო ომის მონაწილენი, როგორც წითელი არმიის რიგებში მყოფნი, ისე წარმოებაში მომუშავენი, უნდა მოეწყოს სამოქალაქო ომის გმირთა, სამაგალითო წითელ-არმიელთა, წითელფლოტელთა და სხ. პატივისცემით აღნიშვნა.

კლუბებსა და წარმოებებში უნდა მოეწყოს ლექციები და მოხსენებები სამხედრო თემაზე, და აგრეთვე ნაჩვენები უნდა იქნას კინო-სურათები წითელი არმიის ცხოვრებიდან.

დღესასწაულის პერიოდში აუცილებელია აგრეთვე ფართოდ იქნას გამოყენებული პროფკავშირთა პრესა და კედლის გაზეთები; პრესაში და კედლის გაზეთებში მოთავსებულ უნდა იქნეს საიუბილეო წერილები და მოგონებანი წითელი არმიის ცხოვრებიდან.

აუცილებელია მოეწყოს მუშების მისვლა წითელი არმიის ნაწილებში, მონაწილეობის მიღება საზეიმო სხდომებში, მუშათა და წითელ არმიელთა შორის კავშირის განმტკიცების საღამოების გამართვა და სხ.

მუშათა კლუბებისა და წითელი კუთხეების მთელი პროგრამა 23 თებერვლის დღისათვის მიძღვნილი უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულის საკითხისადმი.

ამხანაგური სალამით

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე—**იაკუბოვი.**

კულტგანყოფილების გამგე **პოდოლსკი.**

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამა წლის 19 იანვარს საღამოს ექვს საათზე, მოიწვიოს საქართველოს პროფსაბჭოს მორიგი პლენუმი, შემდეგი დღის წესრიგით:

1) კოლექტიური ხელშეკრულების დადების შედეგები (ხვედელიძე).

2) პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში (მომხს. მაჩაიძე).

3) შრომის დაცვის განყოფილების მოხსენება (მომხ. ლ. ელბაქიანი).

4) ს. პ. კ. ს. პლენუმის მოწვევის შესახებ (მარკმანი).

5) უმუშევრობის დროს დაზღვევისა და დახმარების შესახებ (ველიძე).

პრეზიდიუმის დადგენილებით, ამ საკითხების შესახებ პლენუმის წევრებმა ადგილებიდან (ავტ. რესპ. მაზრები) უნდა იქონიონ საჭირო მასალები.

აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია

თბილისის ფარგლების გაფართოებასა და აღმშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, თბ. ალმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს თბილისში არსებულ აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია. ამ მიზნით ინჟ. ქართველიშვილს დაევალა სათანადო გეგმის შედგენა, რომელიც უკვე დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის ალმასკომს.

ამ გეგმის მიხედვით ღრმა-ღელეში არსებული აგურის 2 ქარხანა გადაკეთებული იქნება ერთ დიდ ქარხნად, რომელიც სათანადოთ მოწყობის შემდეგ დაამზადებს 10 მილიონ ცალ საუკეთესო ხარისხის აგურს წლიურად. ამ ჟამად აღნიშნული ქარხნები ამზადებენ 6 მილიონ ცალ აგურს. თიხის ამოღება და გამოწვა იწარმოებს მექანიკურად ასეთი ქარხნის მოწყობა დაჯდება 350.000 მანეთი.

ამავე გეგმით განზრახულია ვაკეში არსებულ აგურის 4 ქარხნის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. ამავე ქარხნებთან მოეწყობა საშენი ალიზის დამამზადებელი ცენტრალური ქარხანა.

ვაკეში მდებარე აგურის ქარხნებამდე ახლო ხანში რაიონებიდან თიხის მისაზიდად და აგურის გადასაზიდათ გაყვანილი იქნება ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა.

ვინაიდან წინასწარი ვარაუდით მოსალოდნელია ვაკეს მიდამოებში აგურის ქარხნებისათვის საჭირო თიხა გამოილიოს 10-15 წლის განმავლობაში, მიღებულია ზომები შემდეგში ამ ქარხნების სხვაგან გადასატან ადგილების აღმოსაჩენად და შემოსაფარგლავად.

შვიდი საათის სამუშაო დღე

შრომის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობები, რომ ზოგიერთ წარმოებებში თავისნებით შემოუღიათ 7 საათის სამუშაო დღე.

შრომის კომისარიატმა დაავალა შრომის ინსპექტორებს, აცნობონ კომისარიატს. რომელ წარმოებებშია გატარებული სამუშაო დღის შემოკლება; რამდენ მუშა-მოსამსახურეებზე და რომელ წყებაზე (ღამის თუ დღის) ვრცელდება სამუშაო დღის შემოკლება და ვისი თაოსნობით იქნა შემოკლებული სამუშაო დღე. წარმოების, ადმინისტრაციის. ტრესტის თუ პროფკავშირის.

ვინაიდან სამუშაო დროს ყოველგვარი შემოკლება უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინასწარ შემუშავებული გეგმით და შრომსახალხო კომისარიატის დასტურით,—კომისარიატმა დაავალა შრომის ინსპექტორებს მომავალში თვალყური ადევნონ წარმოება-დაწესებულებებში სამუშაო დღის დამოუკიდებლად შემცირებას და თუ ასეთს კიდევ ექნება ადგილი, დაუყოვნებლივ აცნობონ შრომის სახ. კომისარიატს.

საქართველოს პროლეტ. მწერალთა მეორე ყრილობა

საზეიმო სხდომა

გუშინ; პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. ბ. **ბუაჩიძემ.** საქართველოს პროლეტარულ მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ დიდი დრო არ არის გასული; — სთქვა ამხ. ბუაჩიძემ; — მაგრამ ამ პერიოდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარულ მწერლობის განვითარებისათვის. ამ ხნის განმავლობაში პროლეტარული მწერლობა საქართველოში ჩამოყალიბდა ორგანიზაციულად; გაძლიერდა და განმტკიცდა თავისი შემოქმედებით და ამჟამად ჩვენ უკვე საკმაო მასალა გვაქვს იმისათვის; რომ ჯამი გავუკეთოთ მის მიღწევებს. ეხლა პროლეტარულ მწერლობის წინაშე ვრცელი ასპარეზია გადაშლილი, მან თავისი მხატვრული შემოქმედებით მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის დიდ მშენებლობაში, მის წინაშე დიდ პერსპექტივაა გადაშლილი, იგი თანდათანობით ჰეგემონი უნდა გახდეს ლიტერატურის ასპარეზზე და თავისი შემოქმედებით დაუპირდაპირდეს წარსულ ლიტერატურულ სკოლებს, იდეოლოგიურად უნდა დაიპყროს ისინი და უვნებელი გახადოს მათი გავლენა მასსაზე. ეს რთული ამოცანები, მის წინაშე გადაშლილი დიდი ისტორიული პერსპექტივა ავალებს ჩვენს ყრილობას დიდის პასუხისმგებლობით და ყურადღებით მიუდგეს წარსულ შემოქმედებით ფაქტებს და იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომელიც ჩვენი ყრილობის დღის წესრიგშია დასმული. ვუსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

შემდეგ ყრილობა გადადის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნებზე.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია ამხ. სტალინი, ბუხარინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, კახიანი, ქართველიშვილი, ლუნაჩარსკი, კანდელაკი, ანრი ბარბიუსი, დემიან ბედნი.

საქმიან პრეზიდიუმში — ამხ. თოდრია, ხუტირინი, ეული, ზომლეთელი, ბუაჩიძე, რონდელი, მაშაშვილი, ნავთლუღელი, ვარდანიანი ანუშევან მამედოვი, ვაკელი, კრეიტანი, ჩარენცი, ვართანიანი.

სამდივნოში — ლუარსამიძე, რაღიანი, სიტკოვსკი, ლისაშვილი, სულავა და სამსონიძე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ დაიწყო მისასალმებელი სიტყვების წარმოთქმა ყრილობისადმი.

მისალმებები ყრილობას

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელით პროლეტარულ მწერალთა ყრილობას მიესალმა ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელსაც დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით ეგებება. უსურვა რა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა,—ამხ. მიხამ შემდეგნაირად დაახასიათა პროლეტარული მწერლის როლი და დანიშნულება:

— ყოველი ეპოქის დიდი მწერლის მხატვრული ნაწარმოები აღმოცენებულია საწარმოო ურთიერთობის ნიადაგზე. ჰომიროსმა, შექსპირმა, დანტემ შექმნეს უკვდავი ნაწარმოებნი, მაგრამ მათი მხედველობის გარეშე დარჩა დიდი სოციალური მოვლენები, დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ ფართო შემოქმედების ასპარეზზე გამოიყვანა მილიონიანი მასსები. ლიტერატურა, რომელიც საწარმოო ურთიერთობის მხატვრული ამსახველია, ვერ აუვლის გვერდს ამ უდიდეს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში. ურთიერთობათა ახალ საფუძველზე იქმნება ახალი კულტურა. წარსული საუკუნეების მიერ ნაანდერძევი — კულტურული ნაშთები თანდათან ქრებიან. ამ ნგრევისა და შემოქმედების ეპოქას ქმნის ახალი ძალა, ახალი კლასი. ამ კლასიდან არის გამოსული პროლეტარული მწერლობა. ძველი კლასის წარმომადგენლები, რაც უნდა ნიჭიერი არ იყვნენ ისინი, ვერ შესძლებენ ახალი კულტურის შექმნას. ამის დამამტკიცებელი არის ნიჭიერი პოეტი ბლოკი და ესენინი, რომელთაც ვერ გაუძლეს რევოლიუციონურ ეპოქას, რადგან ცალი ფეხით ისინი წარსულში იდგენ. პროლეტარულ მწერლობის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა პოეტურ ფორმებში ასახოს დიდი კოლექტივის, — გამარჯვებული პროლეტარიატის ყოფა - ცხოვრება, მისი ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება ყოველდღიურ მშენებლობაში. პროლეტარულ მწერლობამ პროლეტარიატის მისაწვდომი უნდა გახადოს ის დიდი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მას წარსულ საუკუნოებიდან მიუღია. მან უნდა ისარგებლოს წარსული მემკვიდრეობით და დაამუშაოს ის დიდი მასალა, რომელიც პროლეტარიატის საქმიანობა იძლევა დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე. აქ მათ დახმარებას გაუწევენ მუშკორები, რომელნიც დაზგასთან თვალყურს ადევნებენ და შეძლებისდაგვარად ასახავენ თავის მუშაობას და ყოფა - ცხოვრებას. ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მრავალ ენაზე იქმნება ლიტერატურა, ყოველი მათგანი ატარებს თავის კოლორიტს, თავისებურ იერს, შეაქვს თავისი განძი საერთო კულტურაში, მაგრამ პროლეტარულ მწერლების არც ერთმა სექტორმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მის მიერ ასახული მოვლენები გაშუქებული უნდა იქნეს რევოლიუციონური მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით. მხოლოდ ასეთი შემოქმედება იქნება პროლეტარიატისთვის მისაღები და დასაფასებელი. ვუსურვებ ქართულ პროლეტარულ მწერლობას, რომ იგი საერთაშორისო პროლეტარულ მწერლობის ერთი დიდი და მნიშვნელოვანი რაზმთაგანი ყოფილიყოს! (მქუხარე ტაში).

ამხ. ვარდანიანის სიტყვა

ამხ. ვარდანიანი ყრილობას ესალმება სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სახელით, იგი ამბობს: მე მიმუშავნია ქართველ მუშებთან ერთ დაზგაზე, მე ვიცნობ მათ ყოველდღიურ საქმიანობას ქარხანაში, მიბრძოლია მათთან რევოლიუციის ფრონტებზე, მე ვიცნობ მათ ბრძოლის უნარს, მაგრამ მე არ ვიცნობ ქართველ პროლეტმწერლებს ისე, როგორც ქართველი პროლეტარული მწერლები არ იცნობენ სომეხ მწერლებს. ჩვენ სომეხმა მწერლებმა დავადგინეთ, რომ ვსთარგმნოთ ქართველი პროლეტარული მწერლები. მე ვუსურვებ ყრილობას ამ საკითხისათვისაც მიექცია ყურადღება და მოეგვარებია ქართველ სომეხ მწერლების ურთიერთგაცნობის და დაახლოვების საკითხი.

ამხ. კოჭელაშვილი

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების კომკავშირელ მწერალთა სახელით სიტყვას ამბობს ამხ. კოჭელაშვილი. უკანასკნელ დრომდე პროლეტარულ ახალგაზრდობას ნივთიერი უსახსრობის გამო საშუალება არ ჰქონდა ეწარმოებია ფართე კულტურული მუშაობა. მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება დღეს მას გზას უხსნის დაეწაფოს თვითგანვითარებას და აწარმოოს ლიტერატურული მუშაობა. იმედს გამოვსთქვამ, რომ ყრილობა დაეხმარება მუშურ ახალგაზრდობას ამ დიდ საქმეში

ტიციან ტაბიძე

ესალმება ყრილობას სრულიად საქართველოს მწერალთა გაერთიანებული კავშირის სახელით. ორი წელიწადია,—ამბობს იგი, რაც მოხდა ქართველ მწერალთა გაერთიანებული ყრილობა, რომელმაც გამოსთქვა ურყევი სურვილი ორგანიულად ჩაბმულიყო საბჭოთა კულტურულ მშენებლობაში. მთელი ქართველი მწერლობა დიდი ყურადღებით მოუსმენს თქვენ ყრილობას რადგან ის, რასაც იგი გადასწყვეტს, იქნება იმ კავშირის სახელმძღვანელო გადაწყვეტილება, რომელშიდაც სექციის სახით პროლეტარული მწერალთა კავშირიც შედის. მე გამოვსთქვამ ჩემს სიხარულს იმის გამო, რომ ქართველი პროლეტარული მწერლობა იმდენად მომწიფდა და გაიზარდა, რომ იგი დღეს იზიდავს არა მარტო მუშებს, არამედ საზოგადოების სხვა ფენებს ყურადღებასაც. მარტო ის, რომ თქვენ ხართ ოქტომბრის რევოლიუციის შვილები, გვავალებს ჩვენ ვუსურვოთ ამ ყრილობას სრული გამარჯვება.

ამხ. სუტირინი

კომუნისტური პარტიის და რესპუბლიკანურმა ამიერ-კავკასიის ყრილობებმა აღნიშნეს პროლეტარული ლიტერატურის სწრაფი ზრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. ამ ყრილობამ, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარული ლიტერატურის ერთ-ერთ ტერიტორიალურ სექტორს აუცილებლად პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვაზე: როგორ მოხდა ის, რომ ისეთ გლეხურ. არაპროლეტარულ ქვეყნებში, როგორიც არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ასე გაიზარდა და გაძლიერდა პროლეტარული ლიტერატურა? ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთად-ერთი პასუხი. სახელდობრ ის, რომ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც თანდათან აძლიერებს თავის კულტურულ ზეგავლენას შემოქმედების ყოველ სფეროში. პროლეტარიატის ამ ხელმძღვანელის—კომუნისტური ორგანიზაციების სახელით მივესალმები და ვუსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

ბესო ჟღენტი

მიესალმება ყრილობას მემარცხენე მწერლების კავშირის სახელით. პროლეტარულ მწერლობისა და ჩვენს შორის,—ამბობს იგი,—არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს სხვა მიმდინარეობებს შორის. პროლეტ. მწერლობა იბრძვის ისე. როგორც ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ შევქმნათ ნიადაგი ახალი კულტურული შემოქმედებისათვის, ახალი მსოფლმხედველობისათვის. ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს მიზნების ერთიანობა, თუმცა ჩვენს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა მხატვრული ფორმის საკითხებში. ჩვენს შორის დავა სწარმოებს იმ მიზნით, რომ გამოვნახოთ ახალი გზები ძველ ესტეტიურ კულტურულ ნანგრევებზე ახალი კულტურული მშენებლობის გასაჩაღებლად. ვუსურვებ ყრილობას, რომ დაემყარებინოს საქართველოს მემარცხენე მწერლებთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობა.

ამხ. მამედოვი

აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა სახელით ყრილობას სიტყვით მიმართავს ამხ. მამედოვი, რომელიც ამბობს, რომ გასაბჭოებამდე აზერბეიჯანელ მწერლებს ხელფეხი შეკრული ჰქონდათ, მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ მიეცათ მათ შემოქმედებას ფართო ასპარეზი და იმ დროიდან მისი განვითარება უკვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ეხლა აზერბეიჯანს ჰყავს პროლეტარულ მწერალთა საკმაო დიდი რაზმი, რომელიც მოწადინებულია საქართველოსა და სომხეთის პროლეტარულ მწერლებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ემსახუროს კულტურულ-რევოლიუციის საქმეს ამიერ-კავკასიაში.

ამხ. ხაშბა

მისასალმებელ სიტყვას აფხაზეთის პროლეტ. მწერალთა სახელით ამბობს ამხ. ხაშბა: აფხაზეთში დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა პროლეტ. მწერალთა ასოციაცია. ჩვენ აფხაზეთის პროლეტ. მწერლებს არა გვაქვს საკმაო გამოცდილება, არა გვაქვს ლიტერატურული ტრადიციები. ამიტომ იგი ყველაზე უფრო საჭიროებს ქართველ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობას.

ამხ. მახარაძე

აჭარისტანის პროლეტარულ მწერალთა სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. მახარაძე: —აჭარისტანში, სადაც ამ ცოტა ხნის წინად შეუძლებელი იყო წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაც კი. ეხლა ჩამოყალიბებულია პროლეტ. მწერალთა ასოციაცია, რომელიც აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას და თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს პროლეტარულ მწერლობაში.

გაუმარჯოს ჩვენი ყრილობის საქმიანობას!

შემდეგ ყრილობა ისმენს კომკავშირის მწერალთა წრის წარმომადგენლის ამხ. ქარსანიძის, პროლეტარულ-დრამატიულ სახელოსნოს წარმომადგენლის **ცალუშის** სიტყვებს და ამხ. შაქრო ნავთლუღელის ლექსად დაწერილ მისალმებას.

საზეიმო სხდომა დამთავრდა პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული გამოსვლით.

ლენინის სახელობის სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი

(მისი არსებობის ათი წლის თავის გამო)

(მისი არსებობის ათი წლის თავის გამო) ფშგ

15 იანვარს გაიმართება ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის არსებობის ათი წლის თავის საზეიმო დღესასწაული.

სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გახსნის დღედ—თბილისში ფაქტიურად უნდა ჩაითვალოს 1917 წლის 9 ოქტომბერი. ინსტიტუტის ხუთი წლის თავზე მას დაერქვა „ვ; ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტი“. სახ. პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა თავისი საქმიანობის 10 წლის განმავლობაში მოაწყო სამეცნიერო კაბინეტები და ლაბორატორიები (25-დე). მიმდინარე წელს აშენდება და მოეწყობა მექანიკური სახელოსნოები, მასალების წინააღმდეგობის გამოსაკვლევი ლაბორატორია და ზოოტექნიკური ფერმა. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ითვლება 45.000 ტომი. მოწესრიგებულია როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პერიოდულ გამოცემათა რეგულიარულად მიღების საქმე, აგრეთვე მეცნიერულ შრომათა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა და უცხოეთის უდიდეს ორგანიზაციებთან. ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს ეკუთვნის საგურამოს სამოსწავლო მეურნეობა, სადაც ინსტიტუტმა ვაზის სანერგეებისა და ხილის ბაღის გაშენება დაიწყო.

სახელმწიფო პოლიტეხნიკ. ინსტიტუტი, მისი არსებობის დღიდან, გაათავა 866 აგრონომმა (58-მა სწავლული აგრონომის ან მეტყეობის სპეციალისტის სახელწოდებით) და 61 ინჟენერმა. ინსტიტუტის სამოსწავლო დაწესებულებათა შორის განსაკუთრებით განვითარდა ხატყეო მუზეუმი: უცხოეთის სპეციალისტების აზრით მუზეუმის ტყის მავნეთა კოლექცია ერთად-ერთია ევროპაში.

ამჟამად ინსტიტუტში 1.758 სტუდენტია:—1.403—საინჟენერო ფაკულტეტზე,—355-კი—სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, ინსტიტუტის რექტორია პროფესორი ც. ა. ზაიცევი.

საქართველოს ცაკში

გლეხის სასახლეში

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობების მიხედვით — გასული წლის დეკემბერში მაზრებიდან და საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებიდან (აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ-ოსეთიდან) თბილისში ჩამოვიდა და გლეხის სასახლეში ღამე გაათია 1539 გლეხმა. ამათგან 1372 გლეხი ჩამოსული იყო თბილისში თავის პირად საქმეებზე, საექიმოთ იყო ჩამოსული 83 გლეხი; სოფლებიდან, თემებიდან თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში საერთო სასოფლო საქმეების გამო გამოგზავნილი იყო 84 გლეხი დეკემბერში გლეხის სასახლემ უფასოთ მისცა სადილი 264 ღარიბ გლეხს, ფას დაკლებით დაურიგა სადილი 161 გლეხს. უფასოთ აღმოუჩინა ამბულატორიული საექიმო დახმარება 137 გლეხს, უფასოთ აღმოუჩინა იურიდიული დახმარება 43 გლეხს, გაგზავნა საექიმო საავადმყოფოში 34 გლეხი, უფასოთ გაათევია ღამე 548 გლეხს, საგზაო დახმარება აღმოუჩინა 9 გლეხს, სხვადასხვა დაწესებულებებში შუამდგომლობა აღუძრა 11 გლეხს, უფასოდ დაურიგა გლეხებს სასოფლო - სამეურნეო თემებზე დაწერილი 1.100 [illegible] უფასოთ აბანო [illegible] გლეხის სასახლე [illegible] 170 გლეხი.

დაჯილდოვება შრომის ორდენით

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის № მესანგრეთა ათასეული იმ მუშაობისათვის, რომელიც მან გასწია გზის გასაყვანად სვანეთში. ხსენებულმა ათასეულმა მთელი მუშაობა დაამთავრა ორი ზაფხულის განმავლობაში. მუშაობა მიმდინარეობდა მეტად მძიმე პირობებში. ხეობათა შორის საჭირო ხდებოდა ხიდების აშენება, ასეთი ხიდები სულ აგებულ იქნა 50-დე. მათი საერთო სიგრძე აღწევს 600 მეტრს. მუშაობის ნორმალურ მსვლელობას აფერხებდა აგრეთვე კლდიანი ადგილები, თითქმის ყოველ ნაბიჯზე საჭირო ხდებოდა კლდეების აფეთქება.

ათასეულის ენერგიული მუშაობით გზის გაყვანა წარმატებით დამთავრდა. აღსანიშნავია რომ ათასეული მთელი შემადგენლობით დღე დალამის განმავლობაში მუშაობდა 8—13 საათს.

ქრონიკა

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის 10 წლის თავი

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად 15 იანვარს, კვირას, შუადღის 12 საათზე შესდგება ინსტიტუტის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელზედაც სტუმრები მოწვეულნი იქნებიან ბარათებით.

ახალი ხიდი

გზა - ტკეცილების სამმართველოს ცნობით, ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ქუთაის-ხონის შორის მდ. გუბისწყალზე ბეტონის ხიდის ასაგებათ. ხიდის აგება დაიწყო გასული წლის აგვისტოში.

ხიდის პროექტი შედგენილია ინჟ. ბერნაცის მიერ და მისი აგება დაჯდება 120 ათასი მანეთი.

ხიდის აგება დასრულდება ამა წლის ბოლო რიცხვებისათვის.

საბინაო მშენებლობა

თბილისში საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად. კომუნალურ ბანკმა გადასწყვიტა საბინაო მშენებლობისათვის სესხი მისცეს კერძო პირებსაც. ამ მიზნით ბანკმა გამოყო 40 ათასი მანეთი. სესხის გაცემა იწარმოებს 1 მარტამდე.

თევზის ქონის შეძენა

თბილისის საფთიაქო სამმართველოს ცნობით ახლო ხანში კრევიდან მიღებული იქნება 1 ნახევარი ტონა თევზის ქონი, რომელიც იქ შეიძინა თბილისის საფთ. სამმართველომ. თევზის ქონი უკვე გამოგზავნილია.

გარდა ამისა საფთიაქო სამმართველო მიიღებს თევზის ქონს ჯანსახკომისაგან.

ბამბის დამზადება

მიმდინარე სეზონში ბამბის დამზადება კარგი ამინდების გამო ცოტა ნაადრევათ დაიწყო, მაგრამ მეტად ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა.

20 დეკემბრამდე დამზადების გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით; სულ ა.-კ. დამზადებულია 59.634.6 ტონა ბამბა. აზერბეიჯანში დამზადებულია 47.041.1 ტონა, სომხეთში —10.485 ტონა, საქართველოში—2.108.5 ტონა. საქართველომ მიმდინარე სამეურნეო წლის დამზადების გეგმას 12 პროცენტით გადააჭარბა, სომხეთმა—10 პროცენტით.

ექსკურსია

დღეს, 14 იანვარს, სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტთან არსებული ფიზიო-კურორტოლოგიური კლინიკა აწყობს სტუდენტთა ექსკურსიას შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე კურორტების შესასწავლად.

საკავშირო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თათბირი

კვირას, 15 იანვარს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში გაიხსნება სრულიად საკავშირო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თათბირი. თათბირს დაესწრებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ჯანსახკომთა სანიტ.-ეპიდ. განყოფილებების უფროსები.

თათბირის მუშაობა გასტანს სამ დღეს.

თბილისის ალმასკომში

◆ **წყალსადენი.** სოფ. შინდისში წყალსადენის გასაყვანად თბ. ალმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ **ნიაღვრების თავიდან ახაცილებლად** საბჭოთა ქუჩაზე [illegible]

◆ **დახმარება.** დიდი ირაგის თემს, თემის საჭიროებისათვის მიეცა 222 მანეთი.

◆ **ვარაზის ხევის** [illegible] გადაიდო 22 ათასი მანეთი.

◆ **კეთილმოწყობა.** საგეგმო კომისიამ შეადგინა თბ. მაზრის კეთილმოწყობის 5 წლიანი გეგმა.

◆ **ახალი ქარხნები.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა თბ. მაზრის დიდ სამეურნეო თემებში გახსნას ადგილობრივი მნიშვნელობის ქარხნები.

მიწსახკომში

◆ **მევენახეობის სადგური.** მიწსახკომის ცნობით, აფხაზეთში წელს მოეწყობა მევენახეობის დიდი სანიმუშო სადგური, რომლის მოწყობა დაჯდება 40.000 მანეთი.

◆ **კურსები.** მიწსახკომმა იყალთოში (თელ. მაზ.) გახსნა მევენახეობის შემსწავლელი კურსები.

ჯანსახკომში

◆ **სამკურნალო დაწესებულებების** გასაფართოვებლად აფხაზეთში, გადაიდო 7996 მანეთი.

◆ **პატარა აფთიაქი.** მოზრდილ თემებში არსებულ საექიმო პუნქტებთან ეწყობა პატარა აფთიაქები.

◆ **სამკურნალო მცენარეები.** ჯანსახკომის მეთვალყურეობით წელს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში მოეწყობა სამკურნალო მცენარეების ბოსტნები.

◆ **სამალარიო სადგური.** სანდარაში (ბორჩ. მაზ.) გაიხსნა სამალარიო სადგური.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება ლიტერატურის და ენათმეცნიერების ასოციაციის სხდომა რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს პროფ. გ. ახვლედიანი.

◆ **თბ. სახ. უნივერსიტეტის შენობაში** კვირას, 15 იანვარს დღის 12 საათზე შესდგება საქ. ტეხნიკურ საზ-ბის კრება რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: პროფ. ა. დიდებულიძე — „ქუჩის განათების რაციონალური გამოანგარიშება“, ინჟ. ხ. ფორცხალაური— „საბინაო მშენებლობა“ და „საქართველოს ელექტროფიკაციის დამხმარე საზ-ბის დაარსების შესახებ“.

◆ **პოლიტკატორღელთა საზ-ბაში** კვირას, 15 იანვარს დღის 11 ს. შესდგება პოლიტკატორღელთა საზ-ბის წევრთა კრება. [illegible] ერთკვირეულ კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად.

სხვადასხვა

◆ **პროლეტსტუდენტთა ბიუროში.** 16 იანვარს, ორშაბათს. დღის 1 საათზე შესდგება პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის ბიუროს პლენუმი.

დღეს, 14 იანვარს დღის 3 საათზე დანიშნულია ფრაქციის სხდომა ბიუროს ოთახში.

◆ **წყალსადენი ბათომში.** დამტკიცებულ იქნა ბათომში ახალი წყალსადენის გაყვანის გეგმა. წყალსადენის გაყვანა დაჯდება 208731 მანეთი.

◆ **გამოვიდა ჟურ.** „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მეურნეობა“-ს მორიგი ნომერი (№ 11-12).

ხელოვნება

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოში

საბჭოს შემადგენლობა

სახელოვნო საბჭოს მორიგ კრებაზე საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა სამხატვრო - სარეპერტუარო საბჭოს შემადგენლობა. საბჭოში შედიან:

ხ. თოხაძე, ლ. ჯაფარიძე, აკ. თათარიშვილი, კ. მარჯანიშვილი, შ. დუდუჩავა, კ. მეგრელიძე, შ. დადიანი, ს. ქურიძე, ა. ფირალიშვილი, პლ. ქიქოძე, ალ. ახმეტელი, დ. დიასამიძე, ვ. მაჭავარიანი, ბ. ბუაჩიძე, ივ. ფალიაშვილი. ს, ამაღლობელი, ხ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი, მ. ხითაროვი, იმედაძე და მამულია.

მუშათა კლუბების სექცია

სარეპერტუარო - სამხატვრო საბჭომ თავის შემადგენლობიდან გამოყო მუშათა კლუბების სექცია რომელშიაც შედიან პროფ. კავშირების წარმომადგენლები. სექცია განიხილავს რეპერტუარს და საერთოდ უხელმძღვანელებს მუშათა კლუბების თეატრალურ მხარეს.

კინო-სცენარების საკითხი

კრებამ მოისმინა ხელოვნების განყოფილების გამგის ლ. ჯაფარიძის მოხსენება კინოსცენარების განხილვის შესახებ, რამაც ფართო აზრთა გაცვლა - გამოცვლა გამოიწვია. გამოყოფილ იქნა კომისია სახკინმრეწვის და სარეპერტუარო სამხატვრო საბჭოს წევრთაგან. კომისიაში შედიან: ლ. ჯაფარიძე, სერ. ამაღლობელი, ვ. მაჭავარიანი, ვ. კოტეტიშვილი და პლ. ქიქოძე კომისიის შექმნის მიზანია კინო-სცენარების საკითხის შესწავლა.

„ამერიკელ ძიას გასაბჭოების“ მოხსნა

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა პიესა „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“-ს საკითხი. გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ ეს პიესა, როგორც დაბალი მხატვრული ღირსების ნაწარმოები, მოიხსნას ყველა თეატრების რეპერტუარიდან.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა თეატრში** ქართული სექტორის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ჭიაურელის რეჟისორობით.

◆ **დიდი საღამო.** მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო.

◆ **წითელ-არმიელთა კლუბში** მუშათა თეატრის რუსული დრამა დღეს დგამს: „ლიუბოვ იაროვაიას“.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** განათ მუშაკთა კავშირის წევრთათვის დღეს გაიმართება კინო-სურათების ჩვენება.

◆ **დუხოვსკაიას და ბიხტერის მეორე კონცერტი** იმართება ხვალ 15 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **„კარმენი“.** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენი“.

◆ **მხატვრული ჟურნალი.** სამხატვრო აკადემიას განზრახვა აქვს გამოსცეს სამხატვრო ჟურნალი.

◆ **„სიბრძნე - სიცრუე“.** გამომცემლობა „შრომა“ სცემს საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“-ს წიგნს გ. ლეონიძის რედაქციით.

სასამართლო

ვატმან ა. ვართანოვის საქმე

ჩვენს მკითხველებს ალბად ახსოვთ უბედური შემთხვევა, რომელსაც გასული წლის გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი კალიაევის (ყოფ. ციციანოვის) დაღმართზე.

ტრამვაის ვაგონი № 112, რომელსაც მართავდა ვატმანი ალექსანდრე აკოფის ძე ვართანოვი, დაღმართის შუა ადგილიდან საშინელის სისწრაფით დაეშვა დაბლა. ვაგონი ასცდა ლიანდაგს და გადაბრუნდა. ვაგონის ქვეშ მოყვენ მგზავრები. ამ უბედურების დროს დაშავებულებიდან გარდაიცვალენ მოქ. **ხოფერია, ოსკანელიანი და ევგენია ლაუფერი.**

ვატმანი ვართანოვი დააპატიმრეს.

— მე არაფერ შუაში ვარ, განაცხადა დაკითხვის დროს ვართანოვმა... მე ყოველივე ზომები მივიღე, მაგრამ „შეუძლებელი“ გახდა ვაგონის შეჩერება. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ ლიანდაგზე ქვიშა არ იყო დაყრილი და გარდა ამისა ლიანდაგიც ახალი დაგებული იყო...

ასე იმართლა თავი ვართანოვმა.

საქმის გამოძიებამ კი საწინააღმდეგო დაადასტურა.

ჯერ ერთი, ქვიშა ახალ მოყრილი იყო ლიანდაგზე, რაც იქიდან სჩანს, რომ № 112 ვაგონის გამორებამდე გამოუვლია ხორცით დატვირთულ ვაგონს, რომელსაც მოჰყვებოდა ქვიშის დამყრელი მოსამსახურე და აყრიდა ლიანდაგს ქვიშას.

გარდა ამისა, მგზავრებმა, რომლებიც სიკვდილს გადარჩენ, ერთხმად განაცხადეს, რომ, როგორც კი ვაგონი დაღმართის დასაწყისს მიუახლოვდა, ვატმანმა ის გამოუშვა არაჩვეულებრივი სისწრაფით, მგზავრები ერთმანეთს ეკვრებოდენ შიშისაგან; დაღმართის შუა ადგილიდან ტრამვაი წამოვიდა, ასე ვსთქვათ „კისრის ტეხით“... ვერავითარი სისტემის მუხრუჭი ველარ შეაკავებდა დაცურებულ ვაგონს...

ასე ლაპარაკობდენ მოწმეები.

ექსპერტების დასკვნა ადასტურებს, რომ ვაგონის მუხრუჭიც კარგი იყო, გზას არ აკლდა ქვიშა და სხვა....

აქედან დასკვნა ასეთია: არც ვაგონი, არც გზა არაფერ შუაშია, მთელი უბედურება შედეგია იმ გაუფრთხილებლობის და დაუდევრობის, რომელიც ვართანოვმა გამოიჩინა.

საქმე უკვე გამოძიებულია და გადაეცა განსახილველად თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოს.

ბარბალე ტატიშვილის საქმე

ბარბალე ტატიშვილს უყვარდა კარგი ცხოვრება. რა ვუყოთ მერე, თუ თავისი ბევრი არაფერი გააჩნდა, სხვისი ქონებიც თავის ბიუჯეტში ჰქონდა შეტანილი და თუ დროს იხელთებდა, ისე „გააძვრენდა“, რომ პატრონის გვარსაც არ მოიკითხავდა.

ბარბალე უკანასკნელად მოეწყო თბილისში, მოქ. შაქრო ლორთქიფანიძის სახლში. რამდენიმე ხნის განმავლობაში „ზვერავდა“ ქორივით „საკბილოს“. ეს საკბილო გახლდათ ოქროულობა და ძვირფასი ნივთები.

ერთ მშვენიერ დღეს ბარბალე გაქრა, როგორც იტყვიან „სულიან-ხორციანად“.

— რა მოუვიდა ნეტავი ამ ქალს? ხიფათი ხომ არაფერი შეემთხვა? გავიკითხოთ სადმე... —ლაპარაკობდენ ლორთქიფანიძის ოჯახში.

ამ დროს ბარბალე ტატიშვილი „ვალიუტას ახურდავებს“ გორში და იკაზმება პატარძალივით.

როცა ოქროულობა აღარ აღმოჩნდა ლორთქიფანიძის ოჯახში, მაშინ კი მიხვდენ „რა ხიფათიც“ შეემთხვა ბარბალეს.

გორში ერთ-ერთ ოჯახში ქეიფია. სტუმრების ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ერთი ძვირფას საყურეებიანი ქალი. ეს გახლავთ სწორედ „კარგი ცხოვრების“ მოყვარული ბარბალე.

ქეიფი კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ადგილობრივმა მილიციამ მორთულ-მოკაზმული ბარბალე ტატიშვილი დააპატიმრა.

საქმე გაარჩია თბილისის პირველი უბნის სასამართლომ.

ბარბალე ტატიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით და აგრეთვე მოპარულ ძვირფასი ნივთების საფასურის გადახდა ლორთქიფანიძისათვის.

— თქვენმა მზემ, ხვალვე გადაუხდი, აი! მანამდე არაფერი სჭამოს!—ჩაილაპარაკა ბარბალემ განაჩენის მოსმენის შემდეგ და იქვე არხეინად ჩამოჯდა.

ბერ.

შემთხვევები

ავტომობილის მსხვერპლი

როგორც ვსწერდით, ამ ხუთი დღის წინად მელაკანთა ქუჩაზე № 48 სახლის პირდაპირ „ზაკპოგრუზ“-ის მუშას ელო ასტვაცატუროვს დაეჯახა ნახევრად საბარგო ავტომობილი და სასიკვდილოთ დაშავა. შოფერმა მოასწრო მიმალვა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა შოფერი დააპატიმრეს თბილისში. იგი აღმოჩნდა კონსტანტინე სტეფანეს ძე ბანდუროვი (31 წლისა).

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ დილით ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანების გამო საბჭოს ქუჩაზე მოძრაობა შეწყდა 10 წუთით.

სასწრაფოდ გამოიწვიეს ოსტატები ტრამვაის სახელოსნოდან და დაზიანებული ხაზი შეაკეთეს.

ქურდების დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სეროპ ქურშუდის ძე მინასოვი, კატია მნუკის ასული ხუროვშინოვა და ბორის ალექსანდრეს ძე ანდრეევი.

ხსენებულ პირებს აქვთ ჯიბგირობისა და ქურდობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

თავის მოწამვლა

გუშინწინ საღამოს თვითმკვლელობის მიზნით სულემის ხსნარით თავი მოიწამლა ლიუბა ლადოს ასულ შანკულოვამ.

შანკულოვას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

თავის მოწამვლის მიზეზი რომანიულია.

აცილებული უბედურება

გუშინ დღის პირველ საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა ტრამვაის დენის გამტარებელ ბოძს. ცეცხლმა მალე საშიში ხასიათი მიიღო; მოსალოდნელი იყო მავთულების გაწყვეტა, რაც საფრთხეს უმზადებდა გამვლელთ.

საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა დროზე მიაქცია ყურადღება ამ საფრთხეს და მოწვეულ მეეზოვეების საშუალებით ხალხი არ გაატარა საშიშარ ადგილისაკენ.

ტრამვაის სახელოსნოდან დაჩქარებით მოვიდენ ოსტატები და დამწვარი ბოძი შეაკეთეს.

უბედური შემთხვევა

გუშინ დილით რ. ლუქსემბურგის და ბათომის ქუჩის კუთხეში ორმოში, რომელშიაც მიწას სჭრიდა ავეტიკ არაქელოვი, გადავარდა ურემი.

მძიმედ დაშავებული არაქელოვი გადაგზავნილ იქნა საავადმყოფოში.

ბიბლიოგრაფია

А. ТАЛЬГЕЙМЕР — «ТЕОРЕТИЧЕСКИЙ КРИЗИС СОЦ. ДЕМОКРАТИИ».

რუსეთის სახელგამი—1927 წ. გვ. 167.

ტალგაიმერის წიგნში მკითხველი გაეცნობა ავსტრო-მარქსიზმის უკანასკნელი პერიოდის იდეურ თაიგულს—საიუბილეო კრებულს „ცოცხალი მარქსიზმი", რომელიც გამოცემული იქნა ქ. იენში ოტტო იენსენის რედაქტორობით, კ. კაუცკის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

კრებულის დანიშნულება ავტორების აზრით „მარქსიზმის გამოყენება თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმის და მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის პირობებისადმი და სოციალური თეორიის გაღრმავება". კრებულმა დასაწყისი უნდა შეუქმნას მარქსიზმის „მეოთხე ფაზას" (ესაა რეფორმისტული „მარქსიზმის"—რეაქციის აპოლოგეტიკად გადაქცევის ფაზა). პრეტენზია ძალიან დიდია. კრებული ცხადია გვერდს უვლის სოციალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ძირითად საკითხებს. ავტორებს აქ არაფერი აქვთ სათქმელი. სამაგიეროთ გზააბნეული „თეორეტიული" ხეტიალი აღწევს თვითხიროურგიის და ფსიქოანალიზის საზღვრებამდეც კი.

ტალგეიმერი იწყებს კრიტიკას მაქს ადლერის—პასიურობის და უმოქმედობის ამ „ლირიკის" წერილიდან: „საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ძალდატანებითი წყობილება". ადლერი ამტკიცებს, რომ „საზოგადოებრივი წყობილება საერთოდ შეუძლებელია ძალდატანებითი ორგანიზაციის გარეშე". ძალდატანებითი რეჟიმი მისი აზრით იარსებებს მუდმივათ სოციალიზმის დროსაც. ეს „აღმოჩენა". რასაკვირველია ახალი არ არის. იგი გადამღერებაა ძველი, დიურინგის აზრების, რომელსაც თავის დროზე გასცა პასუხი „ანტი-დიურინგის" ავტორმა.

ადლერი უარჰყოფს მარქსისტულ თეორიას სახელმწიფოზე, ის არც ამით კმაყოფილდება და ერთი ხელის დაკვრით ანიავებს დიალექტიკას და ისტორიულ მატერიალიზმს სცვლის ისტორიული იდეალიზმით. — „ეკონომიური ფუნდამენტი შეიძლება შეცნობილ და განცდილ იქნეს იდეოლოგიური ზედნაშენის ფორმაში".

ბაუერი თავის წერილში „კაპიტალიზმის მსოფლმხედველობა", „ლიკვიდაციას უწევს დიალექ. მატერიალიზმს". მას მოჰყავს უშინაარსო ანალოგია. მისი აზრით მატერიალიზმი შეეფარდება მუშაობის **შესრულებას**, იდეალიზმი **მუშაობის გეგმას** მატერიალიზმი—ესაა კაპიტალიზმის იდეოლოგია, იდეალიზმი—სოციალიზმის. „მატერიალიზმი თანმიმდევრობითი იდეოლოგიაა თავისუფალი კონკურენციის სისტემის"—ამბობს ის, „მოწესრიგებული" კაპიტალიზმის იდეოლოგია-პოზიტივიზმი. ბაუერის აზრით ატომიზმმა დაჰკარგა მნიშვნელობა უკანასკნელი აღმოჩენების გამო. მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია მარქსისტებს შორის, რომ ელექტრონის აღმოჩენა „განუყოფელ" ატომში კი არ არღვევს, არამედ ამტკიცებს მატერიალიზმს.

ბაუერი ათავებს: „მას შემდეგ, რაც ბუნების მექანიკური გაგების გახრწნამ ნიადაგი გამოაცალა მატერიალიზმს, ჩვენ უნდა კრიტიკულად მოვეპყრათ მას. მხოლოდ ეხლა ჩვენ გვესმის, რომ მატერიალიზმი იყო არა სხვა რამე, თუ არა კაპიტალისტური კონკურენციის სისტემის პროექცია". ავსტრო-მარქსიზმის მამა მოთავარი მარქსიზმის ფილოსოფიას უკვე მოძველებულად აცხადებს.

თავის იდეურ დაცხინებაში და დაცემაში ავსტრო-მარქსიზმი მიდის უფრო შორს. კრანოლდი თავის წერილში: „სოციალიზმი, როგორც ზნეობრივი იდეა" ამბობს: „სოციალისტური ადამიანი, რასაკვირველია ათეისტური უნდა იყოს, მაგრამ არა ანტი-რელიგიური" რადგან თვითონ მას უფრო იტაცებს „რელიგიური სოციალიზმის" შექმნის იდეა, ვიდრე სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლის ეთიკა.

„დიალექტიკა არის სინტეზი მიზეზობრივი და ტელეოლოგიური გაგებისა". დიალექტიკა და ტელეოლოგია! მხოლოდ ვენის „სოციალისტებს" მოუვა ასეთი სისულელე აზრათ სოციალიზმი ამ გვამისათვის „რწმენის საქმეა". სწორედ ამიტომ „სწამთ" მათ და უცდიან „სამართლიანობის დამყარებას"—„მოთმინებითა მათდა".

„კაპიტალიზმიდან შეიძლება ლოღიკურად გამოვიყვანოთ სოციალიზმი, სოციალური სოლიდარობის იდეის შემატებით".

ჩვენი კრიტიკოსი განაგრძობს: „ისტორიულ მატერიალიზმს არავითარი საერთო არა აქვს სოციალიზმთან"—აქედან სოციალიზმის დასაბუთება შეიძლება არა მარტო კანტით, არამედ... თომა აკვინელითაც. ნეოკანტიანელ ფორლენდერის ძველი ფორმულა „კანტი და მარქსი"—კრანოლდს არ აკმაყოფილებს—„არა კანტი ან მარქსი ან კანტი და მარქსი, არამედ **კანტი-მარქსი**"—ამბობს ის. არა სოციალიზმი ან კაპიტალიზმი, არამედ ორივე ერთად—სოციალიზმი კაპიტალიზმის ჩარჩოებში. ასეთია ავსტრო-მარქსიზმის თეორეტიული „ბაგაჟი".

ორი რამ აერთებს ტალგეიმერის აზრით ამ კრებულს: **მარქსიზმის უარყოფა და ბურჟუაზიული წყობილების სამსახური.** დასასრულ ავტორი ასკვნის:

„ავსტრო-მარქსიზმი თეორეტიულად მოკვდა. პრაქტიკაში განაგრძობს სიცოცხლეს". (165). „თუ მარქსიზმის წარმოშობის პროცესი იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკული გადალახვა კომუნიზმის საშუალებით, თანამედროვე ავსტრო-მარქსიზმი არის კომუნიზმის არა კრიტიკული გადალახვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის დახმარებით" (106).

კომუნიზმის დანიშნულება—გაათავისუფლოს მუშათა კლასი ავსტრო-მარქსიზმის გამხრწნელი გავლენისაგან. მუშათა მოძრაობის თანამედროვე საფეხური კიდევ კვებავს ავსტრო-მარქსიზმს. რევოლიუციასა და რევოლიუციას შუა ხარობს ოპორტუნიზმი, ახალი რევოლიუციონური ტალღა წალეკავს ავსტრომარქსიზმს. ასეთია ტალგეიმერის მტკიცე დასკვნა.

შემდეგ ტალგეიმერი კრიტიკულად იხილავს ავსტრიის სოც.-დემ. აგრარულ პროგრამას, რომელიც 1925 წ. ნოემბერში იქნა მიღებული ვენის პარტიეტაგის მიერ.

საინტერესოა უკანასკნელი თავი, „სოციალ-რეფორმიზმის ეკონომიური დასაბუთება", რომელიც იძლევა კ. რენერის ცნობილი წიგნის „კაპიტალისტურ მეურნეობის თეორიის" კრიტიკას. სოც. რეფორმიზმის ახალი ეკონომიური დასაბუთება ცხადია არ შეიძლება იყოს ძველი ბერნშტეინიანობის უბრალო განმეორება. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ფეხი შესდგა სოციალიზმის გზაზე; ს.-დ. უნდა დაუპირდაპიროს მას ახალი, საკუთარი გზა.

რენერის აზრით კაპიტალისტური წარმოების საერთო პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ბრუნვა (обращение). ბრუნვის პროცესი „კაპიტალისტური საზოგადოების უმაღლესი კანონმდებელი და მოსამართლეა".

ბრუნვის განსაზოგადოება შექმნის სოციალიზმის ნიადაგს. კაპიტალიზმის გადალახვის საკითხში უნდა გამოვიდეთ არა წარმოების, არამედ ბრუნვის სფეროს განსაზოგადოებიდან. ეს სფერო მისი აზრით წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს კაპიტალიზმიდან-სოციალიზმში. რენერი უბრუნდება ძველ ილიუზიებს კაპიტალისტური კრედიტის და კაპიტალისტური ასოციაციების საკითხში. სოციალიზაციის პროცესი უნდა მოხდეს ბრუნვის სფეროში და ეს საკმარისი იქნება. ეს არ გამოიწვევს წარმოების პროცესის შეფერხებას (დათანხმდება თუ არა ამაზე მწარმოებელი კაპიტალისტები?) აქედან რენერის აზრით მარქსის დებულება: „ექსპლოატატორთა ექსპროპრიაცია ზედმეტი ხდება" „საყოველთაო გენერალური ექსპროპრიაცია დეკრეტის საშუალებით—ეს საყოველთაო გენერალური უაზრობაა".

ცხადია ამ შეხედულებას არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმთან, იგი ნაბიჯია უკან ვულგარული ეკონომიისაკენ.

მოკლეთ „რენერისათვის საკითხი სდგას არა რევოლიუციის შესახებ, არამედ იმის შესახებ თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ის. როგორ შევეზარდოთ სოციალიზმში და ამავე დროს დავრჩეთ კაპიტალიზმში".

ტალგეიმერის წიგნის გაცნობა საჭიროა ყველა მათთვის, ვისაც აინტერესებს თანამედროვე სოც.-დემოკრატიის იდეურ სალაროში ჩახედვა.

მარქსისტი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 14 იანვარი

დღეს, 14 იანვარს. საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე.
მოხსენება ახალი და ძველი სტილის შესახებ—ქართულ ენაზე.
იგივე რუსულ ენაზე.
მოხსენება როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის შესახებ—ქართულ ენაზე.
იგივე რუსულ ენაზე.
გაზეთი „ენიკენდ"—თურქულ ენაზე.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი რადიო-სტუდიიდან.
ობსერვატორიის ცნობა—ქართულ და რუსულ ენებზე.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

ფეხბურთი

„დინამო—ბ"— „დინამო—ა"

კვირას, 15 იანვარს, დღის 12 საათზე „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება შეჯიბრი „დინამო—ბ"-სა და „დინამო—ა"-ს შორის; „დინამო—ბ" შემოდგომის სეზონის პირველობა აიღო პირველი კატეგორიის გუნდებს შორის.

ეს მატჩი განსაკუთრებულ სპორტიულ ინტერესს იწვევს, რადგან უკანასკნელი შეჯიბრი ამ გუნდებს შორის დამთავრდა „დინამო—პირველის" დამარცხებით 3:0, იმ დროს, როდესაც ყველა წინანდელი შეჯიბრები „დინამო—პირველის" გამარჯვებით თავდებოდა.

შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშება „დინამო—ბ" ბრწყინვალედ ჩაატარა, მან მოიგო ყველა მატჩები პირველი კატეგორიის გუნდებთან.

რკინის გზებზე

მატარებლის დაჯახება

12 იანვარს, ღამით, ხაშურიდან სახალხო მატარებლის № 10 გაშვების დროს ადგილი ჰქონდა დაჯახებას.

გასავლელ ისრებზე სახალხო მატარებელი დაეჯახა სამანევრო შემადგენლობას.

დაჯახების დროს სახალხო მატარებელი გაჩერდა. სამანევრო შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ოთხი ვაგონი, რომელმაც დაიკავეს ყველა ხაზები.

მოძრაობა შესწყდა. ხაზი დაზიანდა—30 მეტრის მანძილზე. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. ხაზი აღადგინეს ორ საათში.

უბედური შემთხვევა

სადგ. ზაზალის უფროსი ალავერდიევი და სადგ. განჯის დეპოს ზეინკალი მამედოვი 12 იანვარს სადგ. კიურაკჩიდან გამოჰყვენ სამარქაფო ორთქლმავალს. ისინი უნდა დარჩენილიყვენ გზაში მე-562 კილომეტრზე.

დანიშნულ ადგილზე მიახლოვებისას, მგზავრები გადმოხტენ მიმავალ ორთქლმავლიდან, მაგრამ ღერძების ქვეშ მოხვდენ.

ალავერდოვს ორთქლმავალმა გადაჭრა ორთავე ფეხი, ხოლო მამედოვს დაუშავა თავი და ხელი. ორივეენი ამავე ორთქმავლით ჩაიყვანეს განჯაში, სადაც აღმოუჩინეს საექიმო დახმარება.

ვაგონების ჩავარდნა

12 იანვარს ბაქოს ხაზის მე-542 კილომეტრზე სახალხო მატარებლის № 7 გავლის დროს ლიანდაგს ასცდა 7 საკლასო ვაგონი. ხაზი დაზიანდა 250 მეტრის მანძილზე. მგზავრთაგან არავინ დაშავებულა. მოძრაობა არ შეფერხებულა. განჯიდან და ევლახიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებლები ჩავარდნილ ვაგონების ამოსაღებად.

როგორც გამოირკვა, ვაგონების ჩავარდნა გამოიწვია ვიღაცის მიერ ისარში რკინის ორი ნაჭერის ჩაჭედვამ.

სწარმოებს კვლევა-ძიება.

სასურსათო ბაზარზე

ბოსტნეული

ამ დღეებში შესდგება ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატთან არსებულ ბოსტნეულის დამზადების ბიუროს სხდომა.

ბიურომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების მიერ თბილისის და სხვა ცენტრების მომარაგება ბოსტნეულით ნორმალურად მიმდინარეობს; რაც შეეხება ხახვის კრიზისს თბილისის ბაზარზე, უახლოეს მომავალში უკრაინიდან მიღებულ იქნება ა.-კ. კოოპ. კავშირის მიერ გამოწერილი ხახვის დიდი პარტია, რაც შეამცირებს ხახვის ნაკლებობას.

ერბოს ბაზარზე აჟიოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, ბიურომ წინადადება მისცა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ეხლავე შეუდგენ ერბოს დამზადებას.

ხორცი

მსხვილფეხა საქონლის მორეკვა თბილისში დეკემბრის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა. ოსმალეთიდან მთელი თვის განმავლობაში მორეკილ იქნა მხოლოდ 48 სული მსხვილფეხა საქონელი.

დამზადება სწარმოებდა უმთავრესად აზერბეიჯანში და კახეთში.

დეკემბრის განმავლობაში თბილისის სასაკლაოზე დაკლულ იქნა 4100 სული მსხვილფეხა საქონელი და 7.000 ცხვარი, (ნოემბერში: 4.500 სული მსხვ. ფეხა და 10.300 ცხვარი). დეკემბერში საგრძნობლად გაიზარდა ღორების დამზადება. თვის განმავლობაში დაკლულ იქნა 8.000-ზე მეტი ღორი.

კოოპერატიული ხორცის საცალო ვაჭრობა თანდათანობით ფართოვდება.

ამჟამად „მიასტორგ"-ს და „მწყემსს" შესყიდული ჰყავთ საკლავი საქონლის დიდი რაოდენობა და ხორცის გაძვირება მოსალოდნელი არ არის.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო ორგანოთა, დაწესებულებათა და საწარმოთა ქონების ცეცხლისაგან დაზღვევის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს ყოველი ქონება მისი სრული ღირებულებით დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან სახელმწიფო დაზღვევის ორგანოში ნებაყოფლობითი დაზღვევის წესების მიხედვით.

შენიშვნა: იმ ქონებაზე, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო არასაგანაკვეთო დაზღვევის წესით, დადგენილება ესე არ გავრცელდება.

2. ყველა სახელმწიფო ორგანო, დაწესებულება და საწარმო მოვალეა, არა უგვიანეს ორის თვისა ამა დადგენილების გამოცემის დღიდან, დააზღვიოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოში ყოველი, 1-ლი მუხლის თანახმად, დასაზღვევი ქონება შემდეგი პირობებით:

ა) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს პასუხისმგებლობა მის მიერ, ამა დადგენილების მიხედვით, მიღებული დაზღვევისათვის, უკეთუ დამაზღვეველის განცხადებაში აღნიშნული არ არის უფრო გვიანი ვადა, დაიწყება იმ დღის 12 საათიდან რა დღესაც სახელმწიფო დაზღვევის სრულიად საქართველოს კონტორის სოპერაციო განყოფილება მიიღებს აღნიშნულ განცხადებას, თუ ეს განცხადება მიღებულია 15 საათამდე, და შემდეგი დღის 12 საათიდან, თუ იგი მიღებულია 15 საათის შემდეგ.

ბ) შეტანილ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ყველა დაწვრილებითი და ზედმიწევნითი ცნობა დასაზღვევი ქონების შესახებ, რაც გათვალისწინებულია „დაზღვევის წესებით".

გ) ისეთი საქონლის დაზღვევისათვის, რაც დამზღვეველს ეკუთვნის ან მის განკარგულებაშია და დაიზღვევება ამა დადგენილების ძალით, დრო აინგარიშება „pro—rata" დღეობით, იმ პირობით, რომ 15 დღეზე ნაკლები ვადით დაზღვევისათვის პრემია გადახდევინებულ იქნება 15 დღისათვის წლიური პრემიის ერთმეოცდაოთხედი;

დ) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს ხვედრი პრემია დაზღვევისათვის და სალერბო გამოსლები დამაზღვეველმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო ქვითარებით წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, ან უკეთუ პრემიის გადახდა ვადა განაწილებულია, ანგარიშის წარდგენისთანავე. უკეთუ გადახდილ არ იქნება პირველი სპრემიო შესატანი, დაზღვევა არაშემდგარად ჩაითვლება; ხოლო, უკეთუ გადახდილი არ იქნება ვადა განაწილებული პრემია, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს პასუხისმგებლობა ავტომატიურად შესწყდება იმ დღის 12 საათიდან, რა დღესაც დანიშნული იყო მორიგი ვადასახადის შეტანა და განახლება მორიგი გადასახადის შეტანის მომენტიდან; ამ მორიგი გადასახადის შეტანა მოხდეს დაზღვევის ვადის ბოლომდე; ამასთანავე ქვითარით განსაზღვრული დაზღვევის ვადის ბოლო, აგრეთვე ქვითარში აღნიშნული ვადაგანაწილებული პრემიის გადახდის ვადები არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება, ხოლო გადახდილი პრემია არც დაიბრუნება, არც სხვა დაზღვევაში გაიქვითება.

3. ა) როდესაც სამრეწველო საწარმო (რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტი) აზღვევს თავის ქონებას ამა დადგენილების საფუძველზე და პრემიას იხდის ქვემოაღნიშნული რაოდენობით, სახელმწიფო დაზღვევის ორგანო გადასახადებს დამაზღვეველი საწარმოს სასარგებლოდ, ამ საწარმოში ხანძარისაგან დაცვის ღონისძიებათა მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებულ დასაბრუნებელ საპრემიო ანარიცხს გადახდილი პრემიის 7 ნახ. პროცენტის რაოდენობით, უკეთუ წლიური პრემიის თანხა 12.000 მანეთზე ნაკლები არ იქნება; ხოლო უკეთუ წლიური პრემია 20.000 მან. მიაღწევს, განსაკუთრებული დასაბრუნებელი საპრემიო ანარიცხი გადაიდება 10 პროც. რაოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში როდესაც სხვა დანარჩენი სამრეწველო საწარმო თავისი დასაზღვევი ქონების დაზღვევისათვის იხდის ისეთ პრემიას, რომლის წლიური რაოდენობაც ამა მუხლის „ა" პუნ. აღნიშნულ თანხას, ვერ აღწევს, აგრეთვე კომუნალური ქონებისა და ყოველგვარი სხვა სამრეწველო ხასიათის ქონების დაზღვევისათვის, ანარიცხი პრემიების საერთო თანხისა, რაც ამა მუხლში აღნიშნულ ქონებათა (ე. ი. ამა მუხლის „ა" პუნქტში დასახელებულ ქონებათა ჩაუთვლელად) დაზღვევაში შევა გადაიცემა საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში „ა" პუნქტში აღნიშნული რაოდენობით.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხლისა „ა" პუნქტში აღნიშნული განსაკუთრებული დასაბრუნებელი საპრემიო თანხები მიეცემა ამა თუ იმ სამრეწველო საწარმოს მას შემდეგ, როდესაც იგი შეუთანხმებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს დაცვისათვის საჭირო მოწყობილობის ხარჯთაღრიცხვას.

ხოლო მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად გადასარიცხი განსაკუთრებული დასაბუთებული საპრემიო თანხები განაწილებულ იქნება უშუალოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, ქონების დამაზღვეველ სამრეწველო საწარმოთა შორის.

შენიშვნა: სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს უფლება აქვს შეამოწმოს რამდენად ის წორით და სათანადოდ იხარჯება მის მიერ გაცემული თანხები და მოითხოვოს ამ თანხების უკანვე დაბრუნება, უკეთუ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელებულ არ იქნებიან ნახევარი წლის განმავლობაში ფულის გაცემის შემდეგ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თან. დრ. აღმასრულებელი **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. ალმასრ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. ნოემბრის 4
თბილისი—სასახლე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა დღეს, 14 იანვარს, სამუშაოზე იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიცირებულ მუშათა პირველ სექციიდან: სიმონ ინჯიაშვილი, ანნა შახბუდაგოვა, იულია კრილოვსკაია. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია:** ანჟელინა დიდია, პარმენ კალანდარაშვილი, გიორგი გოზალოვი, ვაგნი ოსეფიანი, ალექსანდრე კატამაძოვსკი. **მედიკურ მუშაკთა სექციიდან:** ეკატერინე ქავჟავაძისა. **რკინის გზელთა სექციიდან:** არმენაკ ჩოფურიანი. **საგარანტიო სექციიდან:** ვლადიმერ ნანაძე და სერგო ჩიგინოვი. **მშენებელ მუშაკთა მე-5 სექციიდან:** მიხეილ ბზიკაძე, ბაგდასარ მელქონიანცი.

საზოგადო. სამუშაოები

ამ დღეებში, შრომის ბირჟა შეიმუშავებს 1927-28 წ. საზოგადო სამუშაოების გეგმას და ხარჯთაღრიცხვას. ამჟამათ თბილისის აღმასკომს საზოგად. სამუშაოებისათვის გადადებული აქვს 60.000 მანეთი, შრომის ბირჟას კი 8.000 მანეთი.

მიმდინარე საზამთრო სეზონში მუშაობა სწარმოებს მხოლოდ პროფსაბჭოს სტადიონზე.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 14 იანვარს, დღის 1 საათზე შესდგება კომპარტიის არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება **ქალორგანიზატორების** მეცადინეობა (ქართული და რუსული ჯგუფის) საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. 23).

დღეს, 14 იანვარს, საღამოს 5 საათზე აგიტ-პროპმუშაობის ცენტრ. კაბინეტში შესდგება **კომკავშირის მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ყველა ხელმძღვანელების თათბირი.**

დღეს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრ. კაბინეტში შესდგება პარტქალაქის პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლების და უმაღლესი საბჭოთა პარტსკოლის ხელმძღვანელთა მეთოდ-თათბირი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს მასწავლებელთა კომუჯრედების მდივნებს გამოცხადდენ ამხ. მიდელევთან ორშაბათს, 16 იანვარს დღის 3 საათამდე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 14 იანვარს საღამოს 5 საათზე სტუდენტთა კლუბში მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა დახურული კრება.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საღამოს 4 ნახ. საათზე შესდგება ბიუროკოლექტივის თათბირი.

კვირას, 15 იანვარს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბე) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

გრიგოლ ივანეს-ძე გველესიანის

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის ამხანაგები. 1085

კვირას, 15 იანვარს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე, დიდუბეში (ქართველ მოღვაწეთა პანთეონში) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

გრიგოლ ივანეს-ძე გველესიანის

გარდაცვალებიდან 2 წლის თავის აღსანიშნავათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათ. მეგობრებს განსვენებულის ეუღლე—მელანია, შვილები: თინათინ, ირაკლი, გიორგი მეუღლით და ლევან; ძმა—ზურაბ ივანეს-ძე გველესიანი, ოჯახით. 1085

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს თანამშრომელნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 15 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, დიდუბეში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის, საზოგადო მოღვაწის დაუვიწყარი მეგობრის

გრიგოლ ივანეს-ძე გველესიანის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავის აღსანიშნავად. 1078

ანა კონსტანტინეს ასული და არკადი ზაარას ძე ჩხენკელი თავისი შვილით თამარით და ბებია ეკა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დაუვიწყარი

გოგის

დაკარგვის ნახევარ წლის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 15 იანვარს, 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 1090

კვირას, 15 იანვარს, 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის თავზე პანაშვიდი დაუვიწყარ

ექიმ

ალექსანდრე (ალიოშა) იასონის-ძის ქუთათელაძის

მოსაგონარად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს განსვენებულის ოჯახი. 1093

დამწუხრებული შვილები: ვიქტორ, ვლასა, თეკლე და [illegible], რძლები: ძაგდანი და სონია, შვილიშვილები: ჟულია, [illegible] ლერიან, ნორა, კარლო, ჩიტო გიგლა, თინა, [illegible] და ილია, სიძეები: დიმიტრი ხუხუნაიშვილი [illegible] აუწყებენ ნათესავებსა და მეგობარ ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი და მოამაგე

გიორგი სპირიდონის-ძე წულაძე

გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან (დიდუბე) კვირას, 15 იანვარს, დილის 12 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1091

ღრმად დამწუხრებულ ი ავ ტიკ (ოლიმპია). ალექსანდრა შიხინოვები თავის შვილებით: დარო ჯანინოვისა, საშა ყიფიანისა და დახილ შიხინოვი თავის მეუღლით აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ამა იანვრის 11, დილის 9 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

ნატალია გიორგის ასული შიხინოვისა

პანაშვიდი დანიშნულია 14 იანვარს, 6 საათზე გასვენება ჯიგრაშენის ეკლესიაში, კვირას, 15 იანვარს, 12 საათ. საკუთარ ბინიდან ოქრომჭედლის მე-2 ჩიხი № 24, დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 1089

ღრმად დამწუხრებულნი. დედა ეკატერინე (კატო) ძაცის ასული, და—თამარ შავდია ქმრით, ძმები: ნიკოლოზ მეუღლით და მიხეილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებ და ნაცნობებს, მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვლადიმერ (ვალოდია) ალექსის-ძე ბერიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში კვირას, 15 იანვარს, დღის 12½ საათზე. (შ)

გულდაწყვეტილნი: ბიძის ცოლა ეფროსინე გიორგის ასული ბიძაშვილები: ოლია ხოფერიასი, აგრაფინა დვალისა, მარიამ გრიგოლა ვილისა ქმრებით და შვილებით: ვიქტორი, ლევანი, ვარლამი, მიშა, გრიგოლი, შალვა და ნესტორ გიორგის-ძენი ცოლებით და შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ მეგობრის

ვლადიმერ (ვალოდია) ალექსის-ძე ბერიძის

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში 15 იანვარს, კვირას, 12 ნახ საათზე 1088

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ნიკოლოზ კურდღელაშვილი, პავლე, რამან და დავით კურდღელაშვილები ცოლშვილით, ქალები ევა ფიცხელაურისა და მარიამ კოლიევისა, სიძეები: მიტროფანე უშვერიძე შვილებით, ნიკოლოზ ფიცხელაური და ვალენტინ კოლიევი აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას ა. წ. 15 იანვარს, შუადღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი ძვირფას დედის

მელანია პეტრეს ასული კურდღელაშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების აღსანიშნავად. 1077

მეუღლე სონა რაფიელის ასული, შვილები შალვა, დათიკო, თამარი, თინა და ქეთო, დები—ანა, ძმათა და ლიდა, რძლები ნინა და ანტონინა, სიძე სავლე დევდარიანი და პატარა შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ტრიფონ რომანის-ძე თაბუკაშვილის

გარდაცვალების ორი წლის თავზე კვირას, 15 იანვარს, დღის 12 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2 1 ნ. 476



ტრიფონ და შალვა ჩუბინიძეები —„ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია ჰიგიენით" (სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის) გვ. 448. ფასი—2 მან. და 50 კაპ.

ა. ხარაძე—„მათემატიკური ამოცანები" (სახელმძღვანელო შრ. სკოლის მეხუთე ჯგუფისათვის). ფასი—1 მან.

ს. იაშვილი—ს. ს. რ. კავშირის მოკლე გეოგრაფია" (სახელმძღვ.) გვ. 67 7 რუკა ფასი—50 კაპ.

429 ნ.

25—9

გაზ. „კომუნისტი"-ს იმ ხელისმომწერთა, რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტ"-ს არასწორ მისამართის გამო

№ რიგ.	ხელის მომწერის სახელი და გვარი	ეგზემპლ.	ქვითრის №	რომელ რიცხვში გამოიწერა	ხელის მომწერის მოცემული მისამართი
1.	ბახტაძე (მკერავი)	1	1901	1 იანვარი	მაქსიმ-გორკის ქუჩა № 2
2.	ოგანეზოვი არძენაკი		477	„	სადოვის ქუჩა № 8
3	ნადარეიშვილი	1	583	„	კომუნალური ქუჩა № 95
4	მაზანაშვილი	1	559	„	ლევანდოვის ქუჩა № 3
5.	გოგიშვილი ივანე	1	618	„	უნივერსიტ. ქ. № 38 სიშ. გამო
6.	ლომაია შალვა	1	1668	„	ალეხის ქ. № 13 სიშორის გამო
7.	აგურის ქარხანა		1455	„	უნივერსიტ. ქ. № 36 სიშ გამო
8	ამაშუკელი სიმონი	1	568	„	რკინის გზის სახლი № 1 ბინა 4
9	კობახიძე	1	492	„	ყუბახის ქუჩა № 2
10	მეტრეველი ვანო	1	1628	„	დიდუბის ქუჩა № 517
11.	ახალაშვილი	1	1819	„	ლაზარევის ქუჩა №
12	შიშიაშვილი		2095	3 იანვ. 28	ელისაბედის ქუჩა № 79
13	პარკოსაძე პორფილე	1	578	1 იანვ. 28	ლუტერიხის ქუჩა № 19
14.	მებალიშვილი გიორგი		647	5 იანვ. 28	ლოტკინის ქუჩა № სახლი კვაბიძეს
15.	ჯ. ლოლონია		569	1 იანვ. 28	რუსთაველის ქუჩა № 3
16	კორშია ბეგლარი	1	579	„	გლდანის ქუჩა № 2
17.	შრეტიაშვილი	1	485	„	ლენინის ქ. № 20 გინეკოლ. ინსტ
18	ჩომახაშვილი	1	485	„	ვანის ქუჩა № 15
19	ჯანგოძე დავიდ	1	578	„	სემიონოვის ქუჩა № 10
20	შურგანი დავით	1	578	„	საზოგადოების ქუჩა № 1
21	გადილია ვ.		572	„	პეტროვის ქუჩა № 5
22.	გურაცხიძე ნინა	1	568	„	პროლეტარის ქუჩა № 14
23	ქურიძე გიორგი	1	—	„	ელისაბედის ქუჩა № 6
24.	ჭავჭანიძე დიმიტრი	1	—	„	ოსიპოვის შეს. № 4

ზემო აღნიშნულ პირებს ვთხოვთ შემოიარონ ექსპედიციაში ან ტელეფონით გვაცნობონ თავისი სწორი მისამართი.

გაზ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მისამართი; კამოს (ყ. დიდი მთავ.) ქ. № 68, ტელ. 5—43

ორშაბათიდან 16 იანვრიდან

კინო-თეატრებში

აპოლო, არფასტო, სოლეი

საქართვ. სახკინმრეწვის ახალი სურათი

„მთის კანონი"

დადგმა რეჟ. მ. მიხეილის
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
სცენარი ი. აბაიასი

მთავარ როლებში: (ცნობილი სურათის „აბრეკ ზაურის" გმირები) დამსახურებული არტისტი

ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ნ. სანოვი, ნ. განტარინა, ა. სემიონოვი, გამრეკელი.

ნ. 477

აპოლო	სოლეი	არფასტო	დარბაზი
პარიზის ახალი სურათი „კულისებში" მთავარ როლში: მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუს	მხატვრული ფილმი „ბელვედერის ჩრდილები" (ნილობი ახდილია)	მსოფლიო ფილმი „სპიდ" 3 და 4 სერია ერთად	საინტ. კინო-რომანი 12-ის კლუბის ავანტიურისტები ორ სერიათ—ორივე სერია ერთად

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მთის კანონი"

დაჰკარგე სამხედრო ბეგარის საალრ. ბარათი მოც. მე 2 რე უბნ. სამხედ. მაგიდ. ირაკლი მგელაძეს სახელზე, ჩ. გ. 109

დაჰკარგე პირადობის მოწმობა, და სამხედრო აღრიცხვ. წიგნაკი, დიანოზ საბასძე გოცირიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 475

დაჰკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1211 შალვა გრამიტონის ძე გამყრელიძის სახელზე ჩ. გ.

გაზ. „კომუნისტ"-ზე

მიიღება ხელისმოწერა

გალის მაზრაში და ქალ. ოჩემჩირეში

კონტრაგენტ

კონსტ. კილასონიანთან

473 3—1

ამიერ-კავკასიის რკ. გზების მცველ რაზმის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 16 იანვარს სამმართველოს შენობაში, ამოს ქ. (ყოფილ ქსენიის ქ.) № 5 შესდგება

საჯარო ვაჭრობა

მცველი რაზმის მეთაურთა შემადგენლობისათვის ხრომის ჩექმების შეკერვაზე დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება რაზმის სამმართველოში 14 და 15 იანვარს, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ა.-კ. რ. გზ მცველი რაზმის სამმართველო.

ნ. 478 2—1

თბილისის გარეუბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 1928 წლის 18 იანვარს, დილის 10 საათზე სოფელ ყარაიაზში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება 24 ძროხა, რომლებიც ეკუთვნის სოფ. კასალოს და ნაზარლოს მცხოვრებლებს, ბლაგოდარნაიას საზოგადოების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად 1291 მან. რაოდენობით. გაყიდვა დაიწყება 1200 მან. შეფასებით.

თუ დანიშნულ დროზე ვაჭრობა არ შესდგა მყიდველთა გამოუცხადებლობის გამო, მაშინ საჯარო ვაჭრობა მოხდება 1928 წლ. 25 იანვარს, დილის 10 საათზე. იქვე და გაყიდვა დაიწყება მყიდველთა მიერ შემოძლეული ფასიდან. ნ. 480

თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 20 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 მუხრანის ქუჩ. სასამართლოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ხაჩატურ ოსკანიანცის მოძრავ ქონებას: ჭურჭლეულობის და სხვა ნივთებს შეფასებულს 126 მანეთად, ალაბეკ ტონოკანიახცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 7 იანვარს 1928 წ. თარიღით № 3033 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1086

ქ. თბილისის 1-ლი რაონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა. წ. 16 იანვარს ნაშუადღევის პირველს არკადიის შესახვევში № 6 შეორე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება უფლება ორ სართულიან სახლის ნახევარ ნაწილზე. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. სახლი ეკუთვნის გიორგი ჩიქოვანს აწერილ ა იოსებ თანდილაშვილის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია 1.500 მანეთად. ამ სახლში არის 18 ოთახი და 7 სამზარეულო.

ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ვაჭრობის დაწყებამდე სასამართლოს აღმასრულებელს უნდა წარმოუდგინოს ცნობები სამოქ. პროცეს. კოდექსის 311 მუხლის თანახმად და საწინდარი 150 მან. რაოდენობით. ნ. 479

მიხეილ ბედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

ნაწილებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 25—1

ექიმი მეგრაბიანცი

ციებ-ცხელების, შლეჰის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობ. ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი

პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი შარდსადინარი ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 და საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25 1

---

30 დეკემბერს სადგურ მიტეხიდან ღამის 9 ს. საბარგო მატარებლს წამოყვა და უგზოუკვლოდ დაიკარგა გორის მაზრის სოფელ ბარნაბიანთკარის მცხოვრები დიმიტრი ალექსის ძე **ბარნაბიშვილი** 1087

აჭარისტანის ა.ს.ს.რ. შინსახკომისარიატთან არსებული ძმაჩის ბიურო ამით აცხადებს რომ ამ ჟამად ძცხ. ქ. ბათომში ბუდიონის ქ. სახლი № 20, მოქ. რობერტ გიორგისძე ქე პირუმიანცს რომელიც დაბადებულა ქალ. თბილისში სურს გამოიცვალოს თავის გვარი „ქართველიშვილზე" 1096

ექ. თოდაძე

დაბრუნდა საზღვარ გარედან დაგანახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13 1

დაჰკარგე კოოპერატივის წიგნაკი № 21207 ნინო გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 1097

დაჰკარგე სამხედრო წიგნაკი ფ. № 5 პავლე შირვანისძე ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 1095

დაჰკარგე ულყოფ ცხ ნ ს კუთვნილება მოწმობა № 956 იონა ციკალიშვილის სახელზე. ჩ. გ 1095

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68